

170 /2
1926



ს. ს. ს. რ. ცენტრბრაქივი

საქართველოს არქივი

წიგნი I

ტფილისი
1926

საქმიანი დაწესებულებათა მთავარმართებელთა.

საქართველოს
ბიბლიოთეკა

123

ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის გამომცემა

საქართველოს არქივი

ტფილისი
1926

დაიბეჭდა ცენტრარქივის დირექტორის განკარგულებით.

ს. შ. უ. ს. პოლიგრაფიული ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 1824 მთავლიტი 841. ტიპოგრაფია

წ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა

თანამედროვე კულტურულ კაცობრიობის გაგებით არქივი ორი მხრივ არის განსაკუთრებით ძვირფასი და საყურადღებო. ა) წმინდა პრაქტიკულის მოსაზრებით, — რომ დაცულ იქნას მრავალმნიშვნელოვანი საბუთი და ბ) ყოველგვარ პირველ წყაროებისადმი თეორიულ-მეცნიერულ ინტერესით, — რომ საარქივო მასალების დამუშავებით გავითვალისწინოთ ხალხთა წარსული ყოფა, კლასთა ურთიერთობა, სახელმწიფო დაწესებულებათა განვითარება, კერძო ისტორიულ პირთა მოღვაწეობა და სხვ.

ცხადია, ამ ორ მთავარ მომენტისაკენ უნდა იყოს მიმართული უმეტესად საქართველოს ცენტრალურ არქივის საქმიანობაც. და, მართლაც, ჩვენი დაწესებულება გარკვევით ისახავს მიზნად: 1) შეაგროვოს და დაცვას ის მრავალგვარი საბუთი, რაიც ჩვენი ხალხის წარსულსა და აწმყოს შეეხება, და 2) მეცნიერულად შეისწავლოს და გამოსცეს რჩეული საყურადღებო საარქივო მასალა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარსულის გაშუქებისათვის.

პირველი ამოცანის შეძლებისა დაგვარად განხორციელებას საქართველოს ცენტრარქივი უკვე კარგა ხანია შეუდგა და ყოველგვარ ზომებს იღებს მისი სათანადო სისრულით მოწესრიგებისათვის.

რაც შეეხება მეორეს, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრარქივის ორგანო „საისტორიო მოამბე“, მასში მოთავსებულ წერილების უმეტესი ნაწილის მიხედვით, სამწუხაროდ, ვერ შეესაბამებოდა თავის დანიშნულებას. ამიტომაც მისი გამოცემა განათლების კომისარიატის განკარგულებით შეჩერებულია (ამ მოკლე დროში გამოვა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში დასაბეჭდად გადაცემული უკანასკნელი ნომერი-მეოთხე). საქართველოს ცენტრალურ არქივს მის ნაცვლად განზრახული აქვს გამოსცეს: ა) „საქართველოს ცენტრალური არქივის ბიულეტენი“ — ყოველთვიურად და ბ) „საქართველოს არქივი“ 4 წიგნი წლიურად. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული შინაარსი ექნება.

„საქართველოს ცენტრარქივის ბიულეტენი“ — ში მოთავსებული იქნება





საარქივო საქმეთა შესახები წესები, კოდიფიკაციები და ყოველგვარი სახის ცნობები, რომ დაინტერესებულ პირთ საშუალება ექნეთ თვალყურით ადევნონ საარქივო მშენებლობას საქართველოში, და მოკლე წერილები, რომლებიც განმარტავენ არქივთმცოდნეობის სხვადასხვა მხარეს და პრაქტიკული საქმიანობის მთავარ მომენტებს. დიდი დასაბუთება არ უნდა იმას, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ჩვენთვის ასეთი ორგანო. საარქივო საქმის მოწესრიგებაში საქართველოს ცენტრარქივი დიდად ჩამორჩა როგორც რ. ს. ფ. ს. რ-ს, ისე უკრაინისას, დასავლეთ ევროპას რომ თავი დაეანებოთ.

„საქართველოს არქივ“-ში ადგილი ექნება ერთის მხრივ ისეთ წერილებს, რომლებიც ვააშუქებენ არქივთმცოდნეობის თეორიულ საკითხებს და საარქივო საქმეთა მდგომარეობას როგორც ს. ს. რ. კავშირში, ისე დასავლეთ ევროპაში. მეორეს მხრივ, დაიბეჭდება მონოგრაფიები სხვადასხვა საარქივო საბუთების შესახებ და გამოქვეყნდება ისეთი მასალა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლისათვის და რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. საზოგადოებამ ნაკლებად იცის, თუ რა ფასდაუდებელი საბუთებია ამ მხრივ საქართველოს ცენტრალურ არქივის საცავებში თავმოყრილი. რასაკვირველია, გულუბრყვილო ოცნება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ახლო მომავალში ამოვწურაეთ ასეთი ღირსშესანიშნავი საბუთების გამოქვეყნებას, რადგან არქივი ისეთი საგანძურია, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მდიდრდება ახალ-ახალი საუნჯეთი.

ამავე ორგანოში განზრახულია საარქივო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაც.

დარწმუნებული ვართ, ძვირად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც უარპყოფდეს ცენტრარქივისთვის ასეთი ორგანოს აუცილებლობას. იგი, ასე ვთქვათ, მისი ფუნქციაა, სულია მისი მოღვაწეობის. მაგრამ გულახდილად უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი ორგანო ცოცხალი და სრული მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის მუდმივს ინტენსიურ კავშირს დაიჭერს ისტორიულ მეცნიერებასთან, რომლისგანაც საქართველოს არქივმა უნდა შეიძინოს აქტიური თანამშრომელნი და მოიპოვოს თავისი საბოლოო გამარჯვება...

P.S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც მომქირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით ჩვენ იძულებული ვავხდით შეგვეჩერებია „ბიულეტენის“ გამოცემა და მსში გ. ნ. ხული საკითხების გაშუქება გადაგვეტანა „საქართველოს არქივში“.

ამ გვარად, საქართველოს ცენტრალურ არქივს, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ექნება მხოლოდ ერთი ორგანო „საქართველოს არქივი“, რომელიც შემდგომში ჩვენ მიერ დასახულ ორივე მიზნს უნდა ემსახურებოდეს.

შ. ყარამანიძე

სამაზრო საარქივო აპარატების მოწყობისათვის.

საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში საარქივო აღმშენებლობის დარგში არსებულ ორგანიზაციულ სხვაობათა შორის, თავის უპირატესი შედეგების მიხედვით, უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის კანონმდებლობითი აქტით უზრუნველყოფილი საარქივო ორგანოები პროვინციებში. რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ში, უკრაინის ს. ს. რ. და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც დიდი ხანია, რაც ცენტრარქივის საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოწყობილი აქვს თავისი საგუბერნიო და სამაზრო საარქივო ბიუროები, რომელთა დანიშნულებას შეადგენს საარქივო საქმის ადგილობრივად მოგვარება და რეგულიაცია, ცენტრარქივივის დირექტივების თანახმად. საგუბერნიო და სამაზრო საარქივო ბიუროები ხსენებულ საბჭოთა რესპუბლიკებში ორგანიზაციულად საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების აპარატის ნაწილს შეადგენენ, ხოლო საარქივო საქმეში ეს ბიუროები ცენტრარქივის ემორჩილებიან უშუალოდ. საქართველოში ამ გვარ ორგანოების დაარსება მაზრებში, სხვა და სხვა დამატკოლებელ ობიექტიურ გარემოებათა გამო, დღემის ვერ მოხერდა და, სამწუხაროდ, საარქივო საქმე ამ მხრივ ჩვენში ჯერ კიდევ ორგანიზაციის სტადიაში იმყოფება.

მართალია, საქართველოს პროვინციალურ პუნქტების თვითმპყრობელობის დროინდელ დაწესებულებათა საარქივო ფონდები, უკანასკნელ 7-8 წლის სიგრძეზე მომხდარ სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, მეტ წილად დაკარგულია, ან კიდევ განადგურებულია და ამ მხრივ საარქივო აპარატები მაზრებში დიდ საჭიროებას არც წარმოადგენენ, — მაგრამ მომქმედ საბჭოთა დაწესებულებების არქივებისათვის მეთვალყურეობისა და მოვლა-პატრონობის, ვასაწევად ადგილობრივად საარქივო ორგანოების დაარსება ყოველ ექვს გარეშე აუცილებ-

ლია. აუცილებლია, ვინაიდან საარქივო ორგანოების დანიშნულებას მარტო ძველი არქივების კონცენტრაცია და სისტემაში მთყვანა კი არ შეადგეს, არამედ მომქმედ სახელმწიფო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებათა სამდივანმწიგნობროს საარქივო ნაწილის მეტვალყურეობა და მოწესრიგებაც მის პირდაპირ და ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს.

მომქმედ საბჭოთა დაწესებულებების სამდივანმწიგნობროს საარქივო ნაწილის მოწყობისა და კონტროლის საქმე, რევოლიუციის წინა-დროინდელ საარქივო ფონდების კონცენტრაციას თავი რომ დაეანებოთ, პროვინციებში, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით სათანადოდ არ არის დაყენებული, ზოგიერთ ადგილას კი სრულიად მოუგვარებელია. ამ მხრივ ყველა მაზრებში, იშვიათ გამონაკლისის გარდა, დასამალი არ არის, სრული უზასუხისმგებლობაა გამეფებული. თავის თავად ცხადია, რომ ამ გარემოების უმთავრესი მიზეზი ადგილობრივად საარქივო აპარატების უქონლობაში მდგომარეობს.

მართალია, ცენტრარქივი ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებშივე ცდილობდა, ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებთან შეთანხმებით, პროვინციებში დაენიშნა საარქივო საქმის წარსამართავად თავისი რწმუნებულები და ამგვარი რწმუნებულები გაიჩინა კიდევაც, — მაგრამ ამას მანც და მაინც თვალსაჩინო ნაყოფი არ გამოუღია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ რწმუნებულების მუშაობისათვის მაშინ სათანადო მატერიალური და იურიდიულ-ფულვებრივი პირობები არ იყო შექმნილი: სამაზრო საარქივო ორგანოებისა და კერძოდ სამაზრო რწმუნებულების შესახებ არავითარი დებულება, ან სხვა რაიმე კანონმდებლობითი აქტი, რომელზედაც შეეძლოთ დამყარება რწმუნებულებს თავის მოქმედებას დროს, არ არსებობდა. ამის გარდა რწმუნებულებს მუშაობისათვის გასამრჯელო ან სხვა გვარი კონვენსაცია არც ცენტრარქივიდან და არც სამაზრო აღმასკომებიდან არ ეძლეოდათ. რწმუნებულებს არ ეძლეოდათ აგრეთვე საარქივო საქმის გასაძლოად და მოსავლელოდ საჭირო სამეურნეო ხარჯების დასაფარავად აუცილებელი თანხა. აქედან ცხადია, რომ რწმუნებულების მუშაობას არც იურიდიულად და არც ზნეობრივად სავალდებულო ხასიათი ვერ მიეცემოდა: დაკისრებულ მოვალეობის შესრულება ფაქტიურად მხოლოდ მათ ნება-სურვილზე და ასე ვსთქვათ, კეთილსინდისზე იყო დამოკიდებული.

სამაზრო საარქივო აპარატების გადახალისების შესახებ საკითხი და- ისე ცენტრარქივში გასულ 1925 წელს და ნაწილობრივი გადახალისება მოხდა კიდევაც, მაგრამ ამასაც მაინც და მაინც საგრძნობი რეალუ- რი შედეგები, მდგომარეობის გამოკეთების თვალსაზრისით, არ მოპყ- ლია. გადახალისების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ არსებული აპარატებით საარქივო საქმის მოგვარება პროვინციებში, უკვე აღნიშნულ მიზეზთა გამო, სრულიად ვერ ხერხდებოდა და მიღე- ბულ ცნობების თანახმად, მოსალოდნელი იყო მომავალში საარქივო საქმეს ზიანი მოსვლოდა. საფრთხის თავიდან ასაცილებლად უპირველე- სად ყოვლისა საჭირო იყო საარქივო ორგანოებისათვის მტკიცე საძირ- კველის ჩაყრა და ამ ორგანოების მუშაობისათვის სავალდებულო ხასია- თის მინიჭება. ამისთვის კი საჭირო იყო გულშემატკივარ პირთა ნაცე- ლად ყოველ მაზრაში, განსაზღვრულ გასამრჯელოს მიცემით, საგანგე- ბო არქივარიუსების დანიშვნა. ეს არქივარიუსები იმავე დროს უნდა ყო- ფილიყვნენ ცენტრარქივის რწმუნებულები, რომელთაც დაევალებოდათ საარქივო კანონებისა და წესების გატარება ადგილობრივად ცენტრარქი- ვის საერთო ხელმძღვანელობით. ან, თუ საგანგებო არქივარიუსების და- ნიშვნა შეუძლებელი იქნებოდა, საარქივო საქმის მეთვალყურეობა და წარმართვა თვით სამაზრო აღმასკომებს უნდა დაჰკისრებოდათ. პირველ შემთხვევაში, ე. ი, როდესაც საგანგებო არქივარიუსები დანიშნებოდა სამაზრო აღმასკომებთან, თავის თავად ცხადია, მათთვის შესაფერი გა- სამრჯელო უნდა დაწესებულიყო და ეს გასამრჯელო მათ ან აღმასკო- მის ბიუჯეტიდან უნდა მისცემოდათ, ან კიდევ ამ მიზნისთვის საჭირო თანხები თვით ცენტრარქივს უნდა გაეღო. მეორე შემთხვევაში კი, ე. ი. როდესაც საარქივო სამქმე სამაზრო აღმასკომებს დაეკისრებოდა, შეიძ- ლებოდა არქივარიუსებად შეთავსების ნიადაგზე და, მაშასადამე, უსასყი- დლოდ, აღმასკომის ერთ ერთი თანამშრომელი გამოყენებულიყო.

რაკი 1925—1926 საბიუჯეტო წლის სამაზრო აღმასკომების ბიუ- ჯეტი ამ დროს უკვე დამტკიცებული იყო და ამ ბიუჯეტში საარქივო საქმის ინტერესები გათვალისწინებული არ აღმოჩნდა, ამიტომ სამაზრო აღმას- კომებიდან საარქივო აპარატების შესანახად თანხის მიღება შეუძლებლად უნდა ჩათვლილიყო. ხოლო მეორეს მხრივ ცენტრარქივსაც სამაზრო სა- არქივო ორგანოების შესანახად თავისუფალი თანხები სრულიად არ მოეპოვებოდა. ამასთან დაკავშირებით პირველი შესაძლებლობის მოიმე- დეობა უსაფუძვლოდ უნდა ჩათვლილიყო და ცენტრარქივიც მეორე



გზას დაადგა: მან შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სახ. რიატის წინაშე, რათა მას, ცენტრარქივის მიერ თავის დროზე ნებაყოფლობით დანიშნულ გულშემბატკივარ პირთა ნაცვლად, პროვინციებში საარქივო საქმეთა მეთვალყურეობა და გაძღოლა თვით სამაზრო აღმასკომებისათვის დაეკისრებია. ცენტრარქივის შუამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს საარქივო საქმე მაზრაში უნდა დაეკისრებია აღმასკომის ერთ-ერთ თანაშრომელზე, რომელიც ამავე დროს იქნებოდა ცენტრარქივის რწმუნებული საარქივო საქმეების გამო მაზრაში. ამასთანავე ამ დაკისრებას, მუშაობის ინტენსივობის გადიდებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, სავალდებულო ხასიათი უნდა ქონოდა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საფეხებით გაიზიარა ცენტრარქივის შუამდგომლობა, და თავის მხრივ, ფორმალურ წესების დაცვის მიზნით, შუამდგომლობა აღძრა სახალხო გომისართა საბჭოს წინაშე, რათა მას შესაფერი განკარგულება მოეხდინა. უკანასკნელმა საგანგებო დადგენილებით საჭიროდ სცნო ცენტრარქივის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება და სათანადო განკარგულებით (1925 წ. 9/12 № 10762) დააფალა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს, ცენტრარქივის შუამდგომლობაში გათვალისწინებულ გეგმის მიხედვით, საარქივო საქმის მოწესრიგება მაზრებში.

სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნულ დადგენილების თანახმად, შინაგან საქ. სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, საარქივო აპარატების მოწყობას ცენტრარქივი შეუდგა ვასულ 1925 წლის დეკემბერში. სამწუხაროდ, ამ დადგენილების გატარება ცხოვრებაში არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეს წარმოდგენილი იყო. თითქმის ყველა მაზრის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ დადგენილებას ერთგვარი ჩუმი, ან კიდევ აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ უმთავრესად იმის გამო, რომ სამაზრო აღმასკომებს, მტკიცე შტატისა და სასტიკად განსაზღვრულ ბიუჯეტის გამო, არც საჭირო თანხა და არც ოდნავ მაინც თავისუფალი თანაშრომელი საარქივო საქმისათვის არ აღმოაჩნდათ. ამის გარდა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამაც, რომ სამაზრო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლები საარქივო საქმეს უყურებდნენ როგორც ზედმეტ და უსარგებლო საქმეს. ამისდა მოუხედავად, ცენტრარქივის დაყინებითი მოთხოვნით, შინაგან საქ. სახ. კომისარიატის ცირკულიარის თანახმად (1925 წ. 9/12 №2507), სა-

მაზრო აღმასკომები იძულებული შეიქმნენ ამ შემთხვევაში დათმობაზე წასულიყვნენ და საარქივო საქმის ინტერესების დასაცავად სავანგებოდ თითო თანამშრომელი გამოყოფოთ.

ამგვარად გადახალისებულ იქნენ საარქივო ორგანოები და ახალი რწმუნებულები დაინიშნენ ყველა მაზრებში, გარდა სვანეთისა და სიღნაღის მაზრებისა, რომლებმაც სახალხო კომისართა საბჭოს ხსენებულ დადგენილებსა და შინაგან საქ. სახ. კომისარიატის ცრკულუიარისდა მიუხედავად, ჯერ-ჯერობით უარი განაცხადეს საარქივო საქმისათვის თანამშრომლის გამოყოფაზე*).

სამაზრო აღმასკომებზე საარქივო საქმის დაკისრებით და ამ დაკისრებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭებით, მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდა და მაზრებში საარქივო საქმის მეთვალყურეობა გაძლიერდა, თანაც არქივების განადგურების და დაღუპვის შიში მოიხშო. მაგრამ ამით საქმე ოდნავადაც მოგვარებულად ვერ ჩაითვლება. აღმასკომების მიერ შეთავსების ნიადაგზე ცენტრარქივის რწმუნებულად ახლად დანიშნულ პირები, საარქივო საქმის გარდა, დატვირთული არიან თავისი ძირითად სამსახურთან დაკავშირებული მოვალეობებით და საარქივო საქმის გასაკეთებლად მათ უმეტეს შემთხვევაში ერთობ მცირე დრო რჩებათ, ზოგჯერ კიდევ სრულიად ვერ იცლიან. გარდა ამისა, რაც მთავარია, რწმუნებულებს არც ახლა ეძლევათ საარქივო მუშაობისათვის ცალკე გასამრჯელო, ან რაიმე კომპენსაცია, ისინი არ ღებულობენ არც სამეურნეო ხარჯებს საარქივო საქმის საქიროებისათვის. ასე რომ არსებითად სამაზრო საარქივო ორგანოების მოწყობის საქმე, გადახალისების შემდეგაც, შეგვიძლიან ვლიაროთ, არსებითად უმანდელ მდგომარეობაში რჩება. და რომ ეს ასეა, იქიდანაც სჩანს, რომ უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც გადახალისებული და თითქოს ახალ საფუძველზე მოწყობილი საარქივო აპარატები არსებობენ მაზრებში და, ამისდა მიუხედავად, პროვინციებში საარქივო მუშაობის პირველი სტადიაც ჯერ გავლილი არ არის: საბჭოთა ხელისუფლების მიერ საარქივო აღმშენებლობის დარგში შემოღებული ცენტრალიზაციის პრინციპი და საერთოდ არქივების დიადი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მათთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობია. მაზრებში საბჭოთა დაწესებულების უმეტესობას თავიანთი არქივები არამც თუ მოწესრიგებული, არამედ ჯეროვანად დაცულიც არა აქვთ, და ხშირია შემთხვევები, როდესაც უკანასკნელ წლების არქივებიც კი, უპატრონობის გამო, იფლანგება და

*) სვანეთისა და სიღნაღის მაზრები საარქივო აღმშენებლობის მხრივ ყველაზე ჩამორჩენილ მაზრებად ითვლებიან.



იკარგება კიდევაც. და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ჯერ კიდევ 1921 წელს გამოცემულია საგანგებო დეკრეტი, რომლის თანახმად საბჭოთა დაწესებულებებს სასტიკად ევალებათ საარქივო ნაწილში დაემორჩილონ ცენტრარქივის მიერ გამოცემულ წესებს. საარქივო ფონდების ერთ ადგილას თავის მოყრაზე. მათი სისტემატიზაციაზე და სამაზრო არქივთსაცავების მოწყობაზე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ მაზრებს, სადაც ადგილობრივ ხელისუფლების შეგნების წყალობით საქმე რამოდენიმედ მიიწი მოგვარებულია, — ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ამ გვარი მდგომარეობა, უნდა ვიფიქროთ, ვაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე საარქივო საქმე პროვინციებში სასხვათაშორისო საქმედ იქნება მიჩნეული და ვიდრე მას გარკვეული იურიდიული საფუძველი არ ჩაეყრება საგანგებო კანონმდებლობითი აქტით.

პროვინციებში საარქივო აღმშენებლობის დარგში შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობის გამო ცენტრარქივმა მიმდინარე 1926 წ. კვალად წამოაყენა საკითხი საარქივო ორგანოების უფრო მკვიდრ ნიადაგზე მოწყობის შესახებ. ამ მიზნით მან შეიმუშავა და უკვე სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად წარადგინა სამაზრო საარქივო ბიუროების შესახებ დებულების პროექტი. პროექტის მიხედვით, რწმუნებულების მაგიერ, თვითეულ მაზრაში უნდა დაარსდეს სამაზრო საარქივო ბიურო, რომელიც სამაზრო აღმასკომის განყოფილება იქნება, ისევე როგორც სხვა მისი განყოფილება. საარქივო ბიუროები საარქივო საქმეთა საკითხებში დაემორჩილებიან ცენტრარქივის დირექტივებს, ხოლო მათი ხარჯ-აღრიცხვა, მიღებული წესით, გატარდება სამაზრო აღმასკომის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში. საარქივო ბიუროს შტატი პროექტის მიხედვით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ უმეტეს მაზრებში იგულისხმება მხოლოდ ერთი ან ორი პირი. საერთოდ კი ბიუროს თანამშრომელთა რიცხვი დამოკიდებული იქნება ადგილობრივ პირობებზე და მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს ცენტრარქივის მიერ, სათანადო სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით. პროექტის დამტკიცების შემდეგ, რაც უახლოეს მომავლის საქმეა, სამაზრო საარქივო ბიურო უნდა შევიდეს სამაზრო აღმასკომის საერთო აპარატის სტრუქტურაში, ვითარცა მისი ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი.

პროექტის მიხედვით ახალ საფუძველზე ცალკე საარქივო აპარატის დაარსება მაზრებში მიიწი და მიიწი არ გამოიწვევს დიდ ხარჯებს და აგ-

რეთვე არ დაამძიმებს სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტს, ხოლო საარქივო საქმეს პერიფერიაში ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყრება. მაგრამ ვიდრე პროექტი დამტკიცდებოდეს და ცენტრარქივი ბიუროების მოწყობას შეუდგებოდეს, საჭიროა მუშაობა მაზრებში არ შეფერხდეს. სახალხო კომისართა ღსენებულ დადგენილებით, საარქივო საქმის მოგვარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა, ახალ საფუძველზე საარქივო ბიუროების მოწყობამდე, აწვევთ ადგილობრივ აღმასკომებს, რომელნიც ვალდებულნი არიან ცხოვრებაში გაატარონ, საარქივო საქმისათვის გამოყოფილ პირთა მეშვეობით, ცენტრარქივის დირექტივები.

რისთვის არის საჭირო არქივი.

არქივი ეწოდება ყოველგვარ წერილობით და გრაფიულ მასალას, ხელთნაწერისა და ნაბეჭდის სახით, რომელიც შეიცავს დაწესებულებათა ან კერძო პირთა ნამუშევარს, და რომელიც წარმოადგენს ღირებულებას პრაქტიკულ ან მეცნიერულ თვალსაზრისით.

ყოველი დაწესებულება წელთა განმავლობაში აგროვებდა თავის არქივს, მას აგროვებს თანამედროვე საბჭოთა დაწესებულებანიც; მაგრამ არქივი შეიძლება ჰქონდეთ კერძო პირებსაც. კერძო პირთა არქივში ჩვეულებრივ ინახება მათი პირადი საბუთები და საქმის ქაღალდები.

ხშირად არქივი ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ: მას ნესტიან შენობებსა და სარდაფებში ათავსებენ, ანდა ჰყდიან სახვევ ქაღალდად. განსაკუთრებით ზიანდება არქივები ომებისა და რევოლუციების დროს, ე. ი. მაშინ, როცა მთავარი ყურადღება მიმდინარე ცხოვრების მოწესრიგებისაკენაა მიქცეული. ქაღალდი, როგორც სათუთი მასალა, ადვილად ჰკარგავს სინესტის გამო გამძლეობის თვისებას და უყურადღებობის მსხვერპლი ხდება.

სული მოპყრობა არქივებისადმი დამლუვებელ შედეგებს იძლევა, როგორც მეცნიერებისათვის, ისე პრაქტიკულ ცხოვრებისათვისაც. მეცნიერებამ დიდი ხანია არქივი დაუფასებელ წყაროდ მიიჩნია წარსულის შესასწავლად. წარსულის ცოდნა-კი განსაკუთრებით საჭიროა ეხლა, როცა უმჯობეს მომავლისთვის ვაწარმოებთ ბრძოლას. მხოლოდ არქივების საშუალებით შესაძლებელი ხდება საღი წარმოდგენა ვიქონიოთ ძველ ცხოვრებაზე, როგორ მიმდინარეობდა მისი მეურნეობა, როგორ იყოფოდა საზოგადოება ურთიერთ მოწინააღმდეგე ჯგუფებად, როგორ იტანჯებოდა მისი განსაზღვრული ნაწილი, რის ძიებაში იყო და რით იმედოვნებდა იგი და სხვ. წარსული გაკვეთილები ერთად-ერთი საშუალებაა მიმდინარე ცხოვრების გაუმჯობესების დროს შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

არა მარტო მსხვილ დაწესებულებათა არქივებს აქვთ დიდი მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ პატარა დაწესებულებების არქივიც დროთა ვითარებაში შესაძლებელია მეცნიერებებისათვის მისივე წონის ოქროდ დაფასდეს. არქივის მნიშვნელობა მარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. მას უღარესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, როგორ შეიძლება მშრომელთა სახნავე-სათესი მიწით დაკმაყოფილების საკითხი მოწესრიგდეს, თუ ჩვენ არ ვიცით წარსულში ის რთული ურთიერთობა, რომელიც მიწათმფლობელობით იყო გამოწვეული. ამის შესახებ-კი უხვი მასალები არქივებშია დაცული. აქვე ხშირად ჩვენ წავაწყდებით უკვე დავიწყებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა ადგილ-მდებარეობის შესახებ ცნობებს, რაიც შესაძლებელია ფრიად მნიშვნელოვანი გახდეს თანამედროვე სამეურნეო აღმშენებლობის განსამტკიცებლად. ძალიან ხშირად კერძო პირებიც ღებულობენ არქივიდან მნიშვნელოვან ცნობებს პირადი უფლების დასაცავად. შეეკითხეთ არქივის თანამშრომელს და ის გეტყვით, რომ კერძო მოქალაქენი, ორგანიზაციები და დაწესებულებები მრავალი ფრიად საკირო ცნობებს ღებულობენ არქივებიდან. მაგ., ს. ს. ს. რ. ცენტ-არქივიდან ასეთი ცნობები ყოველთვიურად 150-დე გაიცემა.

ყოველივე იმაზე, რაც ზემოდ ითქვა, საკიროა დაფიქრდეს ის, ვისთვის დღემდე არქივი ზედმეტი ბარგი იყო, ხოლო ვინც ჩაწვდება არქივის მნიშვნელობას, ვალდებულია ყოველი ღონისძიება იხმაროს მის დასაცავად და გადასარჩენად. ამას ავალებს მას მოქალაქეობრიობა, რომლის უფლების მატარებელია ის, ამასავე ავალებს მას საზოგადოება, რომლის წევრია იგი.

საბჭოთა ხელისუფლებამ აღრვევ გაუწია ანგარიში არქივის მნიშვნელობას და, პირველ რიგშივე მიიღო რა გადამწყვეტი ღონისძიებანი მის დასაცავად, 1921 წლის ივლისის 1-ის დეკრეტით საარქივო საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაუყარა. ყველი საბჭოთა რესპუბლიკებში დარსებულია საგანგებო ორგანო — ცენტრარქივი, რომელსაც ყოველგან თავის განყოფილებები და ხელკვეთი საარქივო ორგანოები აქვს მოწყობილი. საქართველოშიც მოწყობილია ასეთი ცენტრალური საარქივო ორგანო — ცენტრარქივი დედა-ქალაქში — ტფილისში. ხოლო პროვინციებში ცენტრარქივს სამაზრო აღმასკომებთან ჰყავს თავისი რწმუნებულები, რომელთაც ევალებათ არქივებისთვის თვალყურის დევნება. მაგრამ ერთი ან

ორი პირი უძლეურია ამ თვალყურის დევნებაში: ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს სახალხო ქონების უზრუნველყოფას, იგი ვალდებულია მის მიერ შენიშნულ არქივის უმწეო მდგომარეობის შესახებ აცნობოს ადგილობრივი რწმუნებულს, ანდა თვით ცენტრარქივს (ტფილისი, ლენინის ქ. № 48)

გაუფრთხილდით არქივებს! არქივი სახალხო ქონებაა, მისი უდიერად მომპყრობი — სახალხო ქონების გამფლანგველია.

მ. დიაკონენკო.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური არქივის აქტოს- ცავეზი მოთავსებულ საარქირო ფონდების მდგომარეობა.

საქართველოს საარქივო მასალები შეიცავენ ცნობებს მისი სახელმწიფოებრივ ცხოვრების ოთხი პერიოდის შესახებ, რის მიხედვითაც შეიძლება ისინი დაიყოს ოთხ ჯგუფად:

1) ქართველ მეფეთა ხანა, როდესაც ქვეყნის სახელმწიფოებრივობა ჯერ არ იცნობდა ხელისუფლების აპარატთა რთულ ქსელს და, მაშასადამე, არც არქივებს, თანამედროვე მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა დაცულია ამ დროის აუარებელი საბუთები, სიგელ-გუჯრები, ოქმები, მანუსკრიპტები და სხვა მე-11 საუკუნიდან მოკიდებული. ძველი ქართულ საბუთთა რიცხვი, რაც შეადგენს საქართველოს ცენტრარქივის საარქივო მასალების პირველ ჯგუფს, აღწევს 7500-მდის.

2) მეორე პერიოდი იწყება რუსთა დამკვიდრების დროიდან საქართველოში, ე. ი. 1801 წლიდან, როდესაც გაჩნდნენ აქამდის საქართველოში უცნობი დაწესებულებანი, და გრძელდება 1917 წლამდის. 100 წლის რუსეთის საქართველოში ბატონობის განმავლობაში შეიქმნა მრავალი დაწესებულებანი სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ეს დაწესებულებანი არა ერთხელ გაუქმებულა ან შეცვლილა ახალით და ბიუროკრატიული აპარატის შედეგად შეიქმნენ საუწყებო არქივები, რომელნიც დღეს მოგროვილია ცენტრარქივის არქივთსაცავებში. სამწუხაროდ, უწყებათა არქივები მთლიანად არ არის დაცული. საარქივო მასალების დიდი უმრავლესობა დაიღუპა სამოქალაქო ომის, პოლიტიკურ გადატრიალებათა და საერთო ეკონომიური კრიზისის დროს. ცენტრარქივში გადმოტანილ დაწესებულებათა არქივების აღწერილობათა და რეესტრთა დაკარგვის გამო, მრავალ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება იმის გათვალისწინება ზედმიწევნით, თუ რომელი საარქივო მასალები არის დაღუპული და რამდენად ძვირფასნი იყვნენ ისინი.



3) საარქივო მასალების მესამე ჯგუფი შეეხება პერიოდს 1921 წ. ამ პერიოდის არქივები, სამწუხაროდ, მთლიანად არ არის დაცული და მრავალ მთავანმა მხოლოდ ძლიერ დაზიანებულმა მოაღწია ჩვენამდე. მეორეს მხრივ ახალი სანელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებათა საქმის-წარმოებას თან ახლავს ისეთი გარეგნული ნაკლი, რომლის გამოც მათი გარჩევა და მათში დაცულ მასალების გამოკვლევა ძლიერ ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. ამ ხანის საარქივო მასალებიდან ცენტრარქივში არის: ამიერ-კავკასიის კომისარიატის, ა/კ. კომიტეტის, სახალხო გვანათლების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, გენერალ გუბერნატორთა, ქალაქთა კავშირის და თემთა კავშირის არქივების ნაწილები.

4) მეექვსე ჯგუფი საარქივო მასალებისა შეეხება საქართველოს გასაბჭოების მომენტს, ე. ი. იწყება 1921 წლიდან, როდესაც რესპუბლიკის უმაღლეს მთავრობის მიერ გამოიკა დეკრეტი საარქივო საქმეთა რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ. საბჭოთა დაწესებულებათა მთელმა რიგმა უკვე ჩააბარა თავისი არქივები ცენტრარქივს. დაწესებულებათა არქივების მიღება ცენტრარქივის მიერ გრძელდება.

არქივების კონცენტრაციის დროს ახლად მიღებული არქივები არ არიან მიკუთვნილი ამა თუ იმ ჯგუფს (სექციას), შესაფერი შტატის უქონლობის გამო, მაგრამ თვით საქმეთა სასიათის მიხედვით შეიძლება საარქივო მასალების განწილილვა შემდეგ სექციებად: 1) უმაღლესი მართველობისა და საგარეო პოლიტიკის კანონმდებლობანი, 2) შინაური მართველობისა და თვითმართველობის, 3) სამხედრო-საისტორიო, 4) იურიდიული, 5) სახალხო განათლების, 6) ისტორიულ-ეკონომიური, 7) ისტორიულ-რევოლიუციონური, 8) ოფიციალური ხასიათის ბექდვითი გამოცემანი, 9) საეკლესიო-საისტორიო.

პირველ ჯგუფის მთავარ ნაწილს წარმოადგენს: საქართველოს უმაღლესი მმართველობის, ა/კ. მთავარმართველობის, მეფის ნაცლის ამიერ კავკასიაში, მთავარმართველის, სამხედრო-სახალხო მმართველობის, ა/კ. კომისარიატის და ა/კ. კომიტეტის არქივები.

მეორე ჯგუფის არქივები: გუბერნატორების, გლეხთა საქმეების საგუბერნიო სამმართველოს, ქალაქთა საქმეების საგუბერნიო სამმართველოების, პოლიციის სამმართველოების თავად-ეზნაურთა და ვაჰართა.

მესამე ჯგუფის: იმპერიალისტური ომის არქივი (1924—1916 წ. წ.), მოზდოკის და კავკასიის არქივები (1751—1850 წ. წ.) და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივის ნაშთი.

მეოთხე ჯგუფის—სისხლის და სამოქალაქო სამართლის პალატების, სასამართლო პალატის, საოლქო სასამართლოს, მომრიგებელ მოსამართლეთა, ნოტარიუსის, სამხედრო და სამოქალაქო პროკურორებისა და სამხედრო სასამართლოთა საარქივო ფონდები.

მეხუთე ჯგუფი: მეფის ნაცვლის კანცელარიის, კავკასიის სამოსწავლო ოლქის, საცენზურო კომიტეტის, აღექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის, სახალხო სკოლების დირექციის, სათავად-აზნაურო გიმნაზიის, სასულიერო სემინარიის, კადეტთა კორპუსის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს და განათლების სახალხო კომისარიატის არქივები.

მეექვსე ჯგუფი: მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამმართველოს, საკონტროლო პალატის, ხაზინის, სახელმწიფო ბანკის ტელიისის კონტორის, სავაქრო ბანკის, რკინის გზათა და გზა-ტყე-ცილთა სამმართველოს, საექციზო, მთათა, საბაგო, საფოსტო ოლქის, ცხენთმოშენების ოლქის სამმართველოებისა, ზინგერის ამხანაგობის, „სევეკატორგის“, საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო სამინისტროს და თემთა და ქალაქთა კავშირების არქივები.

მეშვიდე ჯგუფი: მეფის ნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების, დროებითი გენერალ-გუბერნატორთა და საქართ. რესპუბლ. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივები.

მერვე ჯგუფი: მოხსენებები, უქვეშევრდომილესი ანგარიშები, სიები, ხარჯთ-აღრიცხვები, მანიფესტები, ბრძანებები, ცირკულიარები, და სხვა. სახელმწიფო და საზოგადო მართველობის და მეურნეობის დარგების შესახებ ბეჭდვითი მასალები.

მეცხრე ჯგუფი: სინოდალური კანტორის და საქართველოს ეგზარხოსის, მონასტერთა, ეკლესიათა, საეკლესიო მზრუნველობათა და ძმობათა არქივები.

ცენტრარქივის აქტთსაცავებში აღრიცხულია 87 საარქივო ფონდი. ფონდები დანაწილებულია განყოფილებებად დაწესებულებათა სტრუქტურის მიხედვით, განყოფილებებში საარქივო მასალები დაჯგუფებულია ქრონოლოგიურ წესზე. მომავალი მუშაობის დროს, უეჭველია, ფონდთა რიცხვი გამრავლდება, მაგ.: საგუბერნიო დაწესებულებათა არქივები საბოლოოდ არ არის ჯერ გარჩეული, ისინი დროებით გაერთიანებულია საერთო ჯგუფში, თუმცა იქ თავმოყრილია ცალკე არქივები გუბერნატორებისა, საგუბერნიო სამმართველოებისა, გლეხთა და ქალაქთა საქმეების საგუბერნიო სამმართველოების და სხვა.

უწყებათა საარქივო ფონდთაგან მთავარია რაოდენობით ვენელობით შემდეგი არქივები: ყოფილ კავკასიის მართველობის, საქართველოს უმაღლეს მართველობის (1801—1737 წ. წ.), კავკასიის მთავარ სამმართველოს (1838—1844 წ. წ.), მეფის ნაცვლის კავკასიაში (1845—1882 წ. წ.), კავკასიის მთავარ მართებლის (1883—1904 წ.წ.), და კავკასიის მეფის ნაცვლის ა/კ. (1905—1917 წ. წ.). ხსენებული არქივები მოთავსებულია თაროებზე 850 მეტრის მანძილზე, დაახლოებით. მასალები გარჩეულია ქრონოლოგიურად საფონდო სისტემის მიხედვით. ამასთან მთავარმართებლის და მეფის ნაცვლის არქივებისთვის საინვენტარო აღწერა და ანბანური (საგნობრივი და სახელობითი) მაჩვენებლები დასრულებული იქნება მოკლე ხანში. დამთავრებულია აღწერა მთავარმართებლის (1883 — 1904 წ. წ.), გადასახადების, საინსპექტორო, სამეურნეო, საერთო საქმეთა, საფინანსო, საანგარიშო, საბუღალტერო და საგანმკარგულებლო განყოფილებების არქივებისა. სათემო და საგლეხო განყოფილებათა არქივების აღწერილობის შედგენა განზრახულია მიმდინარე ზაფხულში. მეფის ნაცვლის კანცელარიის (1905—1917 წ. წ.) საინსპექტორო განყოფილების არქივის აღწერილობა გრძელდება. გლეხთა—მიწების, საიდუმლო ნაწილის, სასულიერო საქმეთა, სავაჭრო-სამრეწველო, ფინანსთა სამინისტროსთან მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის, აღმინისტრაციული, სასამართლო, სათემო და საბუღალტერო განყოფილებათა არქივების საინვენტარო დავთრები დასრულებულია, შედგენილია აგრეთვე მაჩვენებელი. მეფის ნაცვლის კანცელიარიის საგანგებო განყოფილების არქივი, სადაც თავმოყრილია უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის მასალები, აღწერილობით და მაჩვენებლით მთლიანად გადაეცა რევოლიუციის მუზეუმს. რევოლიუციის მუზეუმსვე გადაეცა აგრეთვე ნაწილობრივ აღწერილი საარქივო საქმეები: დროებითი გენერალ-გუბერნატორთა (1905—1917.), ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამართველოს და „ოხრანკ“-ის განყოფილებათა, აგრეთვე ტფილისის სასამართლო პალატის, პალატის და საოლქო სასამართლოს პროკურორის, სამხედრო-საოლქო სასამართლოების და სამხედრო საბრალმდებლო მეთაფლყურგობის არქივებიდან გამოკრებილი პოლიტიკური ხასიათის საქმეები.

ამის გარდა შედგენილია ნაწილობრივ საინვენტარო დავთრები ქრონოლოგიურად უკვე გარჩეული შემდეგი არქივებისთვის:

1) დიპლომატიური კანცლარიის (1824—1917 წ. წ.) მასალებზე უკვე შედგენილია საინვენტარო სიები (1824—1856 წ. წ.), რომელთა გაგრძელება და მაჩვენებლის შედგენა შეტანილია მიმდინარე ზაფხულის სამუშაო გეგმაში.

2) სამხედრო სახალხო მართველობის (1869—1917 წ. წ.).

3) კავკასიის სამოსწავლო ოლქის (1819—1912 წ. წ.), სადაც მოგროვილია: სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცლარიის, ალექსანდრეს სახელობის სამოსწავლ. ინსტიტუტის, სახალხო სკოლების დირექციების და ინსპექციების და თავად აზნაურთა საეაგო გიმნაზიის არქივები, პირადი შემადგენლობის საქმეებისთვის შედგენილია სახელობითი მაჩვენებლები. ზოლო დანარჩენი საქმეებისთვის საინვენტარო სიები.

4) კავკასიის საცენზურო კომიტეტის და ტფილისის ბეჭდვითი საქმეების კომიტეტის (1863—1917 წ. წ.) საქმეებზე ნაწილობრივ (1863—1888 წ. წ.) არის შედგენილი სააღწერო სიები, რომელთა დასრულებაც განზრახულია მიმდინარე ზაფხულში.

5) სახელმწ. ბანკის ტფილისის კანტორის არქივიდან (1874—1918 წ. წ.) აღწერილია 1874—1912 წ. წ. საქმეები.

6) ა/კ. რკინის გზათა სამმართველოს (1865—1917 წ. წ.) საშემოსავლო ნაწილის, ფოთი-ტფილისის, ტფილისი—ბაქოს, ტფილისი—ყარსის, სამტრედია—ბათუმის რკინის გზათა ვაყვანის შესახებ არქივები აღწერილია.

7) კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის: არქივი თვით კომისიისა, რომელიც დაარსებულია 1864 წელს, საბუთების პირები ცალკე კავკასიის არქივებიდან, როგორც არის: სტავროპოლის საგუბერნიო სამმართველოს (1777—1864 წ. წ.), ყუბანის სალაშქრო (1769—1865 წ. წ.) და ცენტრალური სამმართველოებისა, კავკასიის საგუბერნ. სამ. (1800—1841 წ. წ.), სხვა და სხვა პირთა (ვეიდენბაუმის, უსლარის) ქალაქები და წერილები უმთავრესად კავკასიის მეტყველების შესახებ, მასალები, რომელნიც დამზადებული იყო „აქტების“ მე-13 ტომში დასაბეჭდად და რომელნიც შეეხებიან მიხეილ ალექსანდრეს ძის (1862—1882 წ. წ.) მეფის ნაცვლად ყოფნის ხანას.

8) ა/კ. საგანგებო კომისარიატის კანცლარიის, ა/კ. საგანგებო კომიტეტის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივები. მასალები შეიცავენ ცნობებს 1917—1921 წ. წ. და შეეხებიან უმთავრესად ხელისუფლების რევოლუციონურ

საფუძვლზე ჩამოყალიბებას, ნაციონალიზაციას და პარტიათა შორის ბრძოლას. საინვენტარო აღწერა ამ მასალებისა, ნავარაუდევია დამთავრდეს მიმდინარე ზაფხულში.

9) ს. დ. რ. სახალხო განათლების სამინისტროს და განათლების სახალხო კომისარიატის 1918—1921—1923 წ. წ. კანცელარიების საქმეებიდან დამთავრებული ანბანის შედგენა პირადი შემადგენლობის საქმეებზე, ხოლო საინვენტარო აღწერილობის შედგენა შედის ზაფხულის სამუშაო გეგმაში.

10) არის აგრეთვე აღწერილი პატარა არქივები „სეკატორგ“-ისა 1923—1924 წ. წ. და ტფილისის და ბაქოს რ. გზ. სადგურების საკომენდანტო სამმართველოსი (1920—1923 წ. წ.). სულ 1926 წ. 1 ივნისათვის აღწერილია 117267 საქმე, სამხედრო-საისტორიო ფონდების გამოკლებით

11) **საადგილ-მამულო ფონდებიდან:** გადასახლების სამმართველოს, საუფლისწულო მამულთა სამმართველოს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის კავკასიაში, სახელმწიფო მამულების სამმართველოს, მიწათ-მოქმედების და მიწათ-მოწყობის მთავარ გამგის რწმუნებულის (ამ ფონდში შედის სასოფლო-მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის განყოფილება), მიწათ-მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტის, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების სამმართველოს, მიწათ-მოწყობათა პარტიების, სახელმწიფო ქონებათა საქართველო-იმერეთის პალატის და განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიების სახელმწიფო ქონებათა სამმართველოების არქივები.

ქვემო ჩამოთვლილი საარქივო ფონდები გარჩეულია ქრონოლოგიურად ფონდების მიხედვით, მაგრამ აღწერილობა ჯერ არ არის შედგენილი.

1) სამოქალაქო ნაწილის მთავარი სამმართველო კავკასიაში: საქართველოს მართებელი და საქართველოს უმადლესი მართველობა, ა/კ. მთავარ სამმართველო (1801—882 წ.). დაცული მასალები შეიცავენ ცნობებს: სამოქალაქო, ადმინისტრაციული და პოლიტიკური მართველობის, სასამართლოს, ვაჭრობა-მრეწველობის, ფინანსების, სახელმწიფო ქონებათა, საგადასახადო სისტემის და სხვათა შესახებ. ამ ხნის არქივებში არის დაცული კვალი საქართველოს შინაურ ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვანი ამბებისა, როგორც არის: სახალხო აჯანყებები, შეთქმულებები და სხვა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დღიდან

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. თუმცა ეს ფონდები აღწერილი არ არის, მაგრამ საქმეები განრიგებულაა განყოფილებებად და დაწესებულებათა სტრუქტურის მიხედვით, ქრონოლოგიურ წესს, შედგენილია აგრეთვე მაჩვენებლები, თუ რომელი წლების საქმეები არის შენახული ამა თუ ამ ფონდიდან, რაც საშუალებას იძლევა ვისარგებლოთ ამ მასალებით მეცნიერულ-ისტორიულ მიზნით.

2) წოდებრივი-სამამულო კომისიები თერგ-ყუბანისა, ზაქათალისა, ბაქოს, კავკასიის ნაწილებში წოდებრივ-სამამულო საქმეების დასასრულებლად კომისია, სამხედრო-სახალხო მართველობა (1821—1917 წ. წ.). კომისიების მასალები ახასიათებენ გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობას და აქვთ მნიშვნელობა კლასთა ბრძოლის ისტორიისათვის.

3) კავკასიის სამთო მართველობა (1859—1880 წ. წ.), სასოფლო მეურნეობათა და უცხოელთა კოლონიტების სამმართველო (1855—1873), ა/კ. დასახლების მომწყობი კომისია, ოსმალეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტი, გერმანელთა ახალშენები (1830—1870 წ. წ.), ყაზახთა და „სტანიცა“-თა სამმართველო (1860-80 წ. წ.), სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის სამმართველო კავკასიაში (1859—1863 წ. წ.), კავკასიის და ამიერ-კავკასიის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა დროებითი განყოფილება (1858—1867 წ. წ.), გლეხთა მომწყობი სამმართველოს კანცელარია (მასალები სავლახო რეფორმისა და გლეხებს მემამულეთაგან დამოკიდებულების მოსპობის შესახებ), ქართველ მეფეთა საბუთების განმხილველი კომისია, კულტინის მარილის მადნების სამმართველო (1852—1875 წ. წ.), ბორჯომის სახაზინო სამმართველო (1851—1865 წ. წ.), ამიერ-კავკასიის საკარანტინო და საბაჟო ოლქის სამმართველოს კანცელარია (1848—1881 წ. წ.), კავკასიის მთიან ნაწილის სამმართველო (1850—1881 წ. წ.), საზოგადო-სააღმშენებლო კომიტეტის კანცელარია (1865—1883 წ. წ.), ტფილისის სახაზინო თეატრი (1860—1890 წ. წ.), საფოსტო ოლქი (1859—1882 წ. წ.), ცხენთა მოშენების ოლქის სამმართველო (1874—1887 წ. წ.), ტფილისის საარტილერიო საწყობი, სახელოსნო და არსენალი (1890—1916 წ. წ.), ტფილისის თავად-აზნაურთა სადებუტატო საკრებულო, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო კომისია, ტფილისის ვაჭართა მამასახლისი (1904—1914 წ. წ.), სრულიად რუსეთის და საქართველოში დემოკრატ. რესპუბლიკის თემთა და ქალაქთა კავშირები (1914—1920 წ. წ.), წითელი ჯვარი (1914—1918 წ. წ.), იაპო-



ნის ომში დაზარალებულთათვის დამხმარე კომიტეტი (1905—1917 წწ.), კავკასიის ფონდიდან გამოქცეულთა მოწყობის მთავარი რწმუნებული (იმპერიალისტ ომი 1914—1919 წ. წ.), ტფილისის საგუბერნიო საპატიმროს ინსპექცია (1915—1916 წ. წ.), ტფილისის სახაზინო პალატა. ამ უკანასკნელ საარქივო ფონდში შედის მეფის დროინდელ და ნაწილობრივ მენშევიკური საქართველოს საარქივო მასალები, რომელნიც შეეხებიან გადასახადებს, მიწის წარმოების სარეწავეებს, ხარჯთ-აღრიცხვებს და კრედიტებს, ბაჟებს, ქალაქების შემოსავალ-გასავალს, ბანკებს, სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებს, საქარხნო-საფაბრიკო წარმოებებს, ვაჭართა წოდებაში მიღება-გარიცხვას, გლეხთა-შვილებას და სხვა. ქუთაისის სახაზინო პალატის მხოლოდ ნაშთი არის დაცული ცენტრარქივში.

საქართველო-იმერეთის და ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატების საარქივო ფონდები კომისიის მიერ ჯერ არ არის გარჩეული, თუმცა ცალკე ჯგუფად კი არის გამოყოფილი.

ცენტრარქივის იურიდიულ განყოფილებაში (სასამართლოს ქ. № 32) ინახება საარქივო ფონდები: ტფილისის სასამართლო პალატის, პალატის ბრალმდებლის ტფილისის საოლქო სასამართლოს მორიგე ბრალმდებლის, მომრიგებელ-მოსამართლეთა და ნოტარიუსთა. ცენტრარქივის აქტსაცავეებში იურიდიულ არქივებიდან ინახება მხოლოდ ტფილისის 1 და 3 რაიონის მომრიგებელ-მოსამართლეთა საქმეები (1890—1918 წ. წ.), რაც უკვე გარჩეულია კომისიის მიერ, და დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ მოსამართლეთა და ნოტარიუსთა არქივები. ქ. ონოლოგიურად გარჩეულია აგრეთვე სამხედრო-საპროკურორო მეთვალყურეობის საარქივო ფონდები. სამხედრო სასამართლოების არქივების მთავარი ნაწილი მოთავსებულია იუსტიციის სახ. კომისარიატის არქივში (სასამ. ქ. № 32), სადაც იგი გადატანილ იქნა მენშევიკების დროსვე.

საგუბერნიო არქივების გარჩევა ნავარაუდევია მიმდინარე ზაფხულს. ტფილისის კადეტთა კორპუსის და საექციზო სამმართველოს არქივები გარჩეულია კომისიის მიერ, ხოლო ქრონოლოგიურ წესრიგში არ არის მოყვანილი. სისხლის და სამოქალაქო სასამართლოს პალატის (1868 წლამდის), პოლიციის სამართველოების, გზა-ტყეცილების სამმართველოს-

ტფილისის საკანტროლო პალატის, ტფილისის საგუბერნიო ხაზინის, სინოდალური კანტორის, საქართველოს ეგზარხოსის, ტფილისის სასულიერო სემინარიის, კახეთის მონასტერთა და ეკლესიების, საეკლესიო მზრუნველობათა და საქმობოს, სახელმწიფო ბონების დამმზადებელი ეკსპედიციის, ზინგერის ამხანაგობის, და ტფილისში შვეიცარიის წარმომადგენელის აგრეთვე ა. წ. აპრილში მიღებული ს. დ. რ. სასურსათო სამინისტროს არქივის ნაწილი და ყოფილ დროებით გენერალ-გუბერნატორთა არქივები, რომელნიც ცენტრარქივის რეგისტრაციაში გატარებულან მხოლოდ მისში, ჯერჯერობით გაურჩეველია.

ძველი ქართული საბუთები და ხელნაწერი წიგნები.

საქართველოს ცენტრალური არქივის ერთ-ერთ განყოფილებას შეუდგენს ძველი ქართული საბუთების განყოფილება, სადაც მრავალი ძველი სიგელ-გუჯარი და სხვა საისტორიო მასალა დაცული. საძიარკველი ამ ფონდს ჩაეყარა 1922—1923 წლებში და დღეს უკვე ქართული საბუთების რიცხვი 7533-მდე აღწევს. ნაწილი ამ საბუთების აღმოჩენილ იქნა ცენტრარქივში მოგროვილ სხვა და სხვა არქივების საქმეებში, ნაწილი ჩამოტანილია ჩრდილოეთ კავკასიიდან, ნაწილი შეძენილია კერძო პირთაგან და ნაწილი მოგროვილია 1923—1925 წლ. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. საბუთების უდიდესი ნაწილი დაწერილია ქალღმერთზე, ნაწილი ეტრატზე და ორი საბუთი ქვის ფიცარზე. ხსენებულ საბუთებს უფარესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის ყველა დარგის შესასწავლად. აქ აღვნიშნავთ რამდენიმე მათგანს:

№ №¹⁾

- 7154 ხელწერილი რამინ და გიორგისა, დაწერილი ქვის ფიცარზე, X ს.
- 7155 სიგელი ზაზი და თოთის მიერ მიცემული ბაჰრამ და ლომასათვის, ქვაზე, XI ს.
- 7533 სიგელის პირი მელქისედეკ კათოლიკოზისა, ქალღმერთზე, გადაწერილი მე XII ს-ში.
- 1015 სიგელი დავით აღმაშენებლისა (?) არიშიანისადმი, ქალღმერთზე, XII ს.
- 7141 დავით აღმაშენებლის ანდერძის ნაწყვეტი, ეტრატზე, XII ს.
- 564 თამარ მეფის სიგელი გელათისადმი, ეტრატზე, XII ს.
- 7122 ლაშა გიორგის სიგლის ნაწყვეტი, ეტრატზე, XIII ს.
- 7150 წყალობის წიგნი არსენ ჭყონდიდელ მწიგნ. უხუცესისა აბულახტარისძისადმი, ეტრ., XIII ს.

¹⁾ ქვემოთ ნაჩვენები რიცხვები აღნიშნავენ ცენტრარქივის საინვენტარო დავთრის ნომრებს.

- 7134 შეწირულ. წიგნი დემეტრე წილკნელისა შიო მღვიმისადმი
(?, ეტრატზე (პალიმფსესტი), XIII ს.
- 361 პირი დადგენილებისა საეკლესიო კრებისა ულუ დავითის დროს,
1266—1268 წლ., ქალ.
- 7133 შეწირულ. წიგნი იოთამ ზევდგინიძისა შიო მღვიმისადმი,
ეტრატზე.
- 2243 სიგელი ალექსანდრე მეფისა მცხეთისადმი, ეტრატზე (პალიმფ-
სესტი, 1428 წ.
- 531 სიგელი გიორგი მეფისა კათოლიკოზ დავითისადმი, ქალ.,
1457 წ.
- 1047 სიგელი გიორგი მეფისა გელათისადმი, ეტრ., 1464 წ.
- 64 სიგელი კოსტანტინე მეფისა ზაზა ფანასკერტელისადმი,
1467 წ.
- 63 სიგელი კოსტანტინე მეფისა ფანიაშვილებისადმი, ეტრ.,
1481 წ.
- 1042 სიგელი ვამეყ შაბურისძისა ბოდორნისადმი (?) ეტრატზე,
1474 წ.
- 7151 მცნება სარჯულო ანტიოქიერუსალიმელ პატრიარქის მი-
ქაელისაგან აფხაზეთის კათოლიკოზისადმი, ეტრ., XV ს.
- 62 სიგელი დავით მეფისა სახლთხუცეს იოანე სოლალაშვილისად-
მი, ეტრ., 1512 წ.
- 540 სიგელი ალექსანდრე მეფისა ენისელთ მოურავ ჯორჯაძე
დავითისადმი, 1527 წ.
- 4 სიგელი სვიმონ მეფისა ბარათაშვილისადმი, ქალ., 1586 წ.
- 1048 სიგელი თამარ დედოფლისა, გიორგი მეფის მეუღლისა, გელა-
თის წმ. გიორგისადმი, ეტრ., 1586 წ.
- 2242 სიგელი ალექსანდრე მეფისა დავით გარეჯის მონასტრისად-
მი, 1597 წ.
- 3322 დავთარი აფხაზეთის საკათოლიკოზო გლეხების გამოსავალი-
სა, XVI ს.
- 7152 პირი აფხაზეთის საკათოლიკოზო დიდი იადგარისა, ეტრ.,
XVI ს.
- 2158 შეწირულ. წიგნი გიორგი იმერთა მეფისა გელათისადმი,
1604 წ.



- 534 სიგელი სვიმონ გურიელისა მოწამეთა მთავარ გიორგისადმი, 1614 წ.
 - 82 სიგელი როსტომ მეფისა ავალიშვილისადმი, ქალ., 1636 წ.
 - 1046 სიგელი როსტომ მეფისა სიონისადმი, ეტრ., 1650 წ.
 - 7153 საამილახვროს დაეთარი, ქალ., XVII ს.
 - 1536 დაეთარი საკათოლიკოზო გლეხების გამოსავალისა, XVII ს.
 - 1001 წილკნის სარგოს გარიგების წიგნი, XVII ს.
 - 2150 შეწირულობის წიგნი ვამეყ დადიანისა ნიკორწმიდისადმი, 1661 წ.
 - 2152 შეწირულობის წიგნი ვამეყ დადიანისა აფხაზეთის კათოლიკოზისადმი, 1658 წ.
 - 274 ყმობის წიგნი ჯანიაშვილისაგან ხითარაანთ როსტომისათვის მიცემული, 1695 წ.
 - 1049 სიგელი დოროთეოს კათოლიკოზისა იტრიისადმი, ეტრ., XVII ს.
 - 1529 ნუსხა ხობის შესავალისა, 1696—1742 წ.
 - 7144 დაეთარი მცხეთის ყმები ა, XVII—XVIII ს.
 - 3487 სია საამილახვროს სოფლებისა 1721 წ.
 - 4630 ყმობის წიგნი სარქისაანთ ჰერაპეტას შვილისაგან ბალასშვილისათვის მიცემული, 1786 წ.
 - 2999 ყმობის წიგნი იმერეთიდან გამოქცეულ მეგრელებისაგან ჩუბინიშვილებისათვის მიცემული, 1797 წ.
 - 202 სია მე-XVIII ს. მეფეთა, მდივანბეგთა და მოხელეთა.
 - 188 — 200 წერილები ირაკლი II თეკლა-ბიქასთან.
 - 5162 სია მორიგეთა (დაზ.)— XVIII ს.
 - 253 დაეთარი სამაჩაბლოს ყმებისა XVIII ს.
 - 2580 ყმობის წიგნი ბაღდასარ ხეჩატურას შვილისაგან სარდალ ამილახვარ ოთარის ჯალაბასადმი მიცემული, 1800 წ.
 - 5182 ყმობის წიგნი ლეჩხუმელ თეოდორასშვილი სვიმონისაგან ბეჟან ფალავანდოვასათვის მიცემული—1810 წ. და სხვა.
- გარდა სიგელ-გუჯრებისა და სხვა საისტორიო მასალისა ზემოხსენებულ განყოფილებაში დაკულია აგრეთვე ხუთასზე მეტი ხელნაწერი წიგნი. აქ არის ხელნაწერები ყველა დარგიდგან: ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ლეთისმეტყველ ბა, მედიცინა და სხვ. სულ არის 514 ხელნაწერი წიგნი მათში მთლიანად შენახულია 420, ხოლო 94 ძლიერ

დაზიანებულია. ხელნაწერების ერთი ნაწილი ჩამოტანილია რუსეთიდან, მეორე მოგროვილია ქართლკახეთის ეკლესიებიდან და კერძო პირთა შორის 1923—1925 წ. წ., ნაწილიც შექმნილია არქივის მიერ კერძო პირთაგან. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთიდან ჩამოტანილი ხელნაწერები, რომელთაგან აღსანიშნავია:

№ №

- 104 საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ავტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილისა, 1745 წ.
- 105 გეოგრაფიული ატლასი, ავტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილისა, 1745 წ.
- 107 ოთხთავი, ეტრატზე ნაწერი X—XI ს.
- 101 დავითნი დასურათბატებული XVI ს.
- 171 დავითნის ორი ფურცელი, ეტრატზე ნაწერი ასომთავრულად, XI—XII ს.
- 166 ვეფხისტყაოსანი, დაზ., XVII ს.
- 172 სავალობლები ნიშნები, X ს.
- 173 ხილვა ეკლესიათა შინა წიგნთა ათანასი რომთა პაპის მიერ, ეტრ., XII ს.
- 102 რუსუდანიანი XVII—XVIII ს.
- 135 ომან ხერხეულიძის შემოკლებული ისტორია ქართლისა, ირაკლი II-ისთვის, 1796 წ. და სხვა.
საქართველოში შეგროვილ ხელნაწერებიდან შესანიშნავია:
- 26 ოთხთავი, ეტრატზე ნაწერი, პალიმფსესტი, თორტიზის ეკლესიიდან.
- 6 სამოციქულიდან დარჩენილი ორი ფურცელი, ეტრატზე ნაწერი, პალიმფსესტი, ბოდორნის ეკლესიიდან.
- 3 ჟამის წირვა, ეტრატზე ნაწერი, მინაწერებით, გრაკალიდან.
- 323 ოთხთავი, ეტრ. ნაწერი, მინაწერებით, გადაწერილი თამარ მეფის დროს, წალკიდან.
- 322 საეკლესიო წიგნი რომელიმე, ეტრატზე ნაწერი, ძლიერ დაზიან., იქიდგანვე.
- 9 ჟამის წირვა, ეტრატზე ნაწერი, მინაწერებით, ძალისის ეკლესიიდან.
- 33 საქართველოს ისტორია და გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა, მე-XIX ს-ში გადაწერილი, ხელთუბნიდან.



- 58 ოსურ-ქართული საუბრის წიგნი, დაწერილი ქართულ ასოებით, ს. იკოთიდან (ქსნის ხეობა).
- 299 მეგობა სულისათვის, დავით რექტორის მიერ გადაწერილი, XVIII ს.
- 484 კინკლოზი, 1734 წ. გადაწერილი.
- 307 ცხოვრება შიო მღვიმელისა, შიო მღვიმის მონასტრიდან.
- 301 „ეთერემ ასური“, შიო მღვიმის მონასტრიდან.
- 302 გულანი ექიდგანვე.
- 363 ოახთაფი.ეტრატზე ნაწერი, ტფ. ყოფ. საკათოლიკოზო სახლიდან.
- 409 წესი მირონის შემზადებისა და კურთხევისა.
- 423 ლოცვანი ლათინურ ენაზე, დაწერილი ქართული ასოებით, XVIII ს.
- 476 ლოცვანი სომხურ ენაზე, დაწერილი ქართულ ასოებით, XVIII ს.
- 401 სახარება თათრულ ენაზე, დაწერილი ქართული ასოებით.
20 წმ. ნინოს ცხოვრების ვარიანტი, გადაწ. 1734 წ.
- 241 გულანი.
განყოფილებაში არის კიდევ ძველი სტამბის წიგნები:
- 10 „ტფილისის უწყებანი“, ჟურნალი ს. დოდაშვილ. რედ. 1832 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5.
- 11 ღრამატიკა გაიოსისა, დაბეჭდილი კრემენჩუგს 1789 წ.
- 1 დაბადება, დაბეჭდილი მოსკოვს მეფის ბაქარის მიერ 1743 წ., — 7 ცალი და სხვა.



კავკასიის სამხედრო არქივები და საქართველოს ცენტრ- არქივის სამხედრო ფონდი.

იმერიალისტურ რუსეთის ლტოლვამ მთიულ ტომების დასამორჩილებლად ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ამ ტომთა თავგამოდებულმა და მედგარმა ბრძოლამ, დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, გამოიწვია ე. წ. „კავკასიის ომი“. ამ ომის რთული ხასიათის გამო მთელი კავკასია ვაყოფილი იყო რამოდენიმე, თითქმის დამოუკიდებელ, სამხედრო მოქმედების რაიონად: კავკასიის ხაზის მარჯვენა და მარცხენა ფრთები ცენტრითურთ, საჩჩინო, დაღესტანი, ჩერქეზეთი, შავი ზღვის სანაპირო ხაზი და აკავკასია. საბრძოლველი პირობები თვითვე ამ რაიონში განსხვავდებოდნენ და ამიტომ მათ მთავარ პუნქტებში: სტავროპოლში, ეკატერინოდარში, კავკავში, მოზდოკში, თემირ-ხან-შურაში და სხვაგან ცალკე ჯარების უფროსთა შტაბებში შეიქმნენ მდიდარი სამხედრო არქივები, სადაც მოგროვილი იყო ფრიად საინტერესო მასალები მე-18 საუკუნის ნახევრიდან მოკიდებული. თავისთავად იგულისხმება, რომ თვით კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში — ტფილისში, სახელდობრ, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივში, თავმოყრილი იყო აგრეთვე აუარებელი ძვირფასი მასალა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კავკასიის ომის დასასრულამდე (1864 წ.) იმ რაიონებში, სადაც ომი სწარმოებდა, სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა გაერთიანებული იყო, — მაშინ ცხადი შეიქმნება, თუ რამდენად ამომწურავ მასალებს შეიცავდნენ სამხედრო არქივები სამხედრო და საერთოდ კავკასიის ისტორიის შესასწავლად.

სამხედრო არქივებიდან უფრო საყურადღებოა: ა) ტფილისისა, რომელიც 1921 წლის სამოქალაქო ომის დროს თითქმის სავსებით დაიღუპა, თუ არ ჩავთვლით გადარჩენილ სააქმეების უმნიშვნელო ნაწილს და 2) კავკავისა, რომლის უმეტესი ნაწილი (30000 საქმე) მოთავსებულ-



ლი იყო სამხედრო-საისტორიო განყოფილების ცალკე შენობაში (საბჭოთა ხოველის ქუჩაზე). ეს არქივი შენახულია საგნებით და შეადგენს ცენტრ-არქივის სამხედრო ფონდს.

საინფორმაციოდ მოვიყვანთ უფრო დაწვრილებითი ცნობებს ამ არქივების შესახებ.

1) კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივში ინახებოდა, თვით შტაბისა და არმიის უმაღლესი მართვლობის საქმეების გარდა, აგრეთვე საქმეები გაუქმებულ სალაშქრო შტაბებისა და ჯარის ნაწილებისა 1734 წლიდან. ხსენებული საქმეები შეიცავდნენ ვრცელ ისტორიულ მასალას მე-18 საუკუნის ნახევრიდან მოკიდებული შესახებ საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმების შემდეგ საქართველოში რუსეთის მართვლობის დამყარებისა და სხვა. ამ არქივის საქმეები შეიძლება გავანაწილოთ შემდეგ ფონდებად, მასალების ხასიათისა და შინაარსის მიხედვით:

ა) გენერალ კვარტირმისტერის სამმართველოს ფონდი: გენერალურ შტაბის პირველ განყოფილებაში თავმოყრილი იყო საბუთები კავკასიისა და მის მოსაზღვრე ქვეყნების სამხედრო სტატისტიკური აღწერილობათა შესახებ. აქვე ინახებოდა მეცნიერულად დამუშავებული შრომები, რომელნიც კავკასიის გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის საიმედო პირველ წყაროდ ითვლებოდნენ. ამ განყოფილებაშივე იყო თავმოყრილი სამიჯნაო კომისიების საქმეები. გენერალურ შტაბის მეორე განყოფილებაში ინახებოდა საოპერაციო გეგმები და ჯარის ცალკე ნაწილთა უფროსების ცნობები, ჟურნალები სამხედრო მოქმედებათა შესახებ, დისპოზიციები, მთის მცხოვრებლებთან ბრძოლის პროექტები, სახალხო მილიციის დაარსების შესახებ ცნობები და სხვა. გენერალურ შტაბის მესამე განყოფილება, რომელიც შემდეგში გადაკეთდა კავკასიის მთებში მოსახლეობა სამმართველოს კანცელარიად, შეიცავდა მიმოწერას, როგორც საკუთრივ სამხედრო-სახალხო მმართველობისა, ისე მცხოვრებთა წოდებრივ-სამამულო უფლებათა გამორკვევის შესახებ. გენერალურ შტაბის საზღვაო განყოფილებაში თავმოყრილი იყო ცნობები შავსა და კასპიის ზღვაზე გემთა განაწილებისა და მათი მოძრაობა-მოქმედების შესახებ. დასასრულ, საინჟინერო განყოფილებაში ინახებოდა მასალები ციხეების აგებისა და შეიარაღების, სამხედრო შენობათა აგებისა და სამხედრო გზების გაყვანის შესახებ.

ბ) მთავარ სამორიგეო სამმართველოს ფონდი: პირველ განყოფილებაში ინახებოდა მთელი არმიის ნაშახურობის ფურცლები, სამსახურში დანიშნვისა, დათხოვნისა და დაჯილდოვების შესახები მისაღები. მეორე განყოფილებაში—ცნობები ჯარის რაოდენობისა და მის მდგომარეობის, ჯარის ნაწილთა შედგენისა და დაშლის, შტატების შედგენისა და სხვათა შესახებ. მეტუთე განყოფილებაში—ცნობები ყაზახთა და ირრე-გულიარულ ჯარების შესახებ, მთელი მიმოწერა შავი ზღვისა, კავკასიის ხაზისა და დონის ყაზახთა მარჯველობის შესახებ, ოსმალეთში გაძევებულ მთიელთა მამულზე ყაზახთა დასახლებისა, მათი სამოქალაქო და სამეურნეო მართველობის შესახებ და, ბოლოს, ცნობები ყაზახთა ჯარის სტატისტიკისა და სამთო მილიციის შესახებ.

გ) კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის კანცელარია: აქ ინახებოდა საბუთები სიმაჟაცისა და სხვა დამსახურებისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ, საიდუმლო საქმეები, მთავარ სარდალთა წლიური ანგარიშები და საერთოდ სამხედრო ხასიათის განკარგულებანი.

1889 წელს სპეციალურად დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ ამ არქივში ინახებოდა 157.482 საქმე, ხოლო ოცდაათი წლის შემდეგ, ე. ი. იმპერიალისტურ ომის დაწყების წინ-ი ითვლებოდა 220.000 საქმე.

2) კავკავის არქივში მოკროვილი იყო: ა) ყოფილ ციხე ანნას არქივის 500 საქმე 1733—1783 წ. წ., ბ) გიორგიევსკის არქივის ნაწილი 1787 წლიდან, გ) ციხე აზოვის არქივი 1765—1798 წ. წ., დ) მოზდოკის არქივის უდიდესი ნაწილი 1763 წლიდან, ე) კავკასიის და შავი ზღვის ხაზების ჯარის შტაბების სამმართველოს მთელი არქივი, ვ) კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის და შავი ზღვის სანაპირო ხაზის სამმართველოს არქივი, ზ) გაუქმებულ მე 14, 19, და 22 ქვეითა დივიზიის საქმეები, ც) გაუქმებულ ბათალიონის საქმეები, თ) მთიელთა სამმართველოს კანცელარიისა და, დასასრულ, ი) ყუბანის ოლქის უფროსის სამმართველოს საქმეები.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, კავკავის არქივის დიდი ნაწილი (30.000 საქმე) გადარჩენილია და ამ ეამდ შეადგენს ცენტრარქივის სამხედრო ფონდს. ეს არქივი სამხედრო-საისტორიო განყოფილებას გადაეცა ჯერ კიდევ 1909—1910 წელს, როდესაც ამ განყოფილების მიერ ნაწილობრივ განხორციელებულ იქმნა ცენტრალიზაცია საერთოდ კავკასიის სამხედრო ფონდებისა.



სამხედრო-საისტორიო განყოფილება
სამხედრო არქივების
გამოყენება.

სამხედრო-საისტორიო განყოფილებაში აღწერილი იქნა 1878 წ., როგორც კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ნაწილი, მიზნად დასახული ჰქონდა საარქივო მასალების დამუშავება და გამოცემა. ამასთანავე თავის არსებობის მთელ ხნის (ორმოცი წლის), სიგრძეზე ხსენებული განყოფილება ასრულებდა აგრეთვე იმ ამოცანებსაც, რომელნიც მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივის პროგრამაში იყო შეტანილი. სამხედრო-საისტორიო განყოფილებას ჰქონდა თავისი ყოველწლიური ორგანო — „Кавказский сборник“, რომლის უკანასკნელი №, მე-32 ტომი გამოცემა 1912 წელს. „Кавказский сборник“-ში მოთავსებული იყო, როგორც ცალკე მონოგრაფიები კავკასიის ომის შესახებ, ისე აგრეთვე სამხედრო-საისტორიო აქტები, რომელნიც ამოკრებილი იყო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივიდან. ვინაიდან კავკასიის ოლქის შტაბის არქივი ამჟამად დაკარგულია, ამიტომ „Кавказский сборник“-ში მოთავსებული დოკუმენტები შეიძლება პირველ წყაროდ ჩაითვალოს. გარდა „Кавк. сборник“-ისა განყოფილების მიერ გამოცემული იყო: 1877—78 წ. წ. ოსმალეთის ომის აღწერა შეიქმნა ტომად, ჯარის ნაწილთა ისტორიული მიმოხილვა, 1901—1912 წლამდე გამოცემა კოლექტიური შრომა „Утверждение русского владычества на Кавказе“ რვა ტომად. ამ შრომის პროგრამაში შედიოდა კავკასიის მე-19 საუკ. სამხედრო და პოლიტიკური ისტორიის შედგენა, სამხედრო ნაწილი ამ შრომაში შეიცავს ისტორიას 1801—1837 წლამდე, ხოლო სამოქალაქო — 1862 წლამდე.

1914—1917 წ. წ. იმპერიალისტურ ომის
სამხედრო საარქივო
ფონდი.

იმპერიალისტური ომის შესახებ ცნობებისა და საბუთების დაცვის მიზნით, 1914 წლის 22 ოქტომბრის, № 65 ბრძანების თანახმად, ყველა არმიასთან დაარსებული იყო სამხედრო-სამეცნიერო არქივის განყოფილება, სადაც უნდა შეგროვილიყო შტაბების სამმართველოების და სალაშქრო ნაწილების საბუთები და ცნობები. ყველაფერი ეს დავალებული ჰქონდა სამხედრო-საისტორიო განყოფილებას, რომელმაც ეს დავალება შეასრულა და ფრონტიდან გადმოიტანა მრავალი ისტორიული მნიშვნელობის საქმე კავკასიის არმიის შესახებ.

სამხედრო-საისტორიო განყოფილების არქივისაკავშირში თავმოყრილი იყო იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი მასალა სამხედრო ფონდისა,

რომ ომის გათავების უმაღლეს 1919 წელს, მთავარ სარდლის ბრძანებით, (2711 - 1918 წ. № 116) დაარსებულ იქნა. ზ. მიწლიაშვილის თავმჯდომარეობით კავკასიის საისტორიო კომისია, რომელსაც ევალეზოდა 1914 და მომდევნო წლების ოსმალეთთან ომის ისტორიის შედგენა.

ეს კომისია შეუდგა სამხედრო-საისტორიო განყოფილებაში მოგროვებულ მასალების გარჩევა—გადაჯგუფებას და სარეგისტრაციო ბარათების შედგენას. კომისიამ ერთი წლის მუშაობის შემდეგ დემოკრატიულ ხელისუფლების დროს შესწავილა მუშაობა და ამის შემდეგ მუშაობას განაგრძობდა თვით საისტორიო-სამხედრო განყოფილება. მალე განყოფილება, დემოკრატიულ მთავრობის განკარგულებით, 1920 წლის აპრილის 23-ს გაუქმებულ იქნა და სამხედრო არქივები გადაეცა საქართველოს ცენტრარქივს.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო-სამხედრო ფონდი.

1921 წ. საქართველოს გასაბჭოების უმაღლესი აღდგენილ იქნა სამხედრო-საისტორიო განყოფილება. საზღვაო და სამხედრო საქ. სახ. კომისიარტის იმავე წლის 28 ივნისის № 187 ბრძანებით, დაარსდა საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის მთავარ სამართველოს ცენტრალური სამხედრო სექცია, რომელსაც ევალეზოდა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო საარქივო მასალების აღრიცხვა, შეგროვება, კლასიფიკაცია და შემდეგ მათი მეცნიერულად შესწავლა.

ცენტრალური საისტორიო-სამხედრო განყოფილების პრინციპზე საარქივო მასალათა კონცენტრაციის დროს არც ერთი არქივი არ დაზიანებულა ისე, როგორც სამხედრო ფონდი. ზევით უკვე აღნიშნული გვეხსენება, თუ როგორ გაიყიდა დემოკრატიულ მთავრობის დროს ზოგიერთი სამხედრო არქივები. სამწუხაროდ, 1921 წელსაც, სამოქალაქო ომის დროს, დაიღუპა ერთი ყველაზე უფრო ძველი და მნიშვნელოვანი სამხედრო არქივი—კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა, ომის გათავების შემდეგ სამხედრო-საისტორიო კომისია აწარმოებდა სამეცნიერო აღწერას. კომისიამ იმდენად მოაწესრიგა მასალები, რომ შესაძლებელი იყო გამოკვლევითი მუშაობის წარმოება ამ მასალებზე. სამწუხაროდ, ცენტრარქივის ძველი ადმინისტრაციის მიერ მთელი მუშაობა შეჩერებული იქნა: მისი განკარგულებით იმპერიალისტურ ომის უკვე მოწესრიგებული არქივი გადმოტანილ იქნა ცენტრარქივის მთავარ შენობაში, ხოლო კავკასიის და მოზდოკის არქივები დატოვებულ იქნენ ძველ ბინაზე; ამ გადმოტანის დროს ეს არქივები დაყრილ იქ-



ნენ იატაკზე. ასეთი უხეირო განკარგულების გამო სამხედრო არქივი საშინლად აირ-დაირია და საკმაოდ მძიმე შრომა შეიქმნა საჭირო მის წესრიგში მოსაყვანად. ამავე დროს კავკასისა და მოზდოკის არქივების ასეთ მდგომარეობაში (იატაკზე) დატოვება, სრულიად შეუწყნარებელი იყო და ამიტომ გასულ მისში ეს ფონდიც გადმოტანილ იქმნა ცენტრარქივის ახალი ადმინისტრაციის განკარგულებით ცენტრარქივის მთავარ შენობაში. ამ გვარად დღეს ცენტრარქივში მოგროვილია მთელი სამხედრო ფონდი: იმპერიალისტურ ომისა, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა და კავკავი—მოზდოკისა.

სამხედრო არქივების უქუტესი ნაწილი მოწესრიგებულია იმდენად, რომ მისი გამოყენება სამეცნიერო და პრაქტიკულ მიზნისათვის შესაძლებელია. შედგენილია ქრონოლოგიური საინვენტარო აღწერილობა შემდეგ სამხედრო დაწესებულებათა და ჯარის ცალკე ნაწილთა არქივების: 1) მთავარ სარდლის ფონტის შტაბის და კავკასიის არმიის სარდლის შტაბების: საოპერაციო, დამზვერავი, საერთო, განსაკუთრებული და სამობილიზაციო განყოფილებათა; 2) კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსის შტაბის: საჯილდოვო, სამწყობრო, საინტენდანტო, საარტილერიო და სამობილიზაციო განყოფილებების; 3) მეორე თურქესტანის კორპუსის და 1, 4, 5, 6, და 7 კავკასიის კორპუსების შტაბების, ყუბანის პლასტუნთა ბრიგადების, მსროლელთა „დრუჟინების“ და სახელწიფო „დრუჟინების“; 4) კავკასიის არმიის სამხედრო ურთიერობათა სამმართველოს უფროსის: საგზაო და სატრანსპორტო განყოფილებების; 5) რამოდენიმე საქმე მომარაგების სამმართველოს უფროსის, სამხედრო-სასანიტარო სამმართველოს, ოსმალების დაპყრობილ ადგილების გენერალ-გუბერნატორის, წითელ ჯვარის და სანაპირო სადარაჯოს მე-6 ოლქის 6) კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადაზკერვო და სამობილიზაციო განყოფილებების იმპერიალისტურ ომამდე.

ჩვეულებრივი საინვენტარო აღწერილობათა გარდა, განყოფილების მიერ შედგენილია დაწვრილებითი მეცნიერული აღწერილობა სადაზვერო ნაწილის საქმეებზე 1909-1917 წ. წ. იმპერიალისტური ომის არქივიდან სააბოლოოდ მოწესრიგებულია საერთოდ 8000 მეტი საქმე.

სამეცნიერო მუშაობა ცენტრარქივის სამხედრო განყოფილების გამოიხატა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის შტაბის და მის სხვა და სხვა სამმართველოების დავალებათა შესრულებაში. სამხედრო საკითხების და მუშაების დროს, იმპერიალისტურ ომში ოპერაციების ხსიათის გაცნო-

ბის მიზნით, წითელ დროშევან არმიის შტაბისთვის აუცილებელია კავკასიის ფრონტზე ომის წარმოების გაცნობა. შტაბის უფროსის მოთხოვნით, ეგზავნება მას სპირო სპეშები, ანდა თვით ცენტრარქივის სამხედრო განყოფილებაში ამოიკრიბება ხოლმე ვრცელი ცნობები ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ასე მაგალითად, სამხედრო განყოფილებამ დაამუშავა და უკვე შტაბს გადასცა ორი დამთავრებული შრომა: 1) „Общий очерк операций Кавкасской армии в Согандугском и Ольгинском направлениях до взятия Эрзерума 3 февраля 1916 год“ და 2) „Хроника боев в империалистическую войну на Кавкасском фронте в период 1914-1916 г. г. в Согандугском и Ольгинском направлениях и Аларшкетской долине“.

განყოფილება დახმარებას უწყევს მასალების მიწოდებით შტაბიდან მოვლენილ თანამშრომელთ. ასეთსავე დახმარებას იღებენ ის პირნი, რომელთაც ნება დართული აქვთ იმუშაონ ცენტრარქივში წარსული ომის ისტორიის გამოკვლევაზე. მაგალითად, სამხედრო-საისტორიო მასალების მიხედვით: აშხ. ბატაშვიტმა დაამუშავა: „ერზერუმის ოპერაცია“. აშხ. ეგოროვი ამუშავებს: „აზერბაიჯანში მომქმედ კავკასიის მე 7 კორპუსის სამხედრო ოპერაციებს“. აშხ. ლოსინსკი ამუშავებს გამოკვლევას „სარიყამის ოპერაციების შესახებ“, აშხ. კარპოვიცა გამოიყენა მასალები ამავე ფონდიდან რკინის გზის ტრანსპორტისა და სხვათა შესახებ.

ცენტრარქივის უახლოესი საპერსპექტივო სამუშაო გეგმის მიხედვით შედგენილი იქნება სამხედრო ფონდის მეცნიერული აღწერილობა, მოწესრიგებული იქნება სამხედრო მოქმედებათა ყურნალები და სხვადე წიგნაკები, რომლებიც მრავლად არიან შეკრებილნი და შეიცავენ ცალკე ოპერაციების შესახებ საინტერესო ცნობებს. შედგენილი იქნება აგრეთვე იმპერიალისტური ომის არქივის საინვენტარო აღწერილობა.

კავკასის და მოზდოკის ძველი სამხედრო ფონდი საკმაოდ დარღვეულია და მისი წესრიგში მოყვანა დიდ შრომას მოითხოვს. ამ არქივის საქმეებს საოლქო შტაბის არქივის დაღუპვის შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, განსაკუთრებით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად მე 18 საუკუნეში. ამ არქივებში დაცულია კავკასიის სხვა და სხვა რაიონების უფროსების მოხსენებები, კავკასიის მთების მცხოვრებლებთან ბრძოლის აღწერები და, რაც მთავა-



რია, ღირეტივები მთავარ სარდლისა, განსაკუთრებით სამხედრო საკითხების შესახებ.

საერთოდ ეს ფონდი, ცენტრარქივის ძველი ქართული საბუთებისა და საქართველოს სამოქალაქო მართველობის საარქივო ფონდებთან ერთად, არის წყარო, სიდანაც შესაძლებელია მრავალი, დღემდე გამოუქვეყნებელი, საბუთის გამოკრება. ამ გვარად ეს სამხედრო ფონდი დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარს საქართველოს მე 18 და 19 საუკუნეების ისტორიის შედგენის საქმეში.

ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზი

ცენტრალურ არქივში მოგროვილია მრავალი ძვირფასი საარქივო მასალა ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს წარსულის შესახებ. რათა მკვლევართათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო აქ დატული მასალები და შესძლებოდათ მათ ამ მასალებზე მუშაობა მეცნიერული და პრაქტიკული მიზნებისთვის — ცენტრარქივმა მოაწყო ამისთვის სპეციალური სამეცადინო დარბაზი, სადაც მსურველს შეუძლია, არსებული წესების მიხედვით, საჭირო საარქივო მასალებით სარგებლობა. დარბაზისთვის განკუთვნილია ცენტრარქივის მთავარ შენობაში ფართო და სინათლიანი ოთახი.

სამეცადინო დარბაზის მოწყობა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს საშუალებას აძლევს მკვლევართ ისარგებლონ იმ საგანძურებით, რომელნიც შეიცავენ ჩვენი წარსულის დასახსიათებლად დაუფასებელი მნიშვნელობის და შინაარსის მქონე მასალებს. უეჭველია, საქართველოს წარსული ცხოვრებიდან მრავალი საკითხი იქნება სათანადოდ გაშუქებული. არა ერთ უმნიშვნელოვანესი ცნობების შემცველ საქმეს, რომელიც დღემდე ხელუხლებლად იდგა თაროზე, ჩამოებერტყება მტვერი და ამეტყველდებიან მასში ჩაკეცილი ასწლოვანი ქაღალდები; არა ერთსა და ორს, აქამდე ბურუსით მოცულ საკითხს, მოეფინება ნათელი სხივი, აღდგება ფაქტის კეშმარიტი სახე და საქმის ნამდვილი ვითარება.

დარბაზი მოეწყო ამა წლის აპრილის 15-დან. დარბაზში მუშაობა შემდეგი წესით მიმდინარეობს: ცენტრარქივში დატული მასალებზე მუშაობის მსურველი, სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, ეცნობა დარბაზში მუშაობის წესებს და სდებს ხელწერილს, რომ მტკიცედ დაიცავს მათ, ბოლოს შეავსებს ანკეტებს და მოთხოვნითი ფურცელს, სადაც აღნიშნავს მისთვის საჭირო მასალებს. დარბაზის გამგე, გამოითხოვს რა სა-

თანადო ფონდის გამგისგან მომუშავეის მიერ მოთხოვნილ მასალებს, ჩასწერს დარბაზის გაცემის წიგნში და ხელწერილის ქვეშ ჩააბარებს მომთხოვნელს.¹)

ცენტრარქივი ყოველ ღონეს ხმარობს დარბაზის სათანადოთ მოსაწყობად, რომ შექმნას მეცნიერული მუშაობისთვის ხელშემწყობი პირობები, მაგრამ ცენტრარქივის ადმინისტრაციის მთავარი ყურადღება ამ ეამად მიპყრობილი აქვს იმ სასწრაფო მუშაობას, რომლის უმთავრესი მიზანი არის არქივთსაცავებში მოგროვილი მასალების ტექნიკურ წესრიგში მოყვანა. ამისდა მიუხედავად დარბაზის მუშაობა, მის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში, მაინც შესაძნევეია. დარბაზში ყოველდღიურად მუშაობს გამოკვლევებზე, საშუალოდ, ხუთი კაცი. აპრილის 15-დან ივნისის 8-დე გამოთხოვილი იყო 45 საქმე, რომელზედაც მუშაობდა სულ 10 სხვა და სხვა პირი. ამ პირთა მიერ წარმოებული გამოკვლევები, მათი შინაარსის მიხედვით, ასე განაწილდებიან:

ლიტერატურული შინაარსის	1
პოლიტიკური "	1
სამხედრო-ისტორიული "	2
სოციალ-ეკონომიური "	2
ისტორიული "	2
სავაჭრო-სამრეწველო "	1
სამართლის ისტორიის "	1

უქვეყლია შემოდგომიდან, როდესაც ცენტრარქივში დამთავრებული იქნება ხსენებული სამუშაო და საზოგადოების მეტი ნაწილი გაცნობა არქივთსაცავებში დაკულ მასალებს და მათზე მუშაობის წესებს, მომუშავეთა და გამოკვლევათა რიცხვი საგრძობლად გაიზრდება.

¹) სამეცადინო დარბაზში საარქივო მასალებზე მუშაობის შესახებ განათლების კომისიის მიერ დამტკიცებული წესები, აგრეთვე ანკეტის, ხელწერილის და მოთხოვნილი ფორცლის ნიმუშები იბეჭდება ამ №-ის ოფიციალურ განყოფილებაში.

საარქივო აღმუშავებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში.

(კონსპექტური მიმოხილვა უკრაინის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობის მუშაობის მიხედვით)

უ. ს. ს. რ. ცენტრარქივის მთავარ სამმართველომ 1926 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში თავისი ოფიციალური მიმართებით მიიპატიუა საქართველოს ცენტრარქივის წარმომადგენელი ამავე წლის მაისის 8-თვის ხარკოვში განზრახულ სრულიად უკრაინის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე.

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს გამგისა და ცენტრარქივის დირექტორის გადაწყვეტილებით ყრილობაზე დასწრება წილად ზედა ამ სტრიქონების დაშწერს, რომელსაც დაევალა ერთი მხრივ უკრაინაში საარქივო აღმშენებლობის ძირითად პრინციპების შეძლების. დაგვირად გაცნობა, ხოლო მეორეს მხრივ უკრაინის ყრილობისათვის, მოხსენების სახით, საქართველოში საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ამ წერილში, რომელიც საანგარიშო მოხსენებადაა განკუთვნილი, ჩვენ შევეცდებით ზოგად შტრიხებში სქემატურად აღვნიშნოთ უკრაინაში საარქივო აღმშენებლობის მხოლოდ მთავარი მომენტები, რამდენად ამის საშუალებას გვაძლევს ყრილობის მუშაობის შედეგები და ხარკოვში ჩვენი იქ ყოფნის, ე. ი. 10 დღის განმავლობაში, საქმის უშუალოდ გაცნობა. მაგრამ ვიდრე ყრილობის მუშაობის ფუნქციონალურ მხარისა და საარქივო აღმშენებლობის ძირითად პრინციპების დახასიათებას შევეუდგებოდეთ, სურათის სისრულისათვის აღვუხსნათ ზოგიერთ



ისეთ ცნობებს თვით ყრილობის შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ჩვენი თემის გაშუქებისათვის.

სრულიად უკრაინის საარქივო მოღვაწეთა პირ-საბაჰივო მოღვაწეთა ველი ყრილობა გაიხსნა ხარკოვში სახალხო განათ-
პიკველი ყრილობა ლების ინსტიტუტის დიდ დარბაზში მაისის 8-ს. ყრილობა გახსნა, უკრაინის ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს სახე-
ლით, სამმართველოს გამგემ აშხ. რუბანმა, რომელმაც მოკლედ დაახასია-
თა არქივების პოლიტიკური მნიშვნელობა და ყრილობის ამოცანები. ყრილობის მუშაობამ გასტანა ხუთი დღე, მაისის 8-დან 14-მდე. ყრი-
ლობის მუშაობა მეტწილად უკრაინულ ენაზე სწარმოებდა.

ყრილობას დაესწრო დაახლოვებით 90 კაცამდე, ამათში 79 დელე-
გატი იყო (64 ვადამწყვეტი ხმით და 15 სათათბირო ხმით), ხოლო და-
ნარჩენი—სტუმრები.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო: 1) ორმოცდა ერთი ოლქი, 2) ერთი ავტონომიური რესპუბლიკა,—მოლდავია, და 3) ორი მოკავ-
შირე რესპუბლიკა—რუსეთის ს. ფ. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ.

დელეგატების გარდა ყრილობას დაესწრნ შემდეგი დაწესებულე-
ბათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები: 1) უ. ს. ს. რ. ცენტრა-
ლურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა, 2) უ. ს. ს. რ. გა-
ნათლების სახალხო კომისარიატისა, 3) უკრაინის კომპარტიის ცეკას
პარტისისა, 4) უ. ს. ს. რ. რევოლიუციის მუზეუმისა და სხ.

ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიის მიერ წინასწარ შე-
მუშავებულ გეგმის მიხედვით ყრილობას უნდა განეხილა შემდეგი სა-
კითხები: 1) უკრაინის ცენტრარქივის კოლეგიის მოხსენება მთავარ სამ-
მართველოს მუშაობა-მოქმედებისა და მისი მორიგ ამოცანების შესახებ, 2) საინფორმაციო მოხსენება პარტისისა, 3) საინფორმაციო მოხსენება
მოკავშირე რესპუბლიკათა, 4) საარქივო მასალების კონცენტრაციისა და
განაწილების ძირითადი პრინციპები და არქივისსაცავთა სქემა, 5) საარ-
ქივო მუშაკთა მოზადება უკრაინაში, 6) საგამომცემლო მოღვაწეობა
უკრაინის ცენტრარქივისა, 7) საარქივო დაწესებულებათა კორესპონდენ-
ტების ქსელის ორგანიზაცია, 8) საინსტრუქტორო მუშაობის ფორმა და
მეთოდები, 9) საარქივო მასალების შენახვის მეცნიერულ-ტექნიკური
პირობები, 10) უ. ს. ს. რ. მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის

რეგისტრაცია და 11) საოლქო საარქივო სამმართველოების ტიპიური ბიუჯეტი 1926-27 წლისთვის.

პირველ შვიდი საკითხის შესახებ მოხსენება, ამავე გვეგის მიხედვით, ყრილობას უნდა მოესმინა პლენუმზე, ხოლო დანარჩენი ოთხი საკითხი სექციებში უნდა დამუშავებულიყო. ამის გარდა ყრილობას უნდა განეხილა და დაემტკიცებია დებულებები ცენტრალურ საისტორიო არქივთსაკავისა და ცენტრალურ რევოლიუციის არქივთსაკავის შესახებ.

საორგანიზაციო კომისიის ეს გეგმა და რეგლამენტი ყრილობის მიერ უცვლელად იქმნა მიღებული და მისი მუშაობა ამ გეგმის მიხედვით ჩატარდა კიდევაც.

აღნიშნავთ საერთო მომენტებს ყრილობის მუშაობის მიხედვით.

საერთო მდგომარეობა. ცენტრარქივის სტრუქტურა. უმაღლესი საარქივო მართვა ორგანო რესპუბლიკაში არის უკრაინის ცენტრარქივის მთავარი სამმართველო.

სამმართველოსთან არსებობს კოლეგია ანუ საბჭო, რომელიც შესდგება ხუთი წევრისაგან: 1) ცენტრარქივის გამგისა, 2) მის მოადგილისა (იგივე საადმინისტრაციო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე), 3) არქივთმცოდნეობის განყოფილების გამგისა, 4) პარტისის გამგისა და 5) გაანათლებლის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისაგან. ამას გარდა სამმართველოსთან არსებობს ეგრედ წოდებული სამეცნიერო-საორგანიზაციო კოლეგია, რომელშიაც შედის ექვსი კაცი: 1) საადმინისტრაციო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე, 2) არქივთმცოდნეობის განყოფილების გამგე, 3) უფროსი ინსპექტორი, 4) ცენტრალურ საისტორიო არქივის გამგე, 5) ცენტრალურ რევოლიუციის არქივის გამგე და 6) სწავლული არქივთმცოდნე. სამმართველოს კოლეგიის თავმჯდომარედ ითვლება ცენტრარქივის გამგე, ხოლო სამეცნიერო-საორგანიზაციო კოლეგიის თავმჯდომარედ — საადმინისტრაციო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

მთავარ სამმართველოს აქვს ორი მთავარი განყოფილება: 1) საადმინისტრაციო-საორგანიზაციო და 2) არქივთმცოდნეობის განყოფილება. პირველ განყოფილებას თავის მხრივ აქვს ორი ქვე-განყოფილება: ა) საინსპექტორო და ბ) საისტრუქტორო. არქივთმცოდნეობის განყოფილებასთან არსებობს: ა) საინფორმაციო ნაწილი და ბ) სამეცნიერო-საგამომკვლევო კოლეგია.

ადგილობრივი საარქივო აპარატები. უკრაინის შთელს ტერიტორიაზე მოფენილია საარქივო აპარატების ქსელი, რომლებიც ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს ფილიალებს წარმოადგენენ. თითოეულ ოლქში მოწყობილია საოლქო საარქივო სამმართველო და ასეთი სამმართველოები; ოლქების რიცხვისდამხედვეთ, სულ 41-ია. გარდა ამისა მოლდავიის ავტონომიურ რეპუბლიკაში არსებობს მთავარი საარქივო სამმართველო, რომელიც აგრეთვე უკრაინის ცენტრარქივს ემორჩილება*).

საოლქო საარქივო სამმართველოები სამი ტიპისაა: 1) პირველი ტიპის საარქივო სამმართველოში შტატი რვა კაცისაგან შესდგება, და ამ ტიპის სამმართველოები სულ 8 ოლქშია, 2) მეორე ტიპის სამმართველოებში შტატი 6 კაცისაგან შესდგება და ასეთი ტიპის სამმართველოები სულ 11-ია, 3) მესამე ტიპის სამმართველოების შტატი 4 კაცისაგან შესდგება და ასეთ სამმართველოთა რიცხვი საერთოდ 23-ს უდრის.

საოლქო საარქივო სამმართველოები საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებობენ და ორგანიზაციულად უკანასკნელთა აპარატის ნაწილს შეადგენენ. საარქივო სამმართველოების ბიუჯეტი ტარდება საოლქო აღმასკომების საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში, ხოლო საარქივო საქმეებში სამმართველოები ემორჩილებიან ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს უშუალოდ. საარქივო სამმართველოს გამგე შედის საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმში სათათბირო ხმით.

არქივთსაცავები. არქივთსაცავთა ქსელი უკრაინაში ერთობ დიდია. თითოეულ საოლქო საარქივო სამმართველოსთან მოწყობილია საოლქო არქივთსაცავი, ხოლო ცენტრში, ხარკოვსა და კიევში, არსებობენ ცენტრალური არქივთსაცავები. უკანასკნელი ტიპის არქივთსაცავები სულ ხუთია; სამი ხარკოვში, ხოლო ორი—კიევში: 1) ხარკოვის ცენტრალური საისტორიო არქივი, 2) რეგლიუციის ცენტრალური არქივი, 3) შრომის ცენტრალური არქივი, 4) კიევის ცენტრალური საისტორიო არქივი და 5) კიევის არქივი ძველი აქტებისა. ყველა ჩამოთვლილი არქივთსაცავები, გარდა საოლქო არქივთსაცავებისა, იმყოფებიან უკრცენტრარქივის საერთო ბიუჯეტში. საოლქო არქივთსაცავები კი იმყოფებიან საოლქო საარქივო სამმართველოების გამგებლობაში და მათი ბიუჯეტი ამ სამმართველოების საერთო ბიუჯეტში ტარდება.

* უკრაინაში საგუბერნიო და სამაზრო სადმინისტრაციო დაყოფა გაუქმებულია და ამიტომ საგუბერნიო და სამაზრო საარქივო ორგანოებიც არ არსებობენ.

შტატი. ცენტრარქივის მთავარი სამმართველოს და საოლქო საარქივო სამმართველოების შტატი სათანადო დებულებებით არის განსაზღვრული. ცენტრარქივის შტატში ითვლება სულ 66 კაცი, აქედან მარტო სამმართველოში—18 კაცი, ხარკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში—9 კაცი, რევალიუციის ცენტრალურ არქივში—20 კაცი, კიევის საისტორიო ცენტრალურ არქივში—10 კაცი და ძველ აქტების არქივში—9 კაცი. პროვინციებში, მოლდავიის რესპუბლიკის გამოკლებით, ბიუჯეტის მიხედვით ითვლება სულ 222 კაცი, აქედან პირველ ტიპის საარქივო სამმართველოს ზედება 64 კაცი (8×8), მეორე ტიპისას—66 კაცი (11×6), ხოლო მესამე ტიპისას—92 (23×4). მთელს უკრაინაში ცენტრსა და პერიფერიებში საერთოდ ითვლება—288 საარქივო დარგში მომუშავე. ეს რიცხვი სინამდვილეში გაცილებით მეტია, რადგან ზოგიერთ ოლქში ჩვეულებრივად უფრო დიდი შტატი, ვიდრე ეს ბიუჯეტის მიხედვითაა განკუთვნილი.

ბიუჯეტი. ცენტრარქივის ბიუჯეტი რუსეთის ცენტრარქივის ბიუჯეტთან შედარებით დიდი არ არის, მაგრამ თავისდათავად არც მაინც და მაინც მცირეა. მიმდინარე წლის ცენტრარქივის ბიუჯეტი შეადგენს 96.000 მანეთს, სპეციალური თანხები—40.000 მან. სულ საერთოდ $96.000 + 40.000 = 136.000$ მან. საოლქო საარქივო სამმართველოების ბიუჯეტი სხვადასხვა ოლქში სხვადასხვა ნაირია. ადგილობრივი ფინანსური პირობების მიხედვით, და ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს ბიუჯეტში არ შედის. უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ ბიუჯეტის სიმცირემ ყრილობაზე დიდი კამათი გამოიწვია: როგორც ცენტრარქივის წარმომადგენლები, ისე ზოგიერთ ოლქების წარმომადგენლებიც სჩიოდნენ, რომ სახსრების სიმცირის გამო მუშაობა წარსულში ბრკოლდებოდა და მოითხოვდნენ მის გადიდებას. ყრილობაზე გამოტანილ კათეგორიულ დადგენილებისა და სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის წარმომადგენლის ოფიციალური განცხადების თანახმად, ბიუჯეტი, როგორც ცენტრარქივისა, ისე ადგილობრივ საარქივო ორგანოთა უნდა გაორკეცებულ იქნას.

გამომცემლობა. ცენტრარქივის საგამომცემლო მოღვაწეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ცენტრარქივი სცემს ხარკოვში სისტემატიურად 1925 წლიდან თავის ორკვირეულ „ბიულეტენს“ და ჟურნალ „Архивна Справа“-ს (საარქივო საქმეს). უკანასკნელი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი № გამოსულა. ამის გარდა ცენტრარქივს უკვე დაბეჭდილი აქვს საარქივო კანონთა კრებული „Збірник узаконень та розпоряджень робітничо-селянського уряду України“, ხოლო და-



საბეჭდად დამზადებულია შემდეგი შრომები: „Декабристы на Украине“ და ორი კრებული ოქტომბრის რევოლუციისათვის მიძღვნილი. განზრახულია აგრეთვე გამოიცეს პერიოდიული ჟურნალი „Красный Архив“. ჩამოთვლილ გამოცემებში არ შედის ადგილობრივი საარქივო ორგანოთა გამოცემანი, როგორც მაგ. კიევში, პოლტავაში, ოდესაში, ჩერნიგოვში და სხვაგან.

საარქივო კანონმდებლობა. უკრაინაში საარქივო კანონმდებლობის საქმე, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგადაა დაყენებული. გამოცემულია მთელი რიგი საარქივო დეკრეტებისა და კანონებისა უმაღლეს მთავრობის მიერ. თვით ცენტრარქივის მიერაც გამოცემულია მთელი რიგი ინსტრუქციებისა და წესებისა, რომელნიც საარქივო საქმეს გარკვეულ იურიდიულ და პრაქტიკულ ფორმებში აყალიბებენ. გამოცემულ კანონებიდან და წესებიდან აღვნიშნავთ უფრო მთავარს: 1) უკრაინის ცაკის დეკრეტი მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის შესახებ 1925 წ. 16-XII, 2) ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს და მის ადგილობრივი ორგანოების შესახებ დებულება 1925 წ. 4-XI, 3) უკრაინის ცაკის დადგენილება 1923 წ. 19-XII ცენტრარქივისთვის სპეციალურ თანხების უფლების მიცემის შესახებ, 4) წესები სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებებში საარქივო ნაწილის მოწესრიგების შესახებ, 5) საარქივო მასალების შენახვის წესები, 6) საარქივო მასალებით სარგებლობის წესი და სხვა.

ასეთია საერთო მდგომარეობა. გადავიდეთ ახლა საარქივო აღმშენებლობის ძირითად პრინციპებზე.

საარქივო მასალები. 1. საარქივო მასალების კონცენტრაცია და მათი კონსერვაცია და განაწილება არქივთსაცავთა შორის უკრაინაში სწარმოებს: ა) საარქივო მასალების უკეთ დაცვისა, ბ) სამეცნიერო მიზნით მათი გამოყენებისა და გ) პრაქტიკულ მოთხოვნილებებისათვის საარქივო ფონდების არქივთსაცავებში რაციონალურად დაბინავების თვალსაზრისით.

საარქივო მასალები, რომელთაც სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს, გროვდება, კონცენტრაციის წესით, არა მარტო ცენტრში, არამედ რესპუბლიკის სხვა პუნქტებშიც, სადაც უმაღლესი სასწავლებლები არსებობენ და სამეცნიერო მუშაობა სწარმოებს. ეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს საარქივო მუშაობას ადგილობრივადაც და პერიფერიის ანგარიშში ცენტრის გიპერტროფიას ადგილი არ ექნეს.

2. უკრაინაში, როგორც აღნიშნული იყო, არსებობს სამი ტიპის არქივთსაცავი: 1) ცენტრალური არქივთსაცავები (ხარკოვსა და კიევში), 2) სამხარეო არქივთსაცავები (კიევში, პოლტავაში, ჩერნიგოვში, ოდესაში და ხარკოვში) და 3) საოლქო არქივთსაცავები (ყველა ოლქში უკლებლივ). ცენტრალურ არქივთსაცავებში მოთავსებულია არქივები იმ დაწესებულებებისა, რომელნიც არსებობდნენ უკრაინაში მე-18 საუკუნის დასასრულამდე, ე. ი. ყოფილ რუსეთის იმპერიაში საგუბერნიო სისტემის შემოღებამდე. სამხარეო არქივთსაცავებში მოთავსებულია მე-19 საუკუნისა და 20 საუკუნის დასაწყისის საარქივო მასალები. დასასრულ, საოლქო არქივთსაცავებში ინახება თებერვლის რევოლიუციის შემდეგდროინდელი არქივები—პროვინციაში. ცენტრში რევოლიუციის შემდეგდროინდელ არქივებს ათავსებენ „რევოლიუციის ცენტრალურ არქივთსაცავში“.

3. ცენტრალურ არქივთსაცავებში (ხარკოვსა და კიევში), როგორც წესი, თავს იყრის ისეთი საარქივო ფონდები, რომელთაც საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვთ, ან მნიშვნელობა აქვთ მის ისტორიულად განკერძოებულ ნაწილისათვის: ხარკოვში—უმთავრესად აღმოსავლეთ უკრაინისა, ხოლო კიევში—დასავლეთ უკრაინისა.

დანარჩენი ჯამი საარქივო მასალებისა, რომელიც ამ პრინციპის მიხედვით არ ეკუთვნის ცენტრალურ და სამხარეო არქივთსაცავებს, ინახება საოლქო არქივთსაცავებში. საოლქო არქივთსაცავები განიყოფება ორ ნაწილად: სამარქაფო და მუდმივი არქივთსაცავი. ა) სამარქაფო არქივთსაცავში ინახება ის არქივები, რომელნიც არსებულ კანონების თანახმად, კონცენტრაციის წესით, გადაეცემიან საარქივო ორგანოებს დაწესებულებებიდან, და ამ არქივთსაცავში ეს არქივები რჩებიან მხოლოდ დროებით. სამარქაფო არქივთსაცავებიდან მასალები გადაეცემიან ან საოლქო არქივთსაცავის მუდმივ ნაწილში, ან სამხარეო არქივთსაცავში, ან კიდევ, იშვიათ შემთხვევაში, ცენტრალურ არქივთსაცავში. ბ) მუდმივ არქივთსაცავებში ინახება საოლქო დაწესებულებათა საარქივო მასალები და სამაზრო დაწესებულებათა ისეთი ფონდები, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

4. საისტორიო-სარევოლიუციო საარქივო ფონდები ნაწილდებიან არქივთსაცავთა შორის შემდეგი პრინციპის მიხედვით: 1) საისტორიო-სარევოლიუციო მასალები ცენტრალურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და აგრეთვე მასალები უფრო პატარა მასშტაბის დაწესებულებათა, რომელნიც ცენტრარქივის მიერ აღიარებული იქნებიან



საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის მქონე მასალებად, ინახება „რევოლიუციის ცენტრალურ არქივში“. 2) საისტორიო-სარევოლიუციო ფონდები ყოფილ საგუბერნიო დაწესებულებათა, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჯერე დაკარგული აქვთ, ინახება სამხარეო არქივთსაცავის საისტორიო-სარევოლიუციო განყოფილებაში. 3) დანარჩენი საისტორიო-სარევოლიუციო ფონდები საოლქო და სამაზრო დაწესებულებათა ინახება საოლქო არქივთსაცავის საისტორიო-სარევოლიუციო სექციაში.

5. საარქივო მასალები ცენტრალურ პროფესიულ ორგანიზაციათა და ზოგიერთ სხვა დაწესებულებათა, რომელნიც ორგანიულად დაკავშირებული არიან პროფკავშირებთან, ინახება „შრომის ცენტრალურ არქივთსაცავში“. არქივები ყოფილ საგუბერნიო პროფესიულ ორგანიზაციათა და სხვა მსგავს დაწესებულებათა ინახება სამხარეო არქივთსაცავის პროფორგანიზაციათა არქივების სექციაში.

6. პარტიული არქივები ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ინახება „რევოლიუციის ცენტრალურ არქივთსაცავში“, სადაც ეს მასალები შეადგენენ საგანგებო განყოფილებას. არქივები ყოფილ საგუბერნიო პარტიულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ინახება სამხარეო არქივთსაცავებში, სადაც ეს მასალები აგრეთვე შეადგენენ სპეციალურ სექციას—პარტსექციას.

არქივები ლიკვიდაცია-ქმნილ სამაზრო და სხვა პარტიულ ორგანიზაციათა ინახება სათანადო სამხარეო არქივთსაცავებში.

საარქივო მასალების უკრაინაში ცენტრალური მთავარ სამმართველო-საინჟინერო და მათი უნახვის ტექნიკური პირობები. უკრაინაში ცენტრალური მთავარ სამმართველო-საინჟინერო და მათი უნახვის ტექნიკური პირობები. უკრაინაში ცენტრალური მთავარ სამმართველო-საინჟინერო და მათი უნახვის ტექნიკური პირობები. უკრაინაში ცენტრალური მთავარ სამმართველო-საინჟინერო და მათი უნახვის ტექნიკური პირობები.

1. საარქივო მასალის არქივთსაცავში დაბინავებამდე საჭიროა ერთის მხრივ ამ მასალების შინაგანი მოწესრიგება, ხოლო მეორეს მხრივ მათი პრაქტიკული და მეცნიერული თვალსაზრისით რაციონალურად განრიგება—განწვლილება.

2. საარქივო მასალის კლასიფიკაციის დროს საარქივო ორგანოებს ევალებათ უზირველესად ყოვლისა გამოარკვიონ ის საარქივო ფონდი,

რომელსაც ეს მასალები ეკუთვნის. მასალების კლასიფიკაციის შემდეგ დაწესებულების სტრუქტურის აღდგენა შესაძლებელი უნდა ხდებოდეს. დაწესებულების სტრუქტურის აღდგენა უნდა მოხდეს იმდენად, რამდენად ამის საშუალებას საარქივო მასალები იძლევა. ზედმეტი გარვეულობის შეტანა დაუშვებელია.

3. საარქივო ფონდები ურთიერთ დამოკიდებულების თვალსაზრისით იყოფა სამ ჯგუფად: ძირითადი, თანამგზავრი და შენაერთი ან შენაკადი. ა) ძირითადი ფონდი ეწოდება ისეთ დაწესებულების ფონდს, რომელიც თავის არსებობის მთელ ხნის სიგრძეზე მოქმედება თავის კომპეტენციის ფარგლებში სრულიად დამოუკიდებლად და სხვა რომელიმე დაწესებულებასთან მას არასოდეს ორგანიული ან ტენიკური კავშირი არ ჰქონია. ბ) თანამგზავრი ფონდი ეწოდება ისეთ დაწესებულების ფონდს, რომელიც თავის კომპეტენციით, ასე თუ ისე, დამოუკიდებელ დაწესებულებას წარმოადგენდა, მაგრამ მას სხვა დაწესებულებასთან, რომელსაც ძირითადი ფონდი აქვს, მუდმივი ორგანიული და ტენიკური კავშირი ჰქონდა. გ) დასასრულ, შენაერთი ან შენაკადი ფონდად იწოდება ისეთი დაწესებულების ფონდი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულება იყო, მაგრამ ბოლო დროს მომხდარ ცვლილებების გამო შეუერთდა მეორე დაწესებულებას.

4) საარქივო მასალების დაცვას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. მასალები დაცული უნდა იყოს განსაკუთრებით: ნოტიოსაგან, მტერისაგან, ქაღალდის გამფუჭებელ ცხოველებისაგან, ცეცხლისაგან, შხის სხივებისაგან, დღის გაძლიერებულ სინათლისაგან და სხ. უნდა გვახსოვდეს, რომ ზედმეტი სინათლე ენებს ნაწერს, სამაგიეროდ სასარგებლოა ქაღალდისათვის. ამასთან დაკავშირებით სინათლე არქივოსაცავში უნდა იყოს საშუალო.

5) არქივისათვის განკუთვნილი შენობა უნდა იყოს მშრალი, მზიანი და საფრთხისგან უზრუნველყოფილი. საუკეთესო ბინად საარქივო მასალებისათვის ითვლება დახურული ხის შენობა, ვენტილიაციით. შემდეგ, ღია თაროები—სტელაჟები. სხვანაირი შენობა საარქივო მასალებთან (მაგ., იატაკზე) დაუშვებელია.

6. უძველესი საარქივო მასალები, რომელთაც განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულება აქვს, უნდა ინახებოდეს სპეციალურ კარტონის კოლოფებში. ასეთი მასალების კოლოფებიდან ამოღება უნდა ხდებოდეს იშვიათად და განსაკუთრებული სიფრთხილით.



7. ნაკრულად საარქივო მასალის შენახვა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში და ცვით: ა) ნაკრული არ უნდა იყოს დიდი, მისი სისქე არ უნდა აღემატებოდეს 15-17 სანტიმეტრს, ბ) ნაკრულზე შემოხვეული უნდა იყოს შედარებით რბილი შპაგატი, გ) შპაგატის ქვეშ ნაკრული დაკული უნდა იყოს მგარი კარტონით, დ) ნაკრული უნდა ინახებოდეს დაწოლილი.

8. საარქივო მასალები შეიძლება შენახულ იქნეს შეუკვრელადაც იმ შემთხვევაში—თუ შესაძლებელია მათი მოთავსება კოლოფებში ან შკაფებში. ასეთ შემთხვევაში მასალები უნდა იყოს უქვევლად დანობრილი და აღწერილი. ამ პირობების დაცვით მასალების შეუკვრელად შენახვას უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

9. არქივისაცავებში თაროებზე საარქივო მასალების დაწყობის სქემა უნდა ეთანაბრებოდეს საარქივო მასალის კლასიფიკაციის სქემას. ამას მოითხოვს მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისი.

ეს თეზისები ყრილობამ სავსებით მოიწონა და ამ საკითხის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში მათი ცხოვრებაში გატარება მიზანშეწონილად სცნო.

საარქივო აღწერის ძირითადი პრინციპები.

საარქივო მასალების აღწერის დროს სათანადო წესების დაცვას უკრაინაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ცენტრარქივის მიერ შემუშავებულია საარქივო მასალების აღწერის ძირითადი პრინციპები. ეს საკითხი გაშუქდა აგრეთვე ყრილობაზედაც, სადაც აშხ. რომანოვსკიმ საგანგებო მოხსენება გააკეთა ამის შესახებ. მისი მოხსენება შემდეგ მთავარ თეზისებს შეიცავდა.

1. საარქივო აღწერა სამ მიზანს ისახავს: ა) საარქივო მასალის დაცვას, ბ) საქმის მოძებნის გაადვილებას პრაქტიკულ მიზნისათვის და გ) საარქივო მასალის გამოყენების შესაძლებლობას სამეცნიერო მიზნისათვის.

2. საარქივო აღწერა შეიძლება იყოს სამ გვარი: ა) საინვენტარო, ბ) სამეცნიერო და გ) ე. წ. მიმოხილვა.

3. საინვენტარო აღწერის მთავარი მიზანია საარქივო მასალის აღრიცხვა და დაკარგვისაგან მისი უზრუნველყოფა. ამიტომ საინვენტარო აღწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. არქივი, უკეთესად არ ადგენს საარქივო მასალების საინვენტარო აღწერას, არ ასრულებს თავის ძირითად ამოცანას—მასალების დაცვას. ამიტომ ყოველგვარ სხვა აღწერის შედგენამდე საჭიროა შედგეს საინვენტარო აღწერა. საინვენტარო აღწერა უნდა შეიცავდეს: ა) საარქივო №-ს, ბ) საქმის,

წიგნის, ან საბუთის სახელწოდებას, ბ) თარიღს, გ) ფურცლების რიცხვს და დ) საჭირო შემთხვევაში შენიშვნას მასალების მდგომარეობის შესახებ.

4. საარქივო მუშაობის თანამედროვე არა-ხელსაყრელი პირობები (შტატის სიმცირე, მუშაობის შესრულების სიჩქარე და სხ.) მოითხოვენ არქივისტისაგან სასწრაფო მუშაობას, ამიტომ აღწერა უნდა შეიცავდეს მხოლოდ აუცილებელ ცნობათა მინიმუმს. ზედმეტ ცნობების შეტანა ამ თვალსაზრისით არამიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

5. თითოეულ ფონდის აღწერა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ესა თუ ის ფონდი, როგორი მდგომარეობაშია ის, აქვს თუ არა მას საკანცელარიო აღწერა (რეესტრი, აღფაბეტი) და სხვა.

6. სამეცნიერო აღწერა ხასიათდება საარქივო მასალის ნიშნების სისტემატიზაციით და მათი სამეცნიერო თვისებათა გამოკვევით. ამგვარ აღწერას წინ უნდა უსწრებდეს აღწერის დეტალურ პროგრამის შემუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომების აცილება ძნელია.

7. სამეცნიერო აღწერა სდგება ფონდის ინდივიდუალურ თავისებურობასთან შეფარდებით. სამეცნიერო აღწერა შესაძლებელია შესდგეს სხვადასხვანაირად, ფონდის შინაარსისა და მის ბიოგრაფიულ, თუ ქრონოლოგიურ ნიშნების მიხედვით. სრული სამეცნიერო აღწერა შეიცავს საქმის ან ცალკე საბუთის დახასიათებას და მის გარეგნულ მდგომარეობის დაწვრილებითი აღწერას. სამეცნიერო აღწერა ესაჭიროება ისეთ ფონდებს ან ცალკე კოლექციებს, რომელთაც განსაკუთრებული ისტორიული ღირებულება აქვთ.

8. აღმწერი გაცნობილი უნდა იყოს იმ დაწესებულების ისტორიასა და მოქმედების წესთან, რომლის ფონდსაც ის აღწერს. განსაკუთრებით შესწავლილი უნდა იყოს და აღწერაში შეტანილი აღმწერის მიერ გარეგნული ისტორია აღსაწერ საარქივო ფონდისა.

9. სასურველია აღწერას წარემძღვანოს აღწერილ ფონდის საერთო დახასიათება, იმ დაწესებულების სახელწოდების აღნიშვნით, რომელსაც ფონდი ეკუთვნის. აქვე სასურველია დასახელება იმ კანონებისა, რომელზედაც ემყარებოდა ეს დაწესებულება თავის მოქმედების დროს, და აგრეთვე წყაროებისა, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ამ დაწესებულების მოღვაწეობისა და ფონდის შესწავლა.



10. აღწერის დროს აუცილებლად გამოყენებული უნდა იქნას კანცელარიო აღწერა—რეესტრი, აღფაბეტი და სხვა, როგორც დაწესებულების სტრუქტურის გამოსარკვევად სასარგებლო მასალა. აღწერას საფუძვლად უნდა დაედგას საქმეების საკანცელარიო სათაური, შეძლებისდაგვარად, უცვლელად. საკანცელარიო სათაურის შეცვლა დასაშვებია იმ შემთხვევაში: ა) როდესაც ეს სათაური სრულიად არ უდგება საქმის შინაარსს, ბ) როდესაც საქმეს გაურკვეველი ან ბუნდოვანი და ზედმეტად ვრცელი სათაური აქვს.

11. „მიმოხილვა“ არის ცდა საარქივო მასალის შინაარსის დახასიათებისა. მიმოხილვის ძირითად თავისებურობას შეადგენს სუბიექტივიზმი. საარქივო მასალისათვის მიმოხილვის შედგენის ხასიათი დამოკიდებულია უმთავრესად შემდგენელის ცოდნა-გამოცდილებასა, ინტელექტსა და უნარზე. მიმოხილვა შეიძლება შესდგეს ვრცლად და მოკლედ, საჭიროებისდა მიხედვით. მიმოხილვის შედგენა მეტად სასარგებლო და სასურველია, მაგრამ იგი უნდა სდგებოდეს საინვენტარო აღწერის შემდეგ, მეორე რიგში. მიმოხილვა უნდა სწარმოებდეს ისეთ არქივში, სადაც მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია ზედმიწევნით არის ჩატარებული და საინვენტარო აღწერა უკვე შედგენილია *).

სარქივო ფონდის აღრიცხვა და რეგისტრაცია. უკრაინაში ასეთივე განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს საარქივო ფონდების რეგისტრაციას. იგი შეადგენს ცენტრარქივის და მის ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს. ეს ვასაგებიცაა, ვინაიდან საარქივო ორგანოებს არ შეუძლიანთ დაკისრებულ ამოცანათა შესრულება, უკეთეს მათ არ ექნებათ სწორი ცნობა ყველა საარქივო ფონდების ჯამის შესახებ. უამისოდ ცენტრარქივს არ შეუძლია მოახდინოს ფონდების კონცენტრაცია და განაწილება, არ შეუძლია ორთვე ცნობების მიწოდება ამ მასალების მიხედვით, სამეცნიერო მიზნისათვის მათი გამოყენება და სხ. ყრილობაზე ამ საკითხმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ამ საკითხის შესახებ წარმოდგენილ მოხსენებებისა და კამათის მიხედვით ეს საკითხი შეიძლება შემდეგ ნაირად წარმოვიდგინოთ:

1. საარქივო ფონდების სისწორით აღრიცხვისათვის საჭიროა „კარტოტეკის“ სისტემის შემოღება: საჭიროა შესდგეს ძირითადი და დამატებითი „კარტოტეკები“.

*) საარქივო აღწერის აღნიშნული პრინციპები უკრაინის საარქივო პრაქტიკაში, იშვიათ გამონაკლისის გარდა, საყოველთაოდ განმტკიცებულია და ამიტომ ეს პრინციპებიც ყრილობამ უცვლელად მიიღო.

2. მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის „კარტოტეკა“*) მუდამ უცვლელი არ რჩება: მის შემადგენელი ბარათების რიცხვი მრავლდება ახალ ფონდების აღმოჩენასთან ერთად. ამას გარდა საარქივო ფონდების კლასიფიკაციისა და გადარჩევის მუშაობის გაღრმავებისთან ერთად „კარტოტეკის“ ცნობები თანდათან იცვება და უფრო სრული ხდება.

3. მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდში მეტი გარკვეულობის შეტანისათვის საჭიროა შესდგეს ერთი ძირითადი და ოთხი დამატებითი „კარტოტეკები“. ძირითადი „კარტოტეკა“ უნდა შეიცავდეს უკრაინის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ფონდებს, რომლებიც იმყოფებიან ცენტრარქივის გამგებლობაში. დამატებითი „კარტოტეკები“ შეიცავენ: 1) სამეცნიერო არქივებს, 2) დაღუპულ არქივებს, 3) უკრაინის იმ არქივებს, რომელნიც მის ტერიტორიის გარეშე იმყოფებიან და 4) იმ არქივებს, რომელნიც უკვე ცენტრარქივის აქტსაკავებშია მოთავსებული.

4. საარქივო ფონდის აღრიცხვასა და რეგისტრაციას აწარმოებენ საარქივო ორგანოები თავის სამოქმედო რაიონის მასშტაბით. „კარტოტეკის“ ბარათების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ცენტრარქივს, ხოლო მეორე რჩება ადგილობრივ ორგანოებს.

5) მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის სარეგისტრაციო ბარათები, სამეცნიერო ხასიათის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, მათი შინაარსისა და მიხედვით ნაწილდებიან სექციებად, როგორც მაგალითად: 1) საისტორიო-საეფოლოღიუკო მასალების სექცია, 2) ისტორიულ მასალების სექცია, 3) ეკონომიურ მასალების სექცია და სხ. თითოეულ სექციაში ფარგლებში ბარათები ნაწილდება დაწესებულებისა და მიხედვით, ალფაბეტისა და ქრონოლოგიურ წესის დაცვით.

6. ძირითადი „კარტოტეკის“ შედგენა, მისი სიდიდის გამო, უნდა სწორდება შემდეგი რიგის დაცვით: 1) უპირველესად ყოვლისა ბარათები უნდა შესდგეს ლიკვიდაციამწილ დაწესებულებების იმ ფონდებზე, მათი შენახვის ადგილისა და მიუხედავად, რომელნიც უკვე აღრიცხვაზე აღებული არიან, 2) შემდეგ უნდა შესდგეს მომქმედ დაწესებულებათა იმ ფონდებზე, რომელნიც უკვე გადაცემული არიან არქივთსაცავებში და, ბოლოს. 3) იმ საარქივო მასალებზე, რომელნიც ჯერ კიდევ დაწესებულების საარქივო ნაწილში იმყოფებიან.

7. საარქივო ფონდების რეგისტრაციას საარქივო ორგანოები აწარმოებენ ცენტრარქივის მიერ შემუშავებულ გეგმისა და წესის მიხედვით. ამ წესების დარღვევა დაუშვებელია, ვინაიდან დარღვევას შეუძლია გა-

*) „კარტოტეკა“ საგანგებო ბარათების საშუალებით საარქივო ფონდების აღრიცხვის სისტემას ეწოდება. ამ ტერმინს საარქივო პრაქტიკაში მოქალაქობრივი უფლება მოთხოვნილი აქვს და ამიტომ, ადგილის ეკონომიის მიზნით, ჩვენც ასე ვხმარობთ.



ართულოს და შეაფერხოს ცენტრარქივის მუშაობა აღრიცხულ მასალების სისტემატიზაციის დროს.

საინსპექტორო-საინსტრუქტორო მუშაობის წესები.

საინსპექტორო მუშაობას აწარმოებს, როგორც თვით ცენტრარქივის მთავარი სამმართველო უშუალოდ, ისე აგრეთვე ადგილობრივი ორგანოებიც — საოლქო სამმართველოები. ცენტრარქივის ამგვარ მუშაობისათვის ჰყავს მთელი კადრი ინსპექტორებისა და ინსტრუქტორებისა, რომელნიც სისტემატიურად მოგზაურობენ რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში და ხელმძღვანელობას უწევენ ადგილობრივ ორგანოთ საარქივო მუშაობაში.

საინსპექტორო და საინსტრუქტორო მუშაობას თავის სამოქმედო რაიონის ფარგლებში, როგორც ვთქვით, აწარმოებენ აგრეთვე საოლქო საარქივო სამმართველოებიც. მთავარი ამოცანა, რომელიც დასახული აქვთ ამ მხრივ საოლქო სამმართველოებს, მდგომარეობს მოქმედ საბჭოთა დაწესებულებების მიმდინარე საქმისწარმოების საარქივო ნაწილის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევაში. ამ გვარი კონტროლისა და მეთვალყურეობის საშუალებით სწარმოებს უკრაინაში დაწესებულებების მიჩვევა მათი არქივების წესიერად შენახვისა და ამ მასალების მოწესრიგებულად საარქივო ორგანოებისათვის გადაცემის საქმისადმი. აღენიშნაეთ ამ წესების ძირითად მომენტებს თეზისების სახით:

1. დაწესებულებათა არქივებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა სწარმოებს საინსტრუქტორო აპარატის მიერ უშუალოდ და არა მიწერ-მოწერის საშუალებით. მიწერ-მოწერისა და წერილობითი ინსტრუქციების მიწოდებით სრულიად შეუძლებელი ხდება, როგორც ცოცხალი კავშირის დაქერა დაწესებულებებთან, ისე აგრეთვე საჭირო წესების ცხოვრებაში გატარებაც. მაგრამ წერილობითი ინსტრუქციების მიწოდება ამისდა მიუხედავად მაინც უნდა სწარმოებდეს.

2. დაწესებულებათა არქივების დათვალიერების დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს: 1) არქივისათვის განკუთვნილი შენობა შეეფერება თუ არა თავის დანიშნულებას, 2) დაწესებულებას ჰყავს თუ არა სპეციალური არქივარიუსი, ან არქივისათვის პასუხისმგებელი პირი, 3) როგორია დაწესებულების სტრუქტურა, 4) რამდენი ცალკე ფონდია თავმოყრილი დაწესებულების არქივთსაცავში, 5) ფონდის მოკულობა საერთოდ და ცალ-ცალკე. 6) განცალკევებულია თუ არა

არქივი მიმდინარე საქმისწარმოებისაგან, 7) დაკულია თუ არა სა-
არქივო წესები და კანონები, 8) როგორ მდგომარეობაშია არქივი და რა
ნაკლი აქვს მას. არქივის დათვალიერების შესახებ უნდა შესდგეს სათა-
ნადო წერილობითი აქტი.

3. დაწესებულებათა არქივების დათვალევრება უნდა ხდებოდეს
გვერდის მიხედვით: ერთ რიგში და თანმიდევნებით უნდა დათვალიერ-
დეს ერთი უწყების ან ერთნაირ ხასიათის დაწესებულებათა არქივები;
მეორე უწყების ან მეორე ხასიათის დაწესებულებათა არქივების დათვა-
ლიერება მხოლოდ ამის შემდეგ უნდა სწარმოებდეს. ამ წესით ერთი
უწყების დაწესებულებათა დათვალიერების შემდეგ მათი მდგომარეობის
შესახებ საერთო მოხსენება უნდა წარედგინოს იმ უმაღლეს ორგანოს,
რომელიც აერთიანებს ამ დაწესებულებათ. სასურველია აგრეთვე საინ-
სტრუქტორო აპარატის მიერ მოწვეულ იქნეს დათვალიერების შემდეგ
ამ დაწესებულებათა სათანადო წარმომადგენლების თათბირი საარქივო
ნაწილში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

4. საბჭოთა დაწესებულებებიდან არქივების ჩაბარებამდე საჭიროა
მოხდეს წინასწარი დათვალიერება ამ დაწესებულებათა არქივებისა და
გამოირკვეს წესრიგშია თუ არა გადმოსაცემი მასალა. ამგვარი წინა-
სწარი დათვალიერება თავიდან ააშორებს საარქივო ორგანოს მოუწეს-
რიგებლად არქივების მიღების შემთხვევას და სხვაგვარ გაუგებრობას.

5. საინსტრუქტორო მუშაობის გაძლიერებისა და მეტი ნაყოფიერე-
ბისათვის საჭიროა საინსტრუქტორო აპარატს პროვინციებში ჰქონდეს
მკიდრო კავშირი სარაიონო აღმასკომებთან. ამ მიზნით რაიადმასკომებს
უნდა ეგზავნებოდეთ მოხსენება მათ რაიონში მყოფ დაწესებულებათა
საარქივო ნაწილის მდგომარეობის შესახებ. სასურველია ამგვარი მო-
ხსენებები გაუკეთდეს რაიადმასკომებს ინსტრუქტორის მიერ პირადად.
სასურველია აგრეთვე ინსტრუქტორებმა მოიწვიონ რაიადმასკომების
თათბირი შემჩნეულ დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

6. საოლქო საარქივო სამმართველოებს განსაკუთრებით კავშირი
უნდა ჰქონდეთ საოლქო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებას-
თან. ამ მიზნით: 1) საოლქო აღმასკომების საორგანიზაციო თათბირებ-
ზე საარქივო სამმართველოების ინსტრუქტორები აკეთებენ მოხსენებებს
რაიონებში არქივების მდგომარეობის შესახებ, 2) კავშირი აქვთ საორ-
განიზაციო განყ. ინსტრუქტორებთან, რომლებიც საარქივო სამმართვე-
ლოს დავალებით ყურადღებას აქცევენ საარქივო ინტერესებს თავიანთ

მოვალეობის შესრულების დროს, 3) საარქივო სამმართველოს ინსტრუქტორები ესწრებიან საორგანიზაციო თათბირებზე, სადაც სდგება რაი-ალმასკომების მუშაობის გეგმა და ამ გეგმაში შეაქვთ საარქივო მუშაობაც, 4) საორგანიზაციო განყოფილებას ევალება სისტემატიურად გაუგზავნოს საარქივო სამმართველოს რაი-ალმასკომების მდივნები დირექტივების მისაღებად.

აქ ჩამოთვლილი ზომების მიღება განსაკუთრებით ესაქიროებათ იმ საარქივო სამმართველოებს, რომელთაც ინსპექტორების და ინსტრუქტორების უყოლობის გამო ამგვარ მუშაობის წარმოება უძნელდებათ.

7. საოლქო აღმასკომებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საარქივო სამმართველოები საანგარიშო მოხსენებების გარდა პერიოდიულად უდგენენ მოხსენებებს საარქივო მუშაობის შესახებ საოლქო აღმასკომებს.

8. უფრო რთულ საარქივო საკითხების ცხოვრებაში გატარების მიზნით საარქივო სამმართველოები საოლქო აღმასკომის სახელით გამოსცემენ ცირკულიარებს და აგრეთვე რეგულიარულად აწვდიან დაწესებულებებს ცენტრარქივის ინსტრუქციებს.

საარქივო მომუშავეთა კადრი და მათი მომზადების საკითხი.

საარქივო დარგში მომუშავეთა კვალიფიკაციის საკითხი უკრაინაში მიჩნეული არის ერთ-ერთ მთავარ საკითხად. ცენტრალურ, სამხარეო და საოლქო არქივთსაცავებში მომუშავედ შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც სათანადო საარქივო მომზადება და ცოდნა აქვს. უკრაინას ამ ჟამად არა ჰყავს საკმაო კადრი ასეთ მომზადებულ არქივისტთა, რის გამოც ცენტრარქივის მიერ ყრილობაზე დასმული იყო საკითხი საარქივო დარგში მომუშავეთა მომზადების შესახებ. ამ საკითხის შესახებ წარმოდგენილი მოხსენება შემდეგ მთავარ დებულებებს შეიცავდა:

1. საარქივო მუშაკთა მომზადების სისტემაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორი მომენტი: ა) ახალ მუშაკთა კადრის შექმნა და ბ) ძველ მუშაკთა კვალიფიკაციის აწევა.

2. ახალ მუშაკთა კადრის მოსამზადებლად საჭიროა შემდეგ ზომების მიღება:

ა) თეორიულად მომზადებისათვის საჭიროა მსურველებმა შეესწავლონ სათანადო დისციპლინათა რეგულიარული კურსი სახალხო განათლების

ინსტიტუტის სოციალ-ეკონომიურ განყოფილებაზე. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იყოს ლენინგრადისა და მოსკოვის უნივერსიტეტების საისტორიო-საარქივო ციკლოთა გამოცდილება.

ბ) პრაქტიკულად ახალ მუშაკთა მომზადებისათვის საჭიროა დაარსდეს ცენტრალურ და სამხარეო არქივთსაცავებთან სტაჟიორთა ინსტიტუტი. სტაჟიორად, როგორც წესი, შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც შესაფერი მომზადება და სამეცნიერო ცოდნა აქვს. სტაჟიორობის ვადა შეიძლება განისაზღვროს სამიდან ექვს თვემდე.

გ. ახალ ძალების საარქივო მუშაობაში უფრო სასწრაფოდ და უმეტეივლად ჩათრევისათვის საჭიროა ცენტრალურ და სამხარეო არქივთსაცავებთან დაარსდეს სამეცნიერო-საარქივო წრეები. ამ წრეების დანიშნულება უმთავრესად მდგომარეობს ამა თუ იმ მასალის სპეციალისტის ხელმძღვანელობით გარკვეულ სამეცნიერო წესით პრაქტიკულად დამუშავებაში და ამ გზით ახალ ძალების გაწვრთნაში.

დ. მომზადებული პირები საჭიროა არა მარტო საარქივო ორგანოთა არქივთსაცავებისათვის; არამედ საბჭოთა დაწესებულებების არქივებისათვისაც. ამ დაწესებულებებისათვის არქივარიუსების მომზადება სწარმოებს იმავე წესით, როგორც ზემო მუხლში იყო აღნიშნული.

ე. საარქივო დარგში უკვე მომუშავეთა კადრის კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა ყოველწლიურად მოკლევადიანი კურსების მოწყობა. ამ კურსების დანიშნულებას შეადგენს საარქივო მუშაკებისათვის საარქივო ტექნიკასა და მეცნიერებაში დამყარებულ ახალ წესების მიწოდება. კურსებზე მსმენელები უნდა გაეცნონ არქივთმცოდნეობის მოკლე თეორიას ლაბორატორული მეთოდით. მსმენელები უნდა გაეცნონ აგრეთვე საბჭოთა აღმშენებლობის კანონმდებლობასა და პრაქტიკას, საბჭოთა დაწესებულებების სამდივანმწიგნობროს ტექნიკას და სხვა. დასასრულს, საჭიროა გაცნობა დამხმარე დისციპლინების (ისტორიისა, გეოგრაფიისა, პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა, ნუმისმატიკისა, სერაგისტიკისა და სხ.) და აგრეთვე უკრაინის ისტორიისა. კურსების მეცადინეობას საფუძვლად უნდა დაედგას პრაქტიკული მომენტი.

უპატრონო არქივების ფიქსაცია და საარქივო კორექცია. დენბთა ძხელის ორგანიზაცია

1. საარქივო კორექცია დენბთა ქსელის მოწყობის აუცილებლობა უკრაინაში ნაკარნახევი ორი გარემოებით: ა) საარქივო მუშაობისათვის არსებული ცუდი პირობებით და ბ) საარქივო ორგა-



ნოებისათვის, უსახსრობისა და შტატის სიმცირის გამო, დატყვევებული და უპატრონო ფონდების მოწესრიგების შეუძლებლობით.

2. საარქივო კორესპონდენტთა ქსელის ორგანიზაციის მთავარი მიზანია უპატრონო ფონდების აღმოსაჩენად და დასაცავად საზოგადოებრივ ძალებისაგან დამხმარე აპარატების შექმნა.

მთავარი ამოცანა საარქივო კორესპონდენტებისა მდგომარეობს საარქივო ორგანოებისათვის არქივების შესახებ ცნობების მიწოდებაში. საარქივო კორესპონდენტად შეიძლება გამოყენებულ იქნან: ა) სოფლის სკოლის მასწავლებლები და სხვა კულტურული ძალები სოფელად, ბ) შეიღწელების მასწავლებლები ქალაქებსა და დიდ სოფლებში, გ) სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტების სტუდენტები და დ) საერთოდ ყველა, ვისაც საარქივო საქმეზე გული შესტკივა. კორესპონდენტები მუშაობენ სათანადო ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც არკვევს მათ უფლებებს და მოქმედების ფარგლებს.

3. კორესპონდენტები, მათი მომზადებისა და მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით, იყოფიან ორ ჯგუფად: 1) დროებითად და 2) მუდმივად. ამისდა მიხედვით მათ ეძლევათ შესაფერი მანდატებიც. დროებით კორესპონდენტებს ევალებათ უფრო საინფორმაციო და დაზვერვითი მუშაობა, ხოლო მუდმივ კორესპონდენტებს მათი მოქმედების რაიონის ფარგლებში მასალების დაცვაც. საგანგებო დავალებათა შესასრულებლად კორესპონდენტებს ეძლევათ შესაფერი მატერიალური საშუალება. დროებითი კორესპონდენტები მუშაობენ მუდმივ კორესპონდენტებთან შვიდრო კონტაქტით. ორივე ჯგუფის კორესპონდენტებს ეძლევათ საშუალება თავის მიზნებისათვის გამოიყენონ პრესა და ცენტრარქივის გამოცემები. კორესპონდენტები, შეძლებისდაგვარად, პროპაგანდა-აგიტაციას ეწევიან ფართე მასაში საარქივო საქმის პოპულარიზაციის მიზნით.

5. დროებითი და მუდმივ კორესპონდენტების გაჩენა პროვინციაში ევალებათ საოლქო საარქივო სამმართველოებს, რომლებიც ამის შესახებ აცნობებენ ცენტრარქივის სამმართველოს. ინფორმაციასა და მოხსენებებს თავიანთ მუშაობის შესახებ კორესპონდენტები უდგენენ საოლქო სამმართველოებს. სამმართველოები თავის მხრივ კორესპონდენტების მუშაობის შესახებ ცნობებს უგზავნიან პერიოდულად ცენტრარქივს, კორესპონდენტების ანგარიშების პირების დართვით. კორესპონდენტების საყურადღებო ანგარიშები და ინფორმაციები იბეჭდება ცენტრარქივის „ბიულეტენში“.

საკავშირო და გაერთიანებულ უწყებათა საბარძივო ფონდები და მათი ბაღილალი. უკრაინაში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, არსებობს მთელი რიგი საკავშირო

და გაერთიანებულ უწყებათა დაწესებულებებისა; ასეთ დაწესებულებებს ეკუთვნის: საგარეო საქმეთა, სამხედრო საქმეთა, ფინანსთა, გზათა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, ფოსტა-ტელე-ლეგრაფისა და სხვა სახალხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოები. ხსენებულ კომისარიატთა დაწესებულებების უმეტესობა არქივების მოწესრიგების საქმეში ემორჩილება იმ საარქივო კანონებსა და წესებს, რომელნიც არსებობენ საერთოდ უკრაინაში. მაგრამ ზოგიერთი მათგანი იმის გამო, რომ ისინი გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს ეკუთვნის, იჩენენ ცენდენციას არ დაემორჩილონ და არ გადასცენ თავიანთი ფონდები უკრაინის ცენტრარქივს. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ცენტრარქივის მიერ ყრილობაზე დასმული იყო, უკრაინის საარქივო პრაქტიკაში დიდი ხნით აღრე წამოკრილი საკითხი—გაერთიანებულ და საკავშირო უწყებათა დაწესებულებების საარქივო ფონდების ბედ-იღბალის შესახებ. თავის მხრივ ამ საკითხმა, ყრილობაზე განხილვის დროს, წამოაყენა საკითხი საერთოდ საკავშირო მნიშვნელობის საარქივო ფონდებისა და მათი მოსაწესრიგებლად საერთო საარქივო ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

საკავშირო მასშტაბით საარქივო ორგანოს დაარსების საკითხი ახალი არ არის. ეს საკითხი პირველად წამოყენებული იყო რუსეთის ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივის მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს, მაგრამ მაშინ, რამდენად ვიცით, ყველა რესპუბლიკების მიერ ეს საკითხი უარყოფითად იქმნა გადაჭრილი. 1925 წ. ეს საკითხი რუსეთის ცენტრარქივმა კვლავ წამოაყენა საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე და მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირზე. რუსეთის ცენტრარქივის მიერ ამ თათბირზე განსახილველად წარმოდგენილ პროექტის მიხედვით, ამ გვარი საარქივო ორგანო უნდა ყოფილიყო ს. ს. რ. კ. ცენტრარქივი. თათბირზე, რომელსაც სხვებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს წარმომადგენელიც, რუსეთის პროექტი ს. ს. რ. კ. ცენტრარქივის დაარსების შესახებ უარყოფითად იქმნა. ხოლო მის ნაცვლად მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრარქივების წარმომადგენელთა თათბირების პერიოდულად მოწვევის წინადადება იყო შეტანილი. მაგრამ ეს წინადადება, მისადმი რუსეთის ცენტრარქივის უარყოფითი დამოკიდებულების გამო, თათბირზე მსჯელობის ობიექტიც არ გამხდარა. წინადადების თა-



ნახმად ამ თათბირს, რომელიც პარიტეტულ საფუძველზე უნდა მოწყობილი იქნას, უნდა განეხილა ყველა ის საკითხები, რომლებიც რუსეთის პროექტის მიხედვით, მომავალ საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს კომპეტენციაში შედიოდა, ე. ი. უმთავრესად საკითხი საერთო საკავშირო მნიშვნელობის საარქივო ფონდების შესახებ, და ამ თათბირის დადგენილება ყველა რესპუბლიკებისათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო.

უკრაინის საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე ამ საკითხს შეეხო ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს გამგე ამხ. რუბაჩი თავის პირველ მოხსენების მეორე ნაწილში. საკითხის გაშუქებაში მონაწილეობა მიიღეს: რუსეთის ცენტრარქივის წარმომადგენელმა ამხ. მაქსაკოვმა, საქართველოს წარმომადგენელმა, ამ სტრიქონის დამწერმა, და აგრეთვე დელეგატებმა ადგილებიდან. რუბაჩის მოხსენება ამ საკითხის შესახებ შემდეგ მთავარ თეზისებს შეიცავდა:

1) მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე არსებულ გაერთიანებულ და საკავშირო უწყებათა დაწესებულებების საარქივო ფონდების მოხაწესრიგებლად აუცილებლად საჭიროა საერთო საკავშირო საარქივო ცენტრის შექმნა.

2) ამგვარ ცენტრად შეიძლება იყოს მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრარქივების წარმომადგენელთა პერიოდული თათბირი პარიტეტულ საფუძველზე. ეს თათბირი აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო უფლებებით და მისი დადგენილება საარქივო დარგში სავალდებულო უნდა იყოს ყველა რესპუბლიკებისათვის.

3) ამ თათბირის მანდატით სათანადო საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრარქივის უფლება მიეცემა მის ტერიტორიის ფარგლებში მოაგვაროს საკავშირო დაწესებულებათა ფონდების რეგულიაციის საკითხი.

4) საარქივო ფონდები, დაწესებულებების ხასიათის მიუხედავად, უნდა დარჩენ იმ რესპუბლიკის არქივთსაცავებში, რომლის ტერიტორიაზედაც ეს დაწესებულებები იმყოფებიან. საარქივო მასალების განაწილებას საფუძვლად უნდა დაედგას სახელ.-ტერიტორიალური პრინციპი. საარქივო ფონდების გატანა რესპუბლიკის ფარგლებიდან დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

5) საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს დაარსება, საარქივო ინტერესების თვალსაზრისით, მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება და, როგორც ასეთი, იგი უარყოფილ უნდა იქმნას. საკავშირო ცენტრარქივის

დაარსება მაშინ, როდესაც ყველა რესპუბლიკებში საარქივო ორგანოები უკვე მოწყობილია, გამოიწვევს მუშაობაში პარალელიზმს ან კიდევ, უარეს შემთხვევაში, კოლიზიას და სხვაგვარ გაუგებრობას.

რუბინის ეს ფორმულები არსებითად იგივე იყო, რაც 1925 წ. მოსკოვში რ.ს.ფ.ს.რ. საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე უკრაინისა, ბელორუსიისა, საქართველოსა და თურქმენთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა წინასწარ თათბირზე იყო შემუშავებული. ამ ფორმულას მხარს უჭერდა მაშინ ყველა მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები, გარდა რუსეთისა და უზბეკისტანისა. უკანასკნელი პრინციპიალურად თათბირის წინააღმდეგი არც იყო, მხოლოდ რამოდენიმედ ორქოფულ პოზიციას ადგა ¹⁾. კამათის დროს ჩვენ, მოცემულ დირექტივების თანახმად, ძველი პოზიცია დავიცავით და კვალად თათბირებს დაუჭირეთ მხარი, ხოლო რუსეთის წარმომადგენელი, ამხ. მაქსაკოვი, საკავშირო ცენტრარქივის დაარსების აუცილებლობასა და თათბირების მიუღებლობას ამტკიცებდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ თავის რეზოლიუციაში რუსეთის ცენტრარქივის თვალსაზრისი უარყო და უფრო მიზანშეწონილად პერიოდულ თათბირების მოწვევა სცნო.

უკრაინის საარქივო მოღვაწეთა ყრილობის რეზოლიუცია, საკავშირო ცენტრარქივის დაარსების საკითხის შესახებ, ადასტურებს იმ მდგომარეობას, რომელიც უკრაინის საარქივო პრაქტიკაში, გაერთიანებულ და საკავშირო უწყებათა დაწესებულებების საარქივო ფონდების მიმართ დიდი ხნით არის გამტკიცებული. ამგვარი დადგენილება სავსებით ეგუება აგრეთვე უკრაინის საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ დეკრეტს მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის შესახებ, რომლის მეშვიდე მუხლის თანახმად, საარქივო მასალების გატანა უკრაინის ს. ს. რ. ფარგლებიდან აკრძალულია.

**უკრაინის საარქივო მოღვაწეთა კავშირის
პრეზიდიუმი და სახელმწიფო
დაწესებულებათა უკრაინის
არქივები.**

საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ გამოცემულ დეკრეტის ძალით, დაწესებულებათა ცალკე არქივების გაუქმებამ და ცენტრალიზაციის პრინციპზე დამოუკიდებელ საარქივო უწყების შექმნამ ბუნებრივად გაა-

¹⁾ იხ. შ. ჩხეტიია, სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა ყრილობა და მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირი „სისტორიო მოამბე“ წიგ. I. 1925 წ. გვ. 275.

ფართოვა საარქივო ორგანოების კომპეტენციისა და მოქმედების სფერო. იმ ფუნქციების ნაწილი, რომელიც საარქივო საქმის ახალ საფუძველზე მოწყობამდე მუზეუმებსა, ბიბლიოთეკებსა და სხვა მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებებს ჰქონდათ დაკისრებული, ამიერიდან საარქივო უწყებისა და მის ადგილობრივ ორგანოთა მოვალეობაში უნდა შესულიყო. ამასთან დაკავშირებით არქივებისა, ბიბლიოთეკათა და მუზეუმთა ფუნქციების გამოიჯენის საკითხი, რომელიც ერთი შეხედვით მხოლოდ თეორიული ხასიათისა იყო, საარქივო აღმშენებლობის დროს უნდა წამოჭრილიყო დღიურ წესრიგში, როგორც აქტუალური მნიშვნელობისა და ამასთანავე უაღრესად პრაქტიკული საკითხი.

საარქივო აღმშენებლობის დროს ამ საკითხის მოგვარება აუცილებელი იყო, მაგრამ მის გადაჭრას ათულებდა ის გარემოება, რომ საარქივო უწყების ჩამოყალიბების მომენტისათვის უკვე არსებობდა ერთგვარი ძლიერი ტრადიცია, რომელიც ამ საკითხს ბიბლიოთეკების და მუზეუმების სასარგებლოდ, ხოლო არქივის საზიანოდ სწყვეტდა. ეს ტრადიცია დამყარებული იყო იმ სინამდვილეზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე საბიბლიოთეკო და სამუზეუმო პრაქტიკაში, არქივების უგულვებელყოფისა და იგნორაციის საფუძველზე, საყოველთაოდ იყო დამკვიდრებული და განმტკიცებული: მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ასეულ წლების განმავლობაში თავს იყრიდა ექსპონატების სახით ისეთი მასალები და კოლექციები, რომლებიც თავის შინაარსისა და ხასიათის მიხედვით ამიერიდან უეჭველად არქივების განკარგულებაში უნდა ყოფილიყვნენ.

ამ მასალების განაწილებისა და საერთოდ ხსენებულ დაწესებულებათა ფუნქციების გამოიჯენის საკითხმა რუსეთში გამოიწვია დამოკიდებულების გამწვავება, ზოგჯერ კიდევ კოლიზიაც საარქივო ორგანოთა და სამეცნიერო დაწესებულებათა შორის. პრაქტიკულად ამ საკითხის მოგვარების დროს გამოირკვა, რომ არც მუზეუმებს, არც ბიბლიოთეკებს და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს არ უნდოდათ გადაეცათ ახლად შექმნილ საარქივო ორგანოებისათვის ის მასალები, რომლებიც მათ განკარგულებაში იყვნენ, მაგრამ საარქივო პრინციპების მიხედვით, საარქივო ორგანოთ ეკუთვნოდათ. რუსეთის საარქივო აღმშენებლობის პრაქტიკაში ამ საკითხმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ რუსეთის ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივი იძულებული იყო ეს საკითხი 1925 წელს საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე დაესვა განსახილველად. ყრილობამ

მკაცრად გაილაშქრა ბიბლიოთეკათა და მუზეუმთა „საუწყებო პატრიოტიზმის“ წინააღმდეგ და ცენტრარქივის სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობის საკითხი გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა. ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციის თანახმად მუზეუმებსა, ბიბლიოთეკებსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან არქივების შენახვა დაუშვებლად იყო მიჩნეული.

უკრაინაში არქივისა და სამეცნიერო დაწესებულებათა შორის ურთიერთობის საკითხი ისე შწავედ არ დამდგარა, როგორც რუსეთში, მაგრამ ამ საკითხმა იქაც ერთგვარი ევოლიუცია განიცადა და სათანადო ფაზებიც განვლო. ამ ჟამად საქმის მდგომარეობა ამ მხრივ უკრაინაში შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

1) მუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან და სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან არ შეიძლება ინახებოდეს საარქივო ფონდები და მასალები, გარდა თვით ამ დაწესებულებათა მიმდინარე საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ მიწერ-მოწერისა და საქმეებისა.

2) საარქივო მასალები, რომელნიც დაკავშირებული არიან გამოჩენილ მეცნიერთა, მწერალთა, მხატვართა და მუსიკოსთა ცხვრებასთან და რომელნიც მოთავსებული არიან სპეციალურ მემორიალურ მუზეუმებსა, ინსტიტუტებსა და სხვაგან, — იმყოფებიან განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს გამგებლობაში, მაგრამ ეს მასალები აღრიცხული უნდა იყვნენ ცენტრარქივის მიერ.

3) იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ საჯარო ბიბლიოთეკასთან არსებობს დიდი ხნით აღრე მოწესრიგებული კოლექცია ხელნაწერ წიგნებისა და საბუთებისა, რომელთა ყოფნის ადგილი მსოფლიო აკადემიურ ცენტრებისათვის ცნობილია, — ეს კოლექცია შესაძლებელია დარჩეს სათანადო დაწესებულებასთან, უკანასკნელის ხელთნაწერთა განყოფილებაში, იმ პირობით-კი, რომ იქ მოთავსებული მასალები აღრიცხულ იქნებიან ცენტრარქივის მიერ.

4) იმ მიზნით, რომ მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათ გაუადვილდეთ საარქივო მასალებით სარგებლობა, საშუალება ეძლევათ მათ მიიღონ ცენტრარქივიდან საჭირო მასალები დროებით სარგებლობისათვის, სათანადო წესების დაცვით.

5) მუზეუმებსა, ბიბლიოთეკებსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს ევალებათ გადასცენ ცენტრარქივს და მის ორგანოებს ყველა საარქივო ფონდები და ცალკე მასალები, რომელთაც ორგანიული კავში-



რი არა აქვთ ამ დაწესებულებებთან. ასეთ მასელებსა და არქივებს წარმოადგენენ ისეთი არქივები, როგორც მაგალითად, საარქივო ფონდები სახელმწიფო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, ფაბრიკა-ქარხნებისა, ეკლესია-მონასტრებისა, კერძო პირთა და სხვა, რომელნიც ამ ქამად ხსენებულ დაწესებულებებთან არიან მოთავსებული.

6) ვინაიდან საარქივო მასალებით ხშირად სარგებლობა იწვევს მათ დაზიანებასა და გაფუჭებას, — ამიტომ ამ მასალების გამოტანა გამოფენაზე და მუზეუმებში დასაშვებია მხოლოდ ცენტრარქივის წინასწარი საგანგებო ნებართვით და მასთან შეთანხმებით. ყოველ იმ შემთხვევაში-კი, როდესაც ეს შესაძლებელია, დედნების მაგიერ გამოფენაზე და მუზეუმებში გამოყენებული უნდა იყოს მათი რეპროდუქციები და ფოტოგრაფიები.

ოფისიალური განყოფილება

დ ე კ რ ე ტ ი

ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

1. სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა ცალკე საუწყებო არქივები გაუქმდეს და ყველა მათი საქმეები და საბუთები ამიერიდან გადაირიცხოს სახელმწიფო საარქივო ერთიან ფონდში.

2. სახელმწიფო საარქივო ფონდის გამგებლობისათვის დაარსდეს სახალხო განათლების კომისარიატთან, როგორც მისი აკადემიური ცენტრის ნაწილი, საარქივო საქმეთა სამმართველო.

3. საარქივო საქმეთა სამმართველოს გამგეს ამტკიცებს სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრი.

4. სახელმწიფო დაწესებულებათ ვეალებათ ყოველგვარი საარქივო საქმეები და მიწერ-მოწერა, რომელიც დასრულებულია 1921 წ. თებერვლის 25-დღე და მიმდინარე მუშაობისათვის საქიროებას არ წარმოადგენს, გადასცენ საარქივო საქმეთა სამმართველოს, ხოლო დანარჩენი დაუსრულებელი საქმეები უნდა დარჩეს მათ ხელში ყოველ უწყებისათვის ცალკე დებულებით განსაზღვრულ დრომდე, რომლის გასვლის შემდეგ ყველა საქმეები და საბუთები უნდა გადაეცეს იმავე საარქივო საქმეთა სამმართველოს.

5. სახელმწიფო დაწესებულებათ ეკრძალებათ ყოველგვარი საქმისა, მიწერ მოწერისა ან ცალკე ქალაქის მოსპობა საარქივო საქმეთა სამმართველოს წერილობითი ნებადაურთველად.

6. იმ მიზნით, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის გაადვილდეს არქივებით სარგებლობა და არქივები სათანადოდ შენახულ და დაცულ იქმნენ, სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილები, შეძლებისდაგვარად, შეერთებულ იქმნეს ცენტრალიზაციის საფუძველზე.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის

თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე**

სახალხო განათლების კომისარი: **ა. თუმანიშვილი**

რეკომის მდივანი: **შ. გაბრიჩიძე**

1921 წ. ივლისის 1

ტფილისი-სასახლე.

ინსტრუქცია

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს რწმუნებულებს მაზრებში.

1. ყველა არქივები მაზრაში საერთოდ შეადგენენ მთლიან სამაზრო საარქივო ფონდს, რომელიც თავის მხრივ შეადგენს რესპუბლიკის მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 1: არქივად იწოდება ყოველ გვარი წერილობითი და გრაფიული მასლა, ხელნაწერისა და ნაბეჭდის სახით, რომელიც წარმოადგენს დაწესებულებათა ან კერძო პირთა ნამუშევარს და რომელიც წარმოადგენს ღირებულებას პრაქტიკულ ან მეცნიერულ თვალსაზრისით.

შენიშვნა 2: საარქივო ფონდი ეწოდება იმ მასალების საერთო ჯამს, რომელნიც ეკუთვნიან ერთ დაწესებულებას ან კერძო პირს (მაგ., ბორჯომის თემის აღმასკომის საქმეების ფონდი, აკაკი წერეთლის ოჯახურ მიწერ-მოწერის საქმეების ფონდი და სხვ.)

2. მთლიან სამაზრო საარქივო ფონდის მეთავალსურედ და მომვლელად ცენტრ-არქივის მთავარ სამმართველოს ჰყავს თავისი რწმუნებული ადგილობრივ სამაზრო აღმასკომთან.

3. მაზრის რწმუნებული ჰმოქმედებს სამაზრო აღმასკომთან მჭიდრო და უშუალო კონტაქტში, საქართველოს უმაღლეს მთავრობის 1921 წლის ივლისის 1-ს გამოცემულ დეკრეტზე დამყარებით და თავის მუშაობის დროს ხელმძღვანელობს ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს ინსტრუქციებით.

4. რწმუნებულის მოვალეობას შეადგენს, როგორც აღრიცხვა და ფიქსაცია, ისე აგრეთვე დაცვა და სისტემატიზაცია მაზრაში არსებულ ყველა საარქივო ფონდებისა.

5. რწმუნებული ყურადღებას აქცევს უმთავრესად შემდეგ დაწესებულებათა არქივებს: ა) სამაზრო აღმასკომისა და მის განყოფილებათა, ბ) სათემო აღმასკომისა და მასთან არსებულ სხვა დაწესებულებათა ან განყოფილებათა, გ) პროფესიულ, კოოპერატიულ და საწარმოო დაწესებულებათა, დ) ეკლესია—მონასტრების, ე) კერძო პირთა, რომელთაც რითიმე მოღვაწის სახელი დაუმსახურებიათ, ვ) შკოლების, ზ) რკინის გზის სადგურების და სხვ.

6. რწმუნებულს უნდა ახსოვდეს, რომ თანახმად არსებულ საარქივო კანონისა, არც ერთ საბჭოთა, პროფესიულ და კოოპერატიულ დაწესე-

ბულებას, ორგანიზაციას და კერძო პირს არა აქვს უფლება გაანადგუროს (გაყიდოს მასალად, ან მოსპოს) მათ განკარგულებაში მყოფი საქმეები და მიწერა-მოწერა რესპუბლიკის ცენტრარქივის მთავარ სამმართველო წერილობითი ნებართვის მიუღებლად.

7. რწმუნებულს უნდა ახსოვდეს აგრეთვე, რომ თანახმად არსებულ სარქივო წესისა, ყველა საბჭოთა დაწესებულებები და აგრეთვე პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელთა განკარგულებაში იმყოფება საარქივო მასალა 1921 წლის თებერვლის 25-დე შემდგარი, — ვალდებულნი არიან დაუყონებლივ ჩააბარონ ეს მასალა საარქივო ორგანოს, და ამიტომ ის ცდილობს ყველა ამ გვარი მასალები ჩაიბაროს, რაც შეიძლება, სასწრაფოდ.

შენიშვნა: საარქივო მასალები საბჭოთა ხელისუფლების დროსა, ე. ი. 1921 წლის თებერვლის 25-ს შემდეგ შედგენილი, რჩებიან სათანადო დაწესებულებათა განკარგულებაში ხუთ წლამდე, რის შემდეგ ისინი გადაეცემიან სამაზრო რწმუნებულს.

8. რწმუნებული თვალ-ყურს ადევნებს მომქმედ საბჭოთა დაწესებულებებს, ასრულებენ თუ არა ისინი საარქივო ნაწილის მოწესრიგების შესახებ ცენტრარქივის მიერ გამოცემულ წესებს.

9. რწმუნებული სამაზრო აღმასკომის საშუალებით და დახმარებით თავს უყრის მაზრის ყველა არქივებს სამაზრო ქალაქებში, სადაც აღმასკომის მიერ ამ მიზნისთვის მიჩენილ საგანგებო შენობაში ეწყობა სამაზრო არქივთსაცავი.

10. რწმუნებული არქივებს იბარებს, ჩამბარებელ დაწესებულების მიერ სამ ცალად შედგენილ დაწვრილებითი სიის მიხედვით, რომლის ერთი ცალი რჩება დაწესებულებას, მეორე ცალი — რწმუნებულს, ხოლო მესამე ცალი ეგზავნება ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს.

11. ჩასაბარებელი სია სდგება ცენტრარქივის მიერ შემუშავებულ ფორმის მიხედვით, რომელიც მომქმედ საბჭოთა დაწესებულებებში საარქივო ნაწილის მოწესრიგების შესახებ მის მიერვე გამოცემულ წესებშია შეტანილი.

12. სამაზრო არქივთსაცავში ყველა დაწესებულებების საქმეები (ე. ი. ცალ-ცალკე ფონდები) უნდა ინახებოდეს ცალცალკე ქრონოლოგიურ წესის დაცვით ისე, რომ ცნობების მიცემა მსურველთათვის შესაძლებელი იყოს.

13. არქივთსაცავისთვის განკუთვნილი შენობა უნდა იყოს მშრალი



და შიანი, სტიქიურ და სხვაგვარ უბედურებისაგან (ცეცხლისა, წვიმისა, გაძარცვისა და სხვ.) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი.

შენიშვნა: არქივთსაცავში გარეშე პირთა შესვლა დაუშვებელია.

14. მაზრის რწმუნებულს აქვს მუდმივი კავშირი ცენტრარქივის მთავარ სამმართველოსთან, ამისათვის ის აწოდებს სამმართველოს მოხსენების სახით, წერილობითი ცნობებს, სალარიცხო მუშაობის შედეგებისა და აგრეთვე ყველა მიმდინარე სამუშაოს შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული უნდა იყოს უმთავრესად: ა) რამდენი საარქივო ფონდი არის უკვე გადმოტანილი და მოთავსებული სამაზრო არქივთსაცავში, ბ) რამდენი საარქივო ფონდი დარჩა გადმოუტანელი და რატომ, გ) რამდგომარეობაში იმყოფება მაზრის არქივები საერთოდ და თვითეული მათგანი კერძოდ, დ) თვითეული ფონდი რამდენს საქმეს შეიცავს, ე) არქივთსაცავისათვის განკუთვნილი შენობა შეეფერება თუ არა თავის დანიშნულებას და, თუ არ შეეფერება, რა მხრივ, ვ) რა ზომების მიღება საჭირო, რწმუნებულის აზრით, მაზრაში საარქივო საქმის უფრო რაციონალურად მოწყობისათვის და სხვ.

15. სასურველია აგრეთვე რწმუნებულმა აღნიშნოს თავის მოხსენებაში თუ როგორ უყურებს საარქივო საქმეს ადგილობრივი ხელისუფლება: უწევს თუ არა იგი მის საჭირო შემთხვევაში სათანადო დახმარებას.

16. ყველა საჭირო შემთხვევების დროს, როდესაც შექმნილია მე-6 მუხლის ბოლოში აღნიშნული მდგომარეობა და რწმუნებულს თვით უძნელდება საქმის მოგვარება, იგი ვალდებულია ამის შესახებ სასწრაფოდ აუწყოს ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის
დირექტორი ალ. წერეთელი

ცენტრარქივის საინსპექტორო-
საინსტრუქტორო განყოფილების გამგე შ. ჩხეტია

ინსტრუქცია

არქივის გამრჩევ კომისიას.

არქივის გარჩევის დროს, მოსასპობ საქმეებისა და საბუთების გამოსაცალკევებლად, გამრჩევი კომისია ხელმძღვანელობს ამა ინსტრუქციით.

1. გარჩევის დროს საქმის ყოველი ფურცელი გულმოდგინედ ცალ-ცალკე უნდა იქნეს გადათვლიერებული.

2. არ შეიძლება მოისპოს ისეთი საქმე და აქტი, რა შინაარსისაც უნდა იყოს ის, რაც 1860 წლამდე დაწყებული ან შედგენილი იმისდა მიუხედავად, დედანია იგი თუ პირი: ასეთი საქმე შენახულ უნდა იქნეს მთლიანად და ხელუხლებლად.

3. როგორც საერთო წესი, არ უნდა მოისპოს და შესანახად უნდა გადაირჩეს ყველა საქმე და ქაღალდი, რომელსაც, თუმცა შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს საქმისწარმოების მხრივ, მაგრამ შეიძლება გამოდგეს სამეცნიერო-საისტორიო მასალად ცალკე ისტორიული შემთხვევის, ან ისტორიული პიროვნების ცხოვრების გასაწუქებლად, ანდა სახელმწიფო დაწესებულებათა, ქვეყნის უფლებბრივი წესწყობილებისა, ხალხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების, სულიერი და მატერიალური კულტურის მდგომარეობა-განვითარების გამოსაკვლევად.

4. გარდა ამისა არ უნდა მოისპოს არც ერთი ისეთი საქმე და ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს:

ა) ცნობას საერთაშორისო ურთიერთობისა და სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ,

ბ) კანონსა და მის კერძო ან ოფიციალურ პროექტს, მათი დამუშავებისა და ცხოვრებაში გატარების მასალას,

გ) უზენაესი მართველობის წესით გამოცემულ განკარგულებასა („უქაზი“) და ბრძანებას. აგრეთვე საერთო ხასიათის განკარგულებასა და სახელმძღვანელო განმარტებას ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა,

დ) ცნობას სახელმწიფო დაწესებულებებისა, თვითმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისა, განვითარებისა და გაუქმების შესახებ,

ე) ცნობებს ფინანსებისა და სახელმწიფო მეურნეობის სხვა დარგთა,

აგრეთვე სახელმწიფოს სამხედრო და საზღვაო ძალთა მდგომარეობისა და განვითარების შესახებ,

ვ) ცნობებს გზების, სახელმწიფო მფარველობის და კერძო ქველმოქმედების, ხალხთა ჯანმრთელობის და საზოგადო კეთილდღეობის და მშვიდობიანობის შესახებ,

ზ) ცნობებს მიწათ-მოქმედებისა, მრეწველობისა, ვაჭრობისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ბ) წლიურ ხარჯთ-აღრიცხვას, სარევიზიო და ყოველგვარ საერთო ანგარიშს საუწყებო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ,

თ) ყოველგვარ საერთო აღწერილობას, საჯამო ცხრილს და სტატისტიკურ, მასალას, სახელმწიფოს და ხალხის ცხოვრების და კულტურის შესახებ,

ი) ცნობას რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ მოძრაობის და აგრეთვე მოსახლეობის სულიერი განწყობილების შესახებ,

ია) ცნობას კულტის, მეცნიერების, ხელოვნების ლიტერატურის, ბეჭდვითი საქმის, ტექნიკის და სამოსწავლო საქმის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ,

იბ) ცნობას მოსახლეობის ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურების შესახებ,

იგ) ცნობას საყოველთაოდ ცნობილი პირის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიული, ან საგანგებო რამ შემთხვევის შესახებ,

იდ) სასამართლოს გადაწყვეტილებასა და დადგენილებას, უკეთუ იგი საზოგადოების ისტორიისა და ზნე-ჩვეულების მასალას წარმოადგენს, და, უკეთუ მასში აღძრულია და გადაწყვეტილი კანონის განმარტების საკითხი,

იე) საქმეს და საბუთს, რომელსაც საქმისწარმოებაში ეძლეოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც საიდუმლოდ აღიარებულს და სხვა,

ივ) უძრავი ქონების საბუთს, როგორც სოციალური ურთიერთობისა და აგრარული წესწყობილების ისტორიის მასალას.

5. შენახულ უნდა იქნეს აგრეთვე ყველა საქმე და ქაღალდი, რომელიც ეხება რაიმე არაჩვეულებრივ მოვლენას, როგორიც არის: პოლიტიკური გადატრიალება, მნიშვნელოვანი რეფორმა, მსიური უბედურება და სხ.

6. უკეთუ კომისიის თავმჯდომარესა და მის წევრებს ექვი დაებადებათ რომელიმე საქმისა, ან ქალაღდის ისტორიულ ღირებულებაში, ან ამის შესახებ ვერ შეთანხმდებიან, ასეთი საქმე და ქალაღდი შენახულ უნდა იქნეს.

7. უკეთუ საქმეთა გაღარჩევის ღროს აღმოჩნდება, რომ მოსპობილ უნდა იქნეს მთელი რიგი შინაარსით და ფორმით ერთგვარი საქმეებისა, ასეთ საქმეთაგან ერთი ან რამდენიმე შეინახება, როგორც საქმისწარმოებისა და ყოფაცხოვრების დამახასიეთებელი ნიმუში.

8. უკეთუ კომისია სცნობს, რომ საქმე შენახულ უნდა იქნეს მთელად, მისგან ცალკე, თუნდაც უფარგისი, ქალაღდის გამოყოფა დაუშვებელია.

9. უკეთუ კომისია სცნობს, რომ საქმე მთლად უნდა მოისპოს, ხოლო საქიროა მასში არსებული ცალკე საბუთების შენახვა, — გაღარჩეული საბუთები შეინახება საგანგებო რეგულსა ან კარტონში, ამასთანავე სისწორით აღინიშნება საქმე, საიღანაც ეს საბუთი იყო ამოღებული, და შესდგება ამ საბუთების აღწერილობა.

10. მოსასპობად გაღარჩეულ საქმეებიღან შესანახად უნდა გამოიყოს ბეკდები, შტამპები, ავტოგრაფები, ნიმუშები სახაზინო და კერძო ბეკდებისა, საღერბო ქალაღდისა, დაბეკდილი ბღანკებისა, კვირ-ნიშნებისა და სხვ.

11. საქმეების შესანახად და მოსასპობად დანაწილების შესახებ კომისია შეადგენს დასაბუთებულ აქტს, რომელსაც ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და ორი წევრი.

12. მოსასპობად გაღარჩეულ საქმეებისა და ქალაღდების აღწერილობა წარედგინება ცენტრალურ არქივის მთავარ სამმართველოს.

13. კომისიის მიერ მოსასპობად გაღარჩეულ საქმეებისა და ქალაღდების მოსპობა შეიღლება მხოლოდ მას შემდგე, რაც ამ გაღარჩევის შემამოწმებს ცენტრალურ არქივის შემამოწმებელი კომისია.

14. უკეთუ შემამოწმებელ კომისიას მას შემდგე, რაც განიხიღავს გამრჩევი კომისიის აქტს და გაღათვაღიერებს თეით მოსასპობად გაღარჩეულ საქმეებსა და ქალაღდებს, დაებადება რაიმე ექვი, — იგი მოახსენებს ამას თავის დასკენასთან ერთად ცენტრარქივის დირექტორს; უკანასკნელი, უკეთუ დასკენას სწორად სცნობს, წინაღადებას მისცემს გამრჩევი კომისიას მოახღინოს, შემამოწმებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის მონაწილეობით, ფაქტიური გამოყოფა იმ საქმეებისა და ქალაღ-



დებისა, რომელთა მოსპობაც შემამოწმებელი კომისიის დასკვნით არ შეიძლება.

14. საარქივო ფონდის გადარჩევა ხდება აუცილებლად დაინტერესებულ დაწესებულებისა და უწყების წარმომადგენლის მონაწილეობით.

ცენტრარქივის დირექტორი ა. წერეთელი.

ცენტრარქივის საორგანიზაციო
განყოფილების გამგე შ. ჩხეტია.

გამტკიცებ. სამეც. დაწეს. მთავარ
მართველობის გამგე ვ. ბერძენიძე.
1. VII. 1926 წ.

დ რ ო ე ბ ი თ ი წ ე ს ე ბ ი

ცენტრარქივის ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობისათვის.

1. ცენტრარქივის ბიბლიოთეკა არის დახურული აკადემიური ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს უმთავრესად სამეცნიერო წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს და სხვა გამოცემებს.

2. ცენტრარქივის ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობა ცენტრარქივის დირექტორის ნებართვით შეუძლია იმ პირს, რომელიც მივლინებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა თუ ორგანიზაციათა მიერ, აგრეთვე კერძო მკვლევარსაც, რომელსაც იცნობს ცენტრარქივი, ანდა რომელიც წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ რეკომენდაციას.

შენიშვნა: ცენტრარქივის თანამშრომელს წიგნები მიეცემა ბიბლიოთეკის გამგის პასუხისმგებლობის ქვეშ და ასეთ შემთხვევებში ცენტრარქივის დირექტორის ნებართვა საჭირო არ არის.

3. ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზში.

შენიშვნა: ცენტრარქივის თანამშრომელს წიგნები მიეცემა სახლში ორი კვირის ვადით, უკეთეს გაცემულ წიგნებზე ახალი მოთხოვნილება არ არის, შეიძლება ვადის კიდევ ორი კვირით გაგრძელება.

4. ბიბლიოთეკიდან გაცემული წიგნი იწერება დავთარში, რომლის მიღებაზე ხელს აწერს სამეცადინო დარბაზის გამგე. შენიშვნება წიგნის დაზიანებისა ან ნაკლულევანების შესახებ სათანადოდ უნდა აღნიშნოს გაცემისას — წიგნის გამცემის მიერ.

შენიშვნა: თუ ერთს და იმავე წიგნზე ერთდროულად არის რამდენიმე მოთხოვნილება, მაშინ რიგი უნდა იქნეს დაცული.

5. თვითოეულს პირს, რომელიც დაშვებულია სამეცადინოდ ცენტრ-არქივში ერთდროულად შეიძლება მიეცეს არა უმეტეს სამი წიგნისა. წიგნების დიდი რაოდენობით სარგებლობისთვის თითოეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ცენტრარქივის დირექტორის განსაკუთრებული ნებართვა.

6. ბიბლიოთეკიდან სამეცადინო დარბაზის გამგის მიერ კერძო პირთათვის წამოღებული წიგნები დარბაზის გამგის მიერ იწერება განსაკუთრებულ წიგნში, სადაც მკითხველი ხელს აწერს გრაფაში წიგნების მიღებაზე. წიგნის დაბრუნებას დარბაზის გამგე აღნიშნავს დავთრის სათანადო გრაფაში.

შენიშვნა: ცენტრარქივის თანამშრომლები წიგნს ლეზულობენ უშუალოდ ბიბლიოთეკის გამგისაგან.

7. ბიბლიოთეკიდან კერძო პირთათვის მიღებული წიგნები რჩება სამეცადინო დარბაზში არა უმეტეს ორი კვირისა, რის შემდეგაც სამეცადინო დარბაზის გამგე წიგნებს უბრუნებს ბიბლიოთეკას.

შენიშვნა: უკეთეს მომუშავეს წიგნი სჭირდება ორ კვირაზე მეტი ხნით, შესაძლებელია ის წიგნი ხელმოკრედ იქნეს გამოთხოვილი ბიბლიოთეკიდან სათანადო წესების დაცვით.

8. სამეცადინო დარბაზის გამგე თვალყურს ადევნებს, რათა მკითხველნი წიგნებს წესიერად მოეპყრან, და თუ შენიშნავს, რომელიმე მკითხველისაგან წიგნისადმი უდიერად მოპყრობას (ფურცლების ან თვით წიგნის გადაკეცას, ყდების დამტვრევას, სურათების დაზიანებას, ფურცლებზე წარწერას და სხ.), უკრძალავს მას წიგნებით სარგებლობას და ამის შესახებ მოახსენებს ცენტრარქივის დირექტორს.

9. წიგნების ჩაბარების შემდეგ ბიბლიოთეკის გამგე დავთარში ჩასწერს, რომ წიგნი დაბრუნებულია და თანვე აღნიშნავს თუ წიგნი მკითხველის მიერ ხმარების დროს დაზიანებულია.

ანკეტა

ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობის მსურველთათვის.

1. გვარი, სახელი და მამის სახელი
2. პროფესია
3. სოციალური მდგომარეობა
4. სამსახურის ადგილი (დაწესებულების დასახელება და მისამართი)
5. თანამდებობა
6. ჰ ა ს ა კ ი
7. მუშაობდა წინა დ თუ არა არქივში
8. ს ა დ
9. რ ო დ ი ს
10. აქვს თუ არა სამეცნიერო შრომები (დასახელებთ უმთავრესი)
11. პირადად თავისთვის აწარმოებს მუშაობას, თუ დაწესებულების დაეაღებით, სახელდობრ რომლის
12. საბუთი, რომლის ძალითაც გამოითხოვება ნებართვა სამეცადინოდ დაშვების დროს
13. შრომის თემა
14. რომელ დარგის წიგნი უნდა (ინდექსის ნომერი)
15. მისამართი
16. ანკეტის შევსების თარიღი

ხელის მოწერა.

ვადასტურებ
განათლების სახ. კომისარი დ. კანდელაკი
17/4 26 წ.

წ ე ს ე ბ ი

სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოთხოვნით სა- არქივო მასალების გაცემის შესახებ

1. მუდმივ სარგებლობისთვის საარქივო მასალების გაცემა დაწესებულებათათვის სრულიად დაუშვებელია.

2. დროებით სარგებლობისთვის მასალების გაცემა დაწესებულებათათვის დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ცენტრარქივის შენობაში სრულებით შეუძლებელია ამ მასალებით სარგებლობა. თითოეულს ასეთ შემთხვევაში საჭიროა განსაკუთრებული ნებართვა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მართველობის გამგისა. მასალების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულის ვადით (მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა). მასალების გადაცემისას უნდა შედგეს სათანადო აქტი, მასალების რაოდენობისა და მდგომარეობის აღნიშვნით. მასალების მიმღებ დაწესებულებას უნდა ჩამოერთვას შესაფერი ხელწერილი მასალების თავის დროზე დაბრუნების შესახებ. მასალების უკან დაბრუნებისას კვალად უნდა შედგეს სათანადო აქტი—მასალების რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ.

3. სახელმწიფო დაწესებულებისადმი გაცემული საარქივო მასალები იწერება ცენტრარქივის საგანგებო დავთარში.

4. საარქივო მასალის გაცემაზე საჭიროა გამორკვევა დანომრილია თუ არა ფურცლები და არის თუ არა საქმის ბოლოში შესაფერი აღნიშვნა ამის შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საარქივო ფონდით სარგებლობა, მის მოუწყვრივებლობის გამო, შეუძლებელია, ცენტრარქივი შედის შუამდგომლობით სათანადო უწყებასთან, რათა მან გადასდოს შესაფერი თანხა ფონდის წესრიგში მოსაყვანად.

ვადისტურებ
განათლების სხ. კომისარია დ. კანდელაკი
17/4 26 წ.

წ ე ს ე ბ ი

**საარქივო მასალებით სარგებლობისთვის ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის
შენობაში.**

1. ს. ს. ს. რ. ცენტრარქივში მეცადინეობა, ცენტრარქივის დირექტორის ნებართვით, შეუძლიან იმ პირს, რომელიც მივლინებულია ცენტრარქივში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ; აგრეთვე კერძო მკვლევარს, რომელსაც იცნობს ცენტრარქივი, ანდა რომელიც წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ რეკომენდაციას.

2. სამეცადინოდ დაშვების შესახებ განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი მთხოვნელის მიერ შევსებული ანკეტა ორ ეკზემპლარად. ასეთივე ანკეტა სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელიც მივლინებულია სამეცადინოდ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ.

3. ნებართვაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რომელ განყოფილებაში, რომელ საკითხზე და, სახელდობრ, რომელ მასალაზე ეძლევა მეცადინეობის ნება ამა თუ იმ პირს. დაწესებულება თუ კერძო პირი, რომელსაც განზრახვა აქვს გამოაქვეყნოს საარქივო მასალების დედნის ტექსტები, მოვალეა მიიღოს ამისთვის განსაკუთრებული ნებართვა ცენტრარქივის დირექტორისაგან.

4. გარეშე პირის მეცადინეობა ცენტრარქივში წარმოებს ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში (სამეცადინო დარბაზი), სპეციალურად ამისთვის დანიშნულ ცენტრარქივის თანამშრომლის მუდმივ ზედამხედველობის ქვეშ.

5. ის პირი, რომელიც აწარმოებს მეცადინეობას არქივში, მოვალეა ხელი მოაწეროს ამ მიზნით შემოღებულ განსაკუთრებულ წიგნში.

6. სამეცადინო დარბაზში აკრძალულია პორტფელების, პაპების და სხვა ყოველგვარ გრაფიკებისა თუ ხეყულების შეტანა. აღნიშნული საგნები მიებარება შესაბამისად ცენტრარქივის კანცელარიას, შემოღებულ წესის თანახმად. თუ აუცილებელია, რომ მომუშავეს თან ჰქონდეს წიგნები, გეგმები, ნახაზები, ქაღალდები და სხვა ასეთები, ამისთვის მან უნდა მიიღოს განსაკუთრებული ნებართვა ცენტრარქივის დირექტორისაგან.

7. მეცადინეობისათვის საჭირო საარქივო მასალები მომუშავეს მიერ

უნდა ჩაიწეროს მოთხოვნითი ფურცელში, რომელსაც იგი მიიღებს სამეცადინო დარბაზის გამგისგან.

8. თითოეულ პირს, რომელიც დაშვებულია სამეცადინოდ არქივში, ერთდროულად ეძლევა არა უმეტეს ხუთი საქმისა. საბუთების დიდი რაოდენობით გაცემა შეიძლება მხოლოდ ცენტრარქივის დირექტორის ნებართვით. იმ შემთხვევაში როდესაც ერთსა და იმავე საქმეს, ხელნაწერს, ან სხვა საბუთს მოითხოვს რამდენიმე პირი ერთსა და იმავე დროს, დაკუთვლილი უნდა იქნეს განცხადებათა რიგი: მასალა, რომლითაც ერთი მომუშავეთაგანი სარგებლობს, არ შეიძლება გადაეცეს მეორეს.

9. გასაცემი მასალები უნდა ჩაიწეროს სამეცადინო დარბაზის გამგის მიერ ამ მიზნითვის შემოღებულ განსაკუთრებულ წიგნში. მასალების მღებობისთანავე მომუშავე ხელს აწერს ამ წიგნის შესაფერვ გრაფაში. მასალების დაბრუნებას დარბაზის გამგე წიგნში აღნიშნავს.

10. ძველისა და ადვილად დასაშალ მასალის, აგრეთვე განსაკუთრებულ ღირებულების მქონე საქმეების, გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომუშავე დარცავს ცენტრარქივის დირექტორის მიერ წამოყენებულ პირობებს. ცენტრარქივს შეუძლია ამ მასალის გაცემა სამეცადინოდ სავსებით აღკვეთოს.

11. ის პირი, რომელიც სარგებლობს სარქივო მასალებით, მოვალეა ფაქიზად მოექცეს ასეთებს. აკრძალულია წერის დროს მასალების ხელს ქვეშ ან რვეულის ქვემოთ მოქცევა, რაიმე ნიშნების გაკეთება, გადაკეცვა, ერთი ყდიდან მეორეში გადადება და საერთოდ ყოველივე ის, რაც დაარღვევს ყდებში, პაპებში და სხვაგან დაბინავებულ მასალების შინაგან წყობასა და წესრიგს.

შენიშვნა: მომუშავე პასუხისმგებელია მასალების დაცვაში მუშაობის მთელ ხნის განმავლობაში და, თუ შეამჩნევს მასალებში დეფექტებს, მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამეცადინო დარბაზის გამგეს.

12. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ საქმეები და დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს სამეცადინო დარბაზის გამგეს განცხადებით, რომ ამა და ამ მასალებზე მუშაობა დამთავრებულია. ასეთი მასალები დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს აქტსაცავში.

13. დაბრუნებულ მასალათა მთელიობას და დაცულობას სინჯავს სამეცადინო დარბაზის გამგე.

14. საარქივო მასალები რჩება სამეცადინო დარბაზში, სანამ მომუ-



შვე სავსებით არ დაამთავრებს მათზე მუშაობას. თუ მომუშავე რა კვირის განმავლობაში არ მოიკითხავს მასალებს, ასეთები უბრუნდება არქივსადაც.

15. მასალების დაბრუნებისას მომუშავე წარმოუდგენს სამეცადინო დარბაზის გამგეს მის მიერ გაკეთებულ ყველა შენიშვნებს, ამონაწერს და პირებს გადასათვლიერებლად და გატანისათვის სათანადო ნებართვის მისაღებად. იმ შემთხვევაში, როდესაც მასალები ექვს იწვევს, დარბაზის გამგე წარუდგენს ამ მასალებს ცენტრარქივის დირექტორს, რომელიც არა უგვიანეს ერთი დღისა აწერს თავის რეზოლიუციას. აკრძალულია არქივიდან მომუშავეს მიერ პირების, შენიშვნებისა და ამონაწერების ნებადართვებად გატანა.

16. დაუშვებელია საარქივო მასალების გატანა არქივიდან, მასალები არ მიეცემა მომუშავეს აგრეთვე სახლში სამეცადინოდ.

17. დაწესებულებანი და კერძო მკვლევარნი, რომელთაც გამოაქვეყნეს თავისი გამოკვლევანი საარქივო მასალების მიხედვით, მოვალენი არიან წარმოადგინონ არქივში დაბეჭდილ შრომების ორი ეგზემპლიარი.

18. უეჭველად აკრძალულია სამეცადინო დარბაზში თამბაქოს მოწევა და სიჩუმის დარღვევა. ყოველ საკითხისათვის, რომელიც დაკავშირებულია არქივში მეცადინეობასთან, მომუშავე მიმართავს ცენტრარქივის გამგეს და სამეცადინო დარბაზის გამგეს.

19. ზემოაღნიშნულ წესებს უნდა გაეცნოს არქივში სამეცადინოდ დაშვებული, რომელიც მუშაობის დაწყებამდე სდებს სათანადო ხელწერილს ამ წესების უკლებლივ დაცვისათვის.

შენიშვნა: მომუშავეს მიერ აღნიშნულ წესების დარღვევის შემთხვევებში ცენტრარქივის გამგეს უფლება აქვს აუკრძალოს მას მუშაობა.

დამატება № 1

ა ნ კ ე ტ ა

ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის შენობაში საარქივო მასალებზე მუშაობის მსურველთათვის.

- 1. გვარი, სახელი და მამის სახელი
- 2. პროფესია
- 3. სოციალური მდგომარეობა

4. სამსახურის ადგილი (დაწესებულების დასახელება და მისამართი)
 5. თანამდებობა
 6. მუშაობდა თუ არა წინა დარქივში
 7. სად
 8. როდის
 9. აქვს თუ არა სამეცნიერო შრომები (დასახელებით უმთავრესი)
 10. პირადად თავისთვის აწარმოებს მუშაობას, თუ დაწესებულების დაფალებით, სახელდობრ რომელის
 11. საბუთი, რომლის ძალითაც გამოითხოვება ნებართვა სამეცნიერო დაწესებულების შესახებ
 12. შრომის თემა
 13. ცენტრარქივის რომელ განყოფილებაში აპირებს მუშაობას
 14. რომელ მასალაზე
 15. მისამართი
 16. ანკეტის შევსების თარიღი
- ხელის მოწერა:

დამატება № 2

მოთხოვნითი ფურცელი

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

მოთხოვის თარიღი	მოთხოვნილი მასა- ლები (აღწერა, სა- კმეები, ფოტოგრა- ფიები და სხ.).	ხელწერილი მასალების მიღების შე- სახებ	სამეცადინო დარბაზის გა- მგის მიერ მა- სალების და- ბრუნების აღ- ნიშვნა	შენიშვნა



ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი
. გავეცანი რა ცენტრარქივში მუშაობის წესებს,
ვდებ პირობას, რომ მტკიცედ დავიცავ მათ.

ამასთან ვალდებული ვარ ჩემ მიერ ცენტრარქივის ფონდებიდან
ამოკრებილი მასალები არ გამოვაქვეყნო ცენტრარქივის სამმართველოს
ნებადართვებლად.

1926 წ.

" "

დამატება № 4

გ ა ც ე მ ის წ ი ზ ნ ი

(გვარი, სახელი და მამ ს სახელი)

გაცემის თარიღი	გაცემული მასალები	სამუშაოდ მასალები მომღების ხელის მოწერა	ხელის მოწერა მასა- ლების დაბრუნების შესახებ	შენიშვნა

დამატება № 5.

ნ ე ბ ა რ თ ვ ა №

ცენტრარქივის შტამში

ამის წარმომდგენს მოქ
ნება ეძლევა იმუშაოს ცენტრარქივის
განყოფილებაში მასალაზე დღეიდან ერთი
თვის განმავლობაში, რაც იმოწმების ხელის მოწერათ და ჯეროვანი ბეჭ-
დის დასმით.

ცენტრარქივის დირექტორი (ხელის მოწერა).

მ დ ი ვ ა ნ ი (ხელის მოწერა).



წ ი ზ ნ ი

სახელმწიფო დაწესებულებებისათვის გაცემულ საარქივო მასალებისა

წელიწადი თვე და რიცხვი	რომელი საქმე და რომელი ფონდიდან ეძლევა	ვ ი ს	რა საბუთის მიხედვით	ხელის მოწერა ან თანდართულ მიმართვის აღნიშვნა

საარქივო ფონდების სარეგისტრაციო ბარათი № 1.

(ამ ბარათით აღირიცხება რევოლუციის წინა-დროინდელი საარქივო ფონდი, ე. ი. 1921 წ. 25 თებერვლამდე შემდგარი).

1. სახელწოდება და მისამართი იმ დაწესებულებისა, რომლის გამგებლობაში იმყოფება საარქივო ფონდი ამ ჟამად.
2. საარქივო ფონდის სახელწოდება.
3. საარქივო ფონდის მისამართი.
4. უწყება ან უმაღლესი ორგანო, რომელსაც ექვემდებარება დაწესებულება.
5. რომელი წლის საქმეებიდან შესდგება საარქივო ფონდი
6. არქივის მოცულობა (ზედმიწვევითი ან დაახლოვებითი რაოდენობა საქმეებისა)
7. დაახლოვებით რამდენი ფუთი იქნება საარქივო ფონდი



8. საარქივო ფონდის მდგომარეობა (წესრიგშია თუ არა ლი საარქივო ფონდი. თუ არ არის რა არის, საჭირო მის მოსაწესრიგებლად)

9. შედგენილია თუ არა საქმეების სია, რეესტრი, აღფაბეტი და სხ.

10. დაკულია თუ არა ჯეროვანად საარქივო ფონდი, ცეცხლისა, გაფლანგვისა და სხვა გვარ საფრთხისაგან.

11. ვინ არის პასუხისმგებელი საარქივო ფონდის უზრუნველყოფისათვის.

12. ბარათის შედგენის თარიღი.

13. დაწესებულების გამგის ხელის მოწერა.

14. საარქივო ფონდის გამგის ხელის მოწერა.

15. შენიშვნები.

საარქივო ფონდის სარეგისტრაციო ბარათი № 2

(ამ ბარათით აღირიცხება რევოლიუციის შემდეგ-დროინდელი საარქივო ფონდი, ე. ი. 1921 წ. 25 თებერვალის შემდეგ შემდგარი.)

1. დაწესებულების სახელწოდება.

2. არქივის მისამართი.

3. რომელი წლის საქმეებიდან შესდგება არქივი.

4. დაწესებულების სტრუქტურა (რა განყოფილებისა, ან ქვე-განყოფილებებისაგან და ნაწილებისაგან შესდგება დაწესებულება).

5. აქვს თუ არა დ. წესებულება, მთავარი არქივი, სადაც ყველა მისი განყოფილება აბარებს თავის არქივს.

6. არქივის მდგომარეობა (სდგება თუ არა ყოველ წლიური სია საქმეებისა)

7. სად ინახება არქივი: ცალკე შენობაში, ოთახში, შკაფში, თუ სხვაგან კიდეც

8. როგორი წესით ინახება საქმეები (შკაფში, თაროებზე, ნაკრავულებში და სხვ.)

9. დაკულია თუ არა არქივი საფრთხისაგან.

10. ვინ არის პირდაპირი პასუხისმგებელი არქივისათვის.

11. არქივის გამგის სახელი, გვარი და მამის სახელი, მისი სწავლავანათლების ცენზი.

12. ბარათის შედგენის თარიღი.

13. დაწესებულების გამგის ხელის მოწერა.

14. არქივის გამგის ხელის მოწერა.

15. შენიშვნები.

ი ნ ს ტ რ უ შ ც ი ა

სასამართლოს არქივის საქმეთა გადარჩევისა და საქართველოს ცენტრალურ არქივისათვის ჩაბარების შესახებ, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის 1921 წ. ივლისის 1-ის დეკრეტისა.

1. სასამართლოს არქივი გადაიცემა საქართველოს ცენტრალური არქივის გამგებლობაში. იუსტიციის სახალხო კომისარიატს და ყველა მის ქვემდებარე დაწესებულებას და თანამდებობის პირს უფლება აქვს ისარგებლოს ცნობის მიღებისა და სამართლის წარმოებისათვის ყველა იმ საქმითა და დოკუმენტით, რაც კი მოიპოვება ცენტრალურ არქივში.

2. არქივის საქმეთა და ქაღალდების გადასარჩევად ცენტრალური არქივი მოაწყობს მუდმივ კომისიას, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და კომისიის წევრებისაგან რიცხვით არა ნაკლებ ორისა.

შენიშვნა: კომისია შესდგება ცენტრალურ არქივის მოსამსახურეთაგან.

3. აღნიშნულ კომისიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე იუსტიციის სახალხო კომისარიატის ერთი წარმომადგენელიც.

4. საქმეთა გადარჩევის დროს, მოსასპობ საქმეებისა და დოკუმენტების გამოსაცალკევებლად, კომისია ხელმძღვანელობს ამა ინსტრუქციით და იმ განსაკუთრებული განმარტებით, რაც საჭიროების მიხედვით, მიცემულ იქნება იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური არქივის მიერ ურთიერთ შეთანხმებით.

5. გადარჩევის დროს საქმის ყოველი ფურცელი გულმოდგინედ ცალკალკე უნდა იქნეს გადათვლიერებული.

6. არ შეიძლება მოისპოს ისეთი საქმე და აქტი, რა შინაარსისაც უნდა იყოს, რაც 1860 წლამდეა დაწყებული ან შედგენილი, დამოუკიდებლად იმისა, დედანია იგი, თუ ასლი; ასეთი საქმე შენახულ უნდა იქნეს მთლიანად და ხელუხლებლად.

შენიშვნა: იუსტიციის სახალხო კომისარიატის და ცენტრალურ არქივის განკარგულებით შეიძლება შენახულ იქნეს აღნიშნულ დროზე უფრო გვიან დაწყებული და შედგენილი საქმე და ქაღალდიც.

7. სამიჯნო საქმეები შენახულ უნდა იქნეს მთლიანად და ხელუხლებლად. ასეთ საქმეში შეიძლება მოისპოს მხოლოდ დასაბარებელი უწ-



ყვები, თხოვნები და ყველა ისეთი ქალაქი, რაც საქმის არსებობის და დაწესებულების შესრულებას არ შეეხება.

8. ესევე უნდა იქნეს შენახული აგრეთვე ყველა სამოქალაქო საქმე ისეთი სარჩელის გამო, რაც შეეხება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, ამ ქონებით სარგებლობის უფლებას, ანდერძის დამტკიცებას და კანონით შემკვიდრობის უფლების დამტკიცებას; ასეთ საქმეშიც შეიძლება მოსპობილ იქნეს მხოლოდ დასაბარებელი უწყებები, თხოვნები და ყველა ისეთი ქალაქი, რასაც საქმის არსებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

9. როგორც საერთო წესი, არ უნდა მოისპოს და შესანახად უნდა გადაირჩეს ყველა ისეთი საქმე და ქალაქი, რომელსაც თემცა შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს საქმისწარმოების მხრივ, მაგრამ შეიძლება გამოადგეს სამეცნიერო-ისტორიულ მასალად ცალკე ისტორიულ შემთხვევის, ან ისტორიული პიროვნების ცხოვრების გასაშუქებლად, ანდა სახელმწიფო დაწესებულებათა ქვეყნის სამართლებრივი წესწყობილების, ხალხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების, სულიერი და მატერიალური კულტურის მდგომარეობა — განვითარების გამოსაკვლევად. გარდა ამისა არ უნდა მოისპოს არც ერთი ისეთი საქმე და ქალაქი, რომელიც წარმოადგენს:

ა) ცნობას საერთაშორისო ურთიერთობისა და სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ,

ბ) ოფიციალურ კანონსა და მის პროექტს, მისი დამუშავებისა და გატარების მასალას,

გ) უზენაესი მართველობის წესით გამოცემულ განკარგულებასა („უქაზი“) და ბრძანებას, აგრეთვე საერთო ხასიათის განკარგულებასა და სახელმძღვანელო განმარტებას და ცენტრალური, ადგილობრივი დაწესებულებისა და თანამდებობის პირის განმარტებას,

დ) ცნობას სახელმწიფო დაწესებულებათა, თვითმართველობის ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის, განვითარებისა და გაუქმების შესახებ,

ე) წლიურ ხარჯთ-აღრიცხვასა, სარევიზიო და ყოველგვარ საერთო ანგარიშს, საუწყებო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ,

ვ) ყოველგვარ საერთო აღწერილობას, საჯამო ცხრილს და სტატისტიკურ მასალას, სახელმწიფოს და ხალხის ცხოვრების და კულტურის ყოველი მხრის შესახებ,

ზ) ცნობას რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობის შესახებ, და აგრეთვე მოსახლეობის სულიერი განწყობილების შესახებ,

თ) ცნობას კულტის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ბექდვითი საქმის, ტექნიკის და სამოსწავლო საქმის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ,

ი) ცნობას მოსახლეობის ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურობის შესახებ,

კ) ცნობას საყოველთაოდ ცნობილი პირის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიული, ან საგანგებო რამ შემთხვევის შესახებ,

ლ) სასამართლოს გადაწყვეტილებასა და დადგენილებას, უკეთუ იგი საზოგადოების, ისტორიის და ზნე-ჩვეულების მასალას წარმოადგენს და უკეთუ მასში აღძრულია და გადაძვეტილი კანონის განმარტების საკითხი,

მ) საქმეს და დოკუმენტს, რომელსაც საქმის წარმოებაში ეძლეოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც საიდუმლოდ აღიარებულს და სხვა,

ნ) უძრავი ქონების დოკუმენტს, როგორც სოციალური ურთიერთობის და აგრარული წესწყობილების ისტორიის მასალას,

ო) იმ გადაწყვეტილებას და დადგენილებას, რომლითაც დაბოლოებულია საქმისწარმოება ძველი სასამართლო დაწესებულებათა ყველა საქმეზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თვით საქმე უნდა მოიხსოს და

პ) წიგნსა და ქაღალდს, რომელსაც საარქივო ცნობის მნიშვნელობა აქვს, და აგრეთვე აღწერას, სამაგიდო რეესტრსა, აღფაბეტსა და სხ.

10. შენახულ უნდა იქნეს აგრეთვე ყველა საქმე და ქაღალდი, რომელიც ეხება რაიმე არა-ჩვეულებრივ მოვლენას, როგორც არის: პოლიტიკური გადატრიალება, მნიშვნელოვანი რეფორმა, მასიური უბედურება და სხვ.

11. უკეთუ კომისიის თავმჯდომარესა და მის წევრებს ექვი დაებადებათ რომელიმე საქმისა, ან ქაღალდის ისტორიულ ღირებულებაში, ან ამის შესახებ ვერ შეთანხმდებიან, ასეთი საქმე და ქაღალდი შენახულ უნდა იქნეს.

12. უკეთუ საქმეთა გადარჩევის დროს აღმოჩნდება, რომ მოსპობილ უნდა იქნეს მთელი რიგი შინაარსით და ფორმით ერთგვარი საქმეებისა, ასეთ საქმეთაგან ერთი, ან რამდენიმე შეინახება, როგორც საქმის წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ნიმუში.

13. უკეთუ კომისია სცნობს, რომ საქმე შენახულ უნდა იქნეს მთელად, მისგან ცალკე უვარგისი ქაღალდის გამოყოფა შეიძლება კომისიის დადგენილებით.

14. უკეთუ კომისია სცნობს, რომ საქმე მთლად უნდა მოისპოს, ხოლო საჭიროა მისში არსებული ცალკე დოკუმენტების შენახვა, გადარჩეული დოკუმენტები შეინახება საგანგებო ხვეულსა ან კარტონში, ამასთანავე სისწორით აღინიშნება საქმე, საიდანაც ეს დოკუმენტი იყო ამოღებული და შესდგება ამ დოკუმენტების აღწერილობა.

15. მოსასპობად გადარჩეულ საქმეებიდან შესანახად უნდა გამოიყოს ავტოგრაფები, ნიმუშები, სახაზინო და კერძო ბეჭდების, საღებრო ქაღალდის, დაბეჭდილი ბლანკების, წლისებური ნიშნებისა და სხვა, მე 14 §-ში აღნიშნული წესის დაცვით.

16. საქმეების შესანახ და მოსასპობ საქმეებად დანაწილების შესახებ კომისია შეადგენს დასაბუთებულ აქტს, რომელსაც ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და ორი წევრი.

17. შესანახად გადარჩეულ საქმეთა და ქაღალდების აღწერილობა შესდგება ორ ცალად, რომელთაგან ერთი წარედგინება ცენტრალურ არქივის სამმართველოს, ხოლო მეორე იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

18. კომისიის მიერ მოსასპობად გადარჩეული საქმეების და ქაღალდების მოსპობა შეიძლება მხოლოდ მის შემდეგ, რაც ამ გადარჩევას შემოწმებს ცენტრალური არქივის მიერ დანიშნული განსაკუთრებული შემამოწმებელი კომისია.

შენიშვნა. მოსპობის წესს განსაზღვრავს ცენტრალური არქივი იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

19. უკეთუ შემამოწმებელ კომისიას მის შემდეგ, რაც განიხილავს გადამრჩევი კომისიის აქტს და გადაათვალიერებს თვით მოსასპობად გადარჩეულ საქმეებსა და ქაღალდებს, დაებადება რაიმე ეჭვი, იგი მოახსენებს ამას თავის დასკვნასთან ერთად ცენტრალურ არქივს. უკანაქნელი, უკეთუ დასკვნას სწორად სცნობს, წინადადებას მიცემს გადამრჩევი კომისიის მოახდინოს შემამოწმებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის მონაწილეობით, ფაქტიური გამოყოფა იმ საქმეებისა და ქაღალდების, რომელთა მოსპობაც, შემამოწმებელი კომისიის დასკვნით, არ შეიძლება.

20. გადამრჩევი კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს საარქივო საქმეთა გარასარჩევად და სათათბირო ხმით კომისიის სხდომებში მონა-

სიღებობის მისაღებად, მოიწვიოს, უკეთუ ამას საჭიროდ სცნობს, გარე-
შე სპეციალისტებიც.

21. ცენტრალურ არქივმა უნდა მისცეს გადამრჩევ კომისიის თავ-
მჯდომარეს გასაკეთებელი სამუშაოს მიხედვით საჭირო რიცხვი თა-
ნამშრომელთა საკანცელარიო და სხვა მუშაობისათვის, აგრეთვე უნდა
გადასცეს მის განკარგულებაში საკანცელარიო მასალა იმდენი, რაც კი
ამ სამუშაოს დასჭირდება.

22. სასამართლო არქივში არსებულ ძველ სასამართლოს დაწესებუ-
ლებათა საქმეები, რომელიც კომისიას ჯერ არ გადაურჩევია, ჩაბარდება
იუსტიციის სახალხო კომისიის მიერ დანიშნულ არქივარიუსს, რომელსაც
დაეკისრება როგორც ამ საქმეების შენახვა გადარჩევამდე, ისე ასეთ
საქმეებზე ცნობის გაცემა და თვით საქმეების მიცემაც იუსტიციის
სახალხო კომისარიატისა, მისი ქვემდებარე დაწესებულებათა და თანა-
მდებობის პირთა მოთხოვნით.

23. სასამართლო არქივის გადარჩევასა და ჩაბარებასთან დაკავშირე-
ბულ ყველა ხარჯს ეწევა ცენტრალური არქივი.

1926 წ. ივნისის 25.

სეკრეტველოს სოც. საბ. რესპუბლიკის იუსტიციის
სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

საქართველოს სოც. საბკ. რესპუბლიკის ცენტრალურ
არქივის გამგე აღ. წერეთელი.

სასამართლოს მოწყობის და ზედამხედველობის
განკ. გამგე ე. ჩახუნაშვილი.

ს ი ა

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის რწმუნებულთა ავტონომიურ ერთეულებსა და მაზრებში.

№№	ადმინისტრაციულ ერთეულის სახელწოდება	საარქივო ორგანოს სახელწოდება	ვინ არის რწმუნებულად ან გამგედ	რა დროიდან
1.	აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკა	მთავარარქივი	—	
2.	აჭარის ტანის ს. ს. ავტონომიური რესპუბლიკა	მთავარარქივი	სპილიოტი	1924 წ.
3.	სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რეპუბლიკა	რწმუნებულნი	კოჩიევი რომან	16 12-1925 წ.
4.	გორის მაზრაში	"	კუბრაშვილი ნიკო	18 9-1925 წ.
5.	ბორჯომის მაზრაში	"	არტემიძე მოსესი	21 12-1925 წ.
6.	დუშეთის მაზრაში	საარქივო ბიურო	იორდანიშვილი ბასილაშვილი კობიაშვილი	19 9-1925 წ.
7.	სიღნაღის მაზრაში	რწმუნებულნი	—	
8.	თელავის მაზრაში	"	მამაჯანოვი	17 12-1925 წ.
9.	სენაკის მაზრაში	"	ლომია ვარლამი	18 12-1925 წ.
10.	ზუგდიდის მაზრაში	"	ჯგუშია გაბრიელ	18 12-1925 წ.
11.	ლეჩხუმის მაზრაში	"	ჩაჩხიანი ბიკენტი	24 12-1925 წ.
12.	ოზურგეთის მაზრაში	"	სოლომონ მენაბდე	17 12-1925 წ.
13.	ქუთაისის მაზრაში	განყოფილება	ტრ. ჯაფარიძე (რწმუნებულნი) ბროსე ვიქტორ (გამგე)	1 10-1925 წ.
14.	შორაპნის მაზრაში	რწმუნებულნი	სტატბიურო	1 12-1925 წ.
15.	ახალქალაქის მაზრაში	"	ავეტისიან მ.	30 12-1925 წ.
16.	ახალციხის მაზრაში	"	გვარამაძე	31 12-1925 წ.
17.	რაჭის მაზრაში	"	დგვარელი ერმილ	22 12-1925 წ.
18.	სენაქის მაზრაში	"	შ. გუგუჯიანი	29 12-1925 წ.
19.	ფოთში	განყოფილება	ჩოჩია ალექსანდრე	1923 წ.
20.	ტფილისის მაზრაში	რწმუნებულნი	ახვლედიანი	4 2 - 1926 წ.

შემჩნეულ მთავარ კორექტურულ შეცდომების
გასწორება.

გვ. სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
4 ₂	მთყვანა	მოყვანა
6 ₆	კომისარიატს	კომისარიატს
6 ₁₄	კომისართა	კომისართა
13 _{13/14}	100 წლის რუსეთის საქართველოში	რუსეთის საქართველოში 100 წლის
13 ₁₅	ლარგში	ლარგში
14 ₉	გენათლების	განათლების
14 ₃₂	1924—1916	1914—1916
16 ₃	1801—1737	1801—1837
19 _{5/6}	დასასრულებლად კომისია	დამსრულებელი კომისია
27 ₈	საბრძოლველი პირობები	ბრძოლის პირობები

1. წინასიტყვა გვ. 1— 2
2. შ. ყარამანძიძე—სამაზრო საარქივო აპარატების მოწყობისათვის გვ. 3— 9
3. პროფ. შ. პოლიევქტოვი—რისთვის არის საჭირო არქივი . გვ. 10—12
4. შ. დიკონენკო—საქართველოს ცენტრ-არქივის არქივისთესაცვებში მოთავსებულ არქივების მდგომარეობა . . . გვ. 13—21
5. გ. ბოჭორიძე—ძველი ქართული საბუთები და ხელნაწერი წიგნები გვ. 22—26
6. ს. ესაძე—კავკასიის სამხედრო არქივები და ცენტრარქივის სამხედრო ფონდი გვ. 27—34
7. გ. გოზალიშვილი—ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზი . გვ. 35—36
8. შ. ჩხეტია—საარქივო აღმშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში გვ. 37—60

ოფიციალური განყოფილება.

1. ს. ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტი 1921 წ. ივლისის 1-ლის საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ . გვ. 61
2. ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს ინსტრუქცია სამაზრო რწმუნებულებს გვ. 62—64
3. ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს ინსტრუქცია არქივის გამრჩევი კომისიას გვ. 65—68
4. დროებითი წესები ცენტრარქივის აკადემიური ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობისათვის (დამატება № 1) . . . გვ. 68—70
5. წესები სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოთხოვნით საარქივო მასალების გაცემის შესახებ (დამატება № 1, 2, 3, 4, 5,6) გვ. 71
6. წესები საარქივო მასალებით სარგებლობისათვის ცენტრარქივის შენობაში გვ. 72—77
7. საარქივო ფონდების სარეგისტრაციო ბარათი № 1, 2 . . გვ. 77—78
8. ინსტრუქცია სასამართლოს არქივის საქმეთა გარჩევისა და საქართველოს ცენტრალურ არქივისათვის ჩაბარების შესახებ გვ. 79—83
9. სია ცენტრარქივის მთავარ სამმ. რწმუნებულთა ავტონომიურ ერთეულებსა და მაზრებში გვ. 84
10. შემჩნეულ მთავარ კორექტურულ შეცდომების გასწორება გვ. 86

ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის გამოცემანი:

1. სამეცნიერო ჟურნალი „სახისტორიო მოამბე“ 1924 წ. წიგ. I. ფ. 2 მ.
2. „ „ „ „ 1924 წ. წიგ. II. ფ. 2 მ.
3. „ „ „ „ 1925 წ. წიგ. I. ფ. 2 მ.
4. „ „ „ „ 1925 წ. წიგ. II. ფ. 2 მ.
5. მონოგრაფია „Тов. Намо“ 1924 წ. ფ. 50 კაპ.
6. „სამილახვროს დავთარი“ 1925 წ. ფ. 50 კაპ.
7. ჟურნალი „საქართველოს არქივი“ 1926 წ. წიგ. I. ფ. 1 მან.

ცენტრარქივის გამოცემები იხილება: ტბილისში ცენტრ-
არქივში (ლენინის ქ. № 48) და სახელგამის მაღაზიებში
(რუსთაველის პრ.), ხოლო პროვინციებში სამაზრო აღ-
მასკომებში ცენტრარქივის რეგულარულად.

იმათ, ვინც ერთბაშად 10 ცალზე მეტს შეიქმნენ, ყველა
გამოცემები დაეთმობა 35% დაკლებით.